პრაქტიკის კვლევისა და მასწავლებლის გამოკითხვის გზამკვლევი

ცვლილებების განხორციელება ადრეულ წლებში

ამანდა ინსი და ელენორ კიტო

თბილისი
2023

A Practical Guide to Action Research and Teacher Enquiry
Making a Difference in the Early Years
Amanda Ince and Eleanor Kitto

Norwegian Ministry of Foreign Affairs

პუბლიკაცია მომზადებულია ნორვეგიის მთავრობის და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები, არ არის აუცილებელი, ასახავდეს ნორვეგიის მთავრობის ან გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.

© 2020 Amanda Ince and Eleanor Kitto
All Rights Reserved. Authorised translation from the English language edition published by Routledge, a member of the Taylor & Francis Group.

ინგლისურიდან თარგმნა: ლიკა ქურციკიძემ
სამეცნიერო რედაქტორი: ნინო ცინცაძე
ქართული ენის რედაქტორი: ეკა კეკელია
ტექნიკური უზრუნველყოფა: გვანცა მახათაძე

ISBN 978-9941-18-425-3

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

შესავალი 5

მიმოხილვა 5

მიზნები და ამოცანები 7

რატომ პრაქტიკის კვლევა? 7

წიგნის სტრუქტურა და მისი გამოყენება 9

თავი პირველი. პრაქტიკის კვლევა: თეორია და პრაქტიკა 11

შესავალი 11

რა არის პრაქტიკის კვლევა? 12

როგორ შეიქმნა პრაქტიკის კვლევა? 13

პრაქტიკის კვლევის განვითარება და გამოყენება განათლებაში 14

რატომ უნდა ჩავერთო ადრეული წლების პრაქტიკის კვლევაში? 18

რას მომიტანს პრაქტიკის კვლევა? 19

პროფესიული განვითარება 20

გუნდის განვითარება 21

ბავშვების განვითარება 22

მტკიცებულებებით ინფორმირებული პრაქტიკა 24

პროექტის დაგეგმვა და გავლენის შეფასება 28

მოცემულობებზე თუ შედეგებზე დაფუძნებული შეფასება 29

ეთიკის საკითხები 32

შეჯამება 33

თავი მეორე. პრაქტიკის კვლევის ფაზები 35

შესავალი 35
ფოკუსის განსაზღვრა 36
შეკითხვის დასმა 40
ცვლილებების დაგეგმვა და განხორციელება 47
ინოვაცია 50
გავლენის შეფასება 56
როგორ უნდა მიხვდეთ, რომ წარმატებას მიაღწიეთ? 56
სამომავლო გეგმები 60
შეჯამება 63

ნაწილი მესამე. პროექტები 66

შესავალი 66
იოგა საბავშვო ბაღში (3-4 წლიანთა ჯგუფში) 69
გარე სივრცის მოწყობა – ადრეული მათემატიკური ცნობიერების გასავითარებლად 75
ამბის თხრობა 81
უწყვეტი პროფესიული განათლება 85
პიროვნული, სოციალური და ემოციური განვითარება კვების დროს 91
„მოსაუბრე პარტნიორები“ დაწყებით საფეხურზე 97
მშობლების ჩართულობა 101
ადრეული წერა 107
კითხვის სიყვარულის წახალისება 113
0-დან 2 წლამდე ასაკის ბავშვების ოთახი 117
დასკვნა 122

დანართები 124

დანართი 1. ფოკუსის იდენტიფიცირება 124
დანართი 2. მტკიცებულებების შეჯერება 126
დანართი 3. დაგეგმვა შედეგისთვის / გავლენისთვის 127
დანართი 4. დაგეგმვა შედეგისთვის 128
დანართი 5. გავლენის შეფასება 129
დანართი 6. სამომავლო გეგმები 130

ლიტერატურა 131

შესავალი

წიგნი შეიქმნა ადრეული ასაკის ბავშვებთან მომუშავე პრაქტიკოსების წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ, რომლებიც მცირე მასშტაბის პროექტების განხორციელებისას, ინფორმაციასა და საჭირო მხარდაჭერის ნაკლებობას განიცდიან. მიზანი – პრაქტიკისა და ბავშვების შედეგების გაუმჯობესებაა. ამგვარ პროექტებს, ხშირად, პრაქტიკის კვლევებს უწოდებენ, თუმცა პრაქტიკის კვლევის მნიშვნელობასა და მის განხორციელებასთან დაკავშირებით, აზრთა მრავალფეროვნება და გარკვეული დაბნეულობა არსებობს. მოცემული წიგნის მიზანია, დააზუსტოს და მკაფიოდ წარმოაჩინოს, რას შეიძლება მოიცავდეს პრაქტიკის კვლევა ადრეული ასაკის კონტექსტში. წიგნი გვთავაზობს პრაქტიკულ მხარდაჭერას, თუ როგორ დაგეგმონ, დანერგონ და შეაფასონ პრაქტიკოსებმა პროექტები, პრაქტიკის კვლევის გამოყენებით.

მიმოხილვა

წიგნის ორივე ავტორი ადრეული ასაკის ბავშვებთან პრაქტიკოსად მუშაობდა, მრავალფეროვან კონტექსტებში, სხვადასხვა როლითა და პასუხისმგებლობებით. მათ სხვადასხვა კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებთან, ბაკალავრებთან და მაგისტრებთან თანამშრომლობის დიდი გამოცდილება აქვთ. ამ წიგნის შექმნის მიზნია, წარმოჩინდეს ადრეული ასაკის ბავშვებთან მომუშავე ადამიანების მნიშვნელობა და საჭიროება. აღსანიშნავია, რომ პროფესიული განვითარება, ხშირად,

საკმაოდ რთული და ფორმალური გზებით ფასდება. პრაქტიკოსთა კურსები ზოგადია და არ არის მორგებული იმ სპეციფიკურ საკითხებზე, რომლებიც ბავშვებსა და რეალურ გარემოზე აისახება. პრაქტიკოსთა უმეტესობა, პრაქტიკას, ჩვეულებრივ, საწყის მოსამზადებელ კურსებზე გადის, მაგრამ პროექტები მასწავლებლების სუპერვიზიითა და სტრუქტურირებული რესურსებით იმართება. პრაქტიკოსისთვის ეს გარკვეული გამოცდილება კი არის, თუმცა არ არის საკმარისი, პრაქტიკის კვლევის სიღრმისეული გაგებისა და გააზრებისთვის. პრაქტიკის კვლევის ჩატარების სტრუქტურა, ძირითადად, „ზევიდან ქვევით“ იმართება და ნაკლებად აძლევს პრაქტიკოსს შესაძლებლობას, თავად უხელმძღვანელოს პროექტს და უნიკალური გარემოებებისა და პირობების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად მართოს. შედეგად, შესაძლოა, მივიღოთ თავდაჯერებულობისა და ცოდნის ნაკლებობა იმის თაობაზე, თუ როგორ გადავიტანოთ პრაქტიკის გამოცდილება რეალურ სააღმზრდელო კონტექსტში. გარკვეულ შემთხვევებში, ალტერნატიული მიდგომა დაინერგა. პრაქტიკოსი, პრაქტიკის ხელმღვანელებთან ერთად, პროცესში აქტიურად იყო ჩართული. ავტორი აღნიშნულ მიდგომას „ადრეული წლების ფასილიტაციურ პრაქტიკის კვლევას“ უწოდებს. მიდგომა ხაზს უსვამს პრაქტიკის, პრაქტიკის კვლევის ღირებულებასა და პრაქტიკოსებზე ისეთ გრძელვადიან შედეგებს, როგორიცაა თავდაჯერებულობის ზრდა და ცვლილებების განხორციელების სურვილი.

მოცემული წიგნი დაიწერა პრაქტიკოსების წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ და წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს, პრაქტიკის კვლევის სწავლებაში. ამ სწავლებაში, ერთ წერტილში წარმოდგენილია პროექტების განხორციელება, გარე ექსპერტების ხელმძღვანელობით, ხოლო მეორე ბოლოში – პრაქტიკის კვლევის დამოუკიდებლად ჩატარება. პრაქტიკის კვლევის დამოუკიდებლად ჩატარების პროცესი მორგებულია პრაქტიკოსის სპეციფიკურ გარემოზე, კონტექსტზე და ბავშვების საჭიროებებზე. ამგვარი მიდგომა შესაძლებელს ხდის, შეიქმნას პრაქტიკის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული პრაქტიკოსების მდგრადი სასწავლო ჯგუფები.

მიზნები და ამოცანები

პრაქტიკის კვლევისას, ადრეული ასაკის ბავშვებთან მომუშავე ადამიანებს ეს წიგნი ერთგვარ საყრდენს შეუქმნის. წიგნის მიზანია, პრაქტიკის კვლევის პროცესში, ადრეული ასაკის ბავშვებთან მომუშავე პრაქტიკოსები გაეცნონ კომპლექსურ იდეებს და აქტივობების მარტივ, მიღწევად ნაბიჯებად დაყოფით, მეტი თავდაჯერებულობა შეიძინონ. ამასთან ერთად, გაძლიერდნენ პრაქტიკაში განხორციელებული, ბავშვებზე ორიენტირებული ცვლილებებით. ხშირად, პრაქტიკოსები აღმოაჩენენ ისეთ საკითხებსა და პრაქტიკებს, რომლებიც ცვლილებებს საჭიროებს, მაგრამ ზუსტად არ იციან, ან არ არიან დარწმუნებულები, რომელია საუკეთესო მიდგომა. მოცემული წიგნი გვთავაზობს სტრატეგიებს, იდეებსა და მაგალითებს, რათა დამყარდეს კავშირი ცვლილებების სურვილსა და ცვლილების განხორციელების მიდგომებს შორის.

რატომ პრაქტიკის კვლევა?

ბევრი პრაქტიკოსი პრაქტიკის კვლევის პროექტს საწყისი მომზადება/გადამზადების პროცესში გადის.. პრაქტიკის კვლევა აღიარებულია მაღალი ეფექტურობის მქონე მიდგომად და ეს დასტურდება პრაქტიკაშიც (Carr and Kemimis, 1986; Mcniff, 2015; Roberts-Holmes, 2018). ადრეული წლების პრაქტიკოსების მიერ პრაქტიკის კვლევის პროექტების განხორციელება, უმეტესად, ძლიერ კონტროლირებული და სტრუქტურირებულია გამოცდილი ხელმძღვანელებისა და დამხმარე ლიტერატურის მოშველიებით, რომელიც მიუთითებს პრაქტიკის კვლევისა და მასწავლებელთა გამოკითხვის მეთოდების ეფექტურობაზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თეორიასა და პრაქტიკას შორის კავშირი ხშირად პრობლემურია. პრაქტიკოსებისთვის რთულია ლიტერატურაში შეთავაზებული იდეების კონკრეტულ კონტექსტთან ადაპტირება. მოცემული წიგნი გვთავაზობს პრაქტიკის კვლევის ნაბიჯ-ნაბიჯ განხორციელების გზამკვლევს, სადაც პროცესი ხორციელდება გამოცდილ ფასილიტა-

ტორთან თანამშრომლობის გზით. წარმოდგენილი მაგალითები მოცემულია პრაქტიკოსისა და ფასილიტატორის მონათხრობებით, რომლებიც პროექტის განხორციელებას რეალურ კონკრეტულ და პრაქტიკულ სიტუაციაში ასახავენ. წიგნში შემოთავაზებულია ადრეული წლების კონტექსტში „ფასილიტაციური პრაქტიკის კვლევა“ ინდივიდებისა და ორგანიზაციებისთვის, როგორც პრაქტიკის კვლევის განხორციელების წარმატებული მიდგომა.

წიგნის მიზნებია:

- მასწავლებლის მოსამზადებელ პროგრამებსა და ტრენინგებში პრაქტიკის კვლევისა და მასწავლებლის გამოკითხვის ინტეგრირება და პროექტების დამოუკიდებლად დანერგვის მხარდაჭერა.
- ინდივიდუალური კონტექსტის გათვალისწინებით განახორციელონ პრაქტიკოსების გაძლიერება, პრაქტიკის კვლევა. რესურსების, სტრატეგიებისა და იდეების მიწოდება – რეალური მაგალითების საფუძველზე.
- პრაქტიკოსების თავდაჯერებულობის გაზრდა და პრაქტიკის კვლევის ციკლის მიდგომის ხელშეწყობა.

მიზნების მისაღწევად წიგნში შემოთავაზებულია:

- პრაქტიკის კვლევის ციკლის ჩარჩო – პროექტების განხორციელებისთვის. ციკლი დაყოფილია თითოეულ ეტაპად, აღწერილი და დასაბუთებულია მათი მნიშვნელობა. პროცესისა და ეტაპების საილუსტრაციოდ, მოცემულია მაგალითები პრაქტიკიდან.
- გამოცდილი რესურსები, რომელთა გამოყენებასაც პრაქტიკოსები პრაქტიკის კვლევის ყველა ეტაპზე შეძლებენ. რესურსები მოცემულია დანართების სახით, თუმცა ახსნილი და განმარტებულია წიგნის ძირითად ნაწილში.
- პრაქტიკის კვლევის პროექტების მაგალითები, რომლებიც რეალური პრაქტიკოსების მიერ, რეალურ სიტუაციებსა და რეალურ ბავშვებთან არის განხორციელებული.

წიგნის სტრუქტურა და მისი გამოყენება

მოცემული წიგნი შექმნილია ყველა საფეხურის პრაქტიკოსისთვის, ვინც ემზადება ან უკვე მუშაობს ადრეული წლების კონტექსტში. წიგნი დაყოფილია თავებად და იწყება პრაქტიკის კვლევის მკაფიო დეფინიციითა და განმარტებით. ტექსტს თან ახლავს კომენტარები, თუ როგორ გამოვიყენოთ ტექსტში მოცემული ინფორმაცია ადრეული წლების კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ წიგნის სრულად წაკითხვას გირჩევთ, შეგიძლიათ, დაამუშაოთ მხოლოდ ის თავები, რომლებიც იდეების ინსპირირებისთვის გჭირდებათ, ან დაკავშირებულია თქვენს ინდივიდუალურ კონტექსტთან და კვლევით პრიორიტეტებთან.

წიგნის პირველ თავში მოცემულია პრაქტიკის კვლევის მიმოხილვა. მიმოხილვა იწყება პრაქტიკის კვლევის ახსნითა და ისტორიით, შემდეგ კი განხილულია მისი გამოყენების სარგებელი დაწესებულებებისთვის, ინდივიდებისა და ბავშვებისთვის. პირველ თავში აღწერილია „მტკიცებულებების“ როლი, რესურსებისა და მასალების არჩევის შესაძლებლობები და მათი შედეგები პრაქტიკის გაუმჯობესებაში. ასევე განხილულია ადრეული ასაკის ბავშვებთან მუშაობის მნიშვნელობა, სადაც ძირითად ასპექტს წარმოადგენს პრაქტიკოსის სურვილი და მოტივაცია, გააუმჯობესოს შედეგები და გამოცდილებები ბავშვებისთვის. გავლენის შეფასების ჩარჩოს გამოყენება მოცემული ტექსტის უნიკალური ასპექტია და მჭიდროდაა დაკავშირებული განხორციელებული ცვლილებების შესახებ მტკიცებულებების შეგროვებასთან. პირველი თავის ბოლო ნაწილი, პრაქტიკის კვლევის განხორციელებისას, გარკვეული ეთიკური პრინციპების გათვალისწინებას ეხება. მასში გამოკვეთილია ის შესაძლო გამოწვევები, რასაც პრაქტიკოსი კვლევის პროცესში აწყდება. პირველი თავი სრულდება შეჯამებით.

მეორე თავი ორგანიზებულია 5 თანმიმდევრულ ნაწილად და თითოეულში წარმოდგენილია პრაქტიკის კვლევის ციკლის თითოეული ეტაპის დეტალური მიმოხილვა, შესავლითა და შეჯამებით. ფაზების აღწერა პრაქტიკოსს მისცემს მიმართულებას პრაქტიკის კვლევის ეტა-

პების რიგითობისა და შინაარსის შესახებ, რათა შეძლოს, დამოუკიდებლად წამოიწყოს და წარმატებით დაასრულოს კვლევითი პროექტი. პრაქტიკის კვლევის ეტაპების საილუსტრაციოდ, ტექსტში წარმოდგენილია მაგალითები რეალური პრაქტიკიდან, რომლებიც შემდეგ, წიგნში აღწერილ თეორიასთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, პრაქტიკოსი დაინახავს არა მხოლოდ იმას, თუ რა უნდა გააკეთოს, არამედ იმასაც, თუ რატომ უნდა გააკეთოს. დამატებით, წიგნის დანართებში წარმოდგენილია სხვადასხვა რესურსები და შაბლონები, რომლებიც შეუძლია, თავის პროექტში გამოიყენოს.

მესამე თავი მოიცავს ადრეული წლების კონტექსტში განხორციელებული პრაქტიკის კვლევის 10 მაგალითს. პრაქტიკის კვლევის პროექტის ჩატარება მრავალფეროვანი მაგალითებითაა წარმოდგენილი – სხვადასხვა სიტუაციაში, სხვადასხვა საკითხებზე და ბავშვების განსხვავებულ ასაკობრივ კატეგორიებში. მაგალითები ასახავს, როგორ აუმჯობესებენ პრაქტიკოსები პრაქტიკასა და შედეგებს პროექტებით, რომლებიც მათ განახორციელეს.

პროექტის თითოეული ეტაპის მხარდამჭერი რესურსები წარმოდგენილია დანართების სახით და მითითებულია შესაბამისი თავები. რესურსები გამოცდილი და გამოყენებულია პრაქტიკოსების მიერ პროექტების დაგეგმვის, რეფლექსიისა და შეფასების პროცესში. რესურსები სავალდებულო არ არის, არამედ შემოთავაზებულია, როგორც დამხმარე მასალა პრაქტიკის კვლევის ჩასატარებლად. გაითვალისიწინეთ, სადაც აღნიშნულია საავტორო უფლებების დაცვა, გამოიყენეთ მხოლოდ და მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებისთვის.

ტექსტში ასევე წარმოდგენილია პრაქტიკოსების მოსაზრებები, რაც ხაზს უსვამს წიგნის მთავარ ღირებულებას, ფასილიტაციას პრაქტიკოსსა და გამოცდილ მენტორს შორის.

თავი პირველი

პრაქტიკის კვლევა: თეორია და პრაქტიკა

შესავალი

პრაქტიკის კვლევა არის ტერმინი, რომელიც ხშირად გამოიყენება განათლების სფეროში და აღნიშნავს კვლევის განხორციელების მიდგომას. ერთ-ერთი ლექსიკონის მიხედვით, „პრაქტიკის კვლევა, ან პრაქტიკოსების კვლევა, იწვევს ცვლილებების მცდელობებს, რის შედეგადაც დაწესებულებაში უმჯობესდება პრაქტიკა, პოლიტიკა და კულტურა. პრაქტიკის კვლევა თანამშრომლობითი და თანამონაწილეობითი კვლევის მიდგომაა“ (Roberts-Holmes, 2018: xvii). პრაქტიკის კვლევა ადრეული წლების პრაქტიკოსთა პროფესიული რეპერტუარის ძლიერი ინსტრუმენტია, რადგან ის ქმნის პრაქტიკის განვითარებისა და გამოკვლევის სტრუქტურირებულ მიდგომას. როგორც სომეკი (Somekh, 1995: 340) განმარტავს, „პრაქტიკის კვლევის მეთოდოლოგია კვლევასა და პრაქტიკას შორის გადებული ხიდია“. პრაქტიკის კვლევა პრაქტიკოსებს სთავაზობს ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც სისტემატიურად იკვლევენ პრაქტიკის სხვადასხვა ასპექტებს, შეაქვთ ცვლილებები პრაქტიკაში და აფასებენ ცვლილებების შედეგებს. პრაქტიკის კვლევის გააზრებისთვის, მნიშვნელოვანია გავერკვეთ, თუ რას ნიშნავს პრაქტიკის კვლევა, რატომ ტარდება და როგორ ეხმარება ინდივიდებს გაძლიერებაში. ასევე, როგორ აისახება ხარისხის გაუმჯობესება ბავშვების შედეგების გაუმჯობესებაზე და თანამშრომელთა მოტივაციაზე.

მოცემულ თავში წარმოდგენილია ადრეული ასაკის ეტაპზე პრაქტიკის კვლევის განხორციელების თეორიული დასაბუთება, განმარტებულია პრაქტიკის კვლევის მნიშვნელობა და მისი გამოყენება საგანმანათლებლო კონტექსტში. ასევე, აღწერილია ის ძირითადი მიზეზები, რომელთა გამოც პრაქტიკოსები პრაქტიკის კვლევას ატარებენ და განხილულია პრაქტიკის კვლევასთან დაკავშირებული სარგებელი – პიროვნული, პროფესიული და ინსტიტუციური.

რა არის პრაქტიკის კვლევა?

პრაქტიკის კვლევას მრავალი სხვადასხვა განმარტება აქვს ლიტერატურაში. მანიონისა და კოენის (Manion and Cohen, 1994:186) განმარტებით, ეს არის „მცირე მასშტაბის ჩარევა რეალურ სამყაროში და ჩარევის ეფექტების სიღრმისეულად გამოკვლევა“. აღნიშნული განმარტება საკმაოდ გამოსადეგია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ადრეული ასაკის ეტაპზე მუშაობის პროცესს. განმარტებაში ხაზგასმულია ცვლილებების განხორციელებაზე ფოკუსირება და მიღებული შედეგების გამოკვლევა ყოველდღიურ, რეალურ პრაქტიკაში. თუმცა, მოცემულ განმარტებაში პრაქტიკოსის ცენტრალური როლი და თვითრეფლექსიის მნიშვნელობა არ არის საკმარისად დასაბუთებული. მაკნიფი (McNiff, 2020:15) ხაზს უსვამს, რომ „პრაქტიკის კვლევა ჩემ მიერ ჩემი თავის გამოკვლევაა, სადაც ვსწავლობთ მოქმედებითა და რეფლექსიით“. პრაქტიკოსის ავტონომიური სწავლა, მის მიერ ცვლილებების განხორციელება და შეფასება წარმოადგენს იმ მიდგომის ძირითად მახასიათებლებს, რომლებიც ამ წიგნშია შემოთავაზებული. პრაქტიკის კვლევის გააზრებისას, პირველ რიგში, მისი ძირითადი კომპონენტების განხილვაა საჭირო, თუმცა უფრო ფართო კონტექსტის დასანახად, განვიხილოთ პრაქტიკის კვლევის შექმნის ისტორია.

როგორ შეიქმნა პრაქტიკის კვლევა?

პრაქტიკის კვლევა – როგორც ტერმინი და კონცეფცია – მრავალი წყაროს მიხედვით, 1940 წელს, პირველად კურტ ლევინმა (Kurt Lewin, 1890-1947) შეიმუშავა. თუმცა, მასტერსი (Masters, 1995) აღნიშნავს, რომ პრაქტიკის კვლევის საწყისები მე-20 საუკუნის კიდევ უფრო შორეული წარსულიდან მოდის და მისი განვითარების კვალდაკვალ, ძალზედ რთულია, რომელიმე დეფინიცია – რომელიმე კონკრეტულ ავტორს და კონრეტულ დროს მივაწეროთ. დიკენსი და ვოტკინსი (Dickens & Watkins, 2006:185) პრაქტიკის კვლევას უწოდებენ „ქოლგა ტერმინს, რომელიც ცვლილებების აღმძვრელი აქტივობების გამოწვევისთვისაა განკუთვნილი“. მიუხედავად დეფინიციათა სიმრავლისა, მოცემულ წიგნს საფუძვლად ედება ლევინისა და მისი თანამოაზრეების მიერ შემუშავებული კონცეფცია პრაქტიკის კვლევის შესახებ. სწორედ ამიტომ, ლოგიკური იქნება მიმოვიხილოთ ლევინის ხედვა და პრაქტიკის კვლევის განვითარების წიაღსვლები განათლების სფეროში.

როდესაც ლევინი სოციალურ გამოწვევებს სწავლობდა, განსაკუთრებით ჯგუფების ურთიერთობასთან დაკავშირებით, აღნიშნავდა, რომ სოციალური სიტუაციების სიღრმისეულად გაგებისთვის, საჭიროა სოციალური მეცნიერებების, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და სოციალური ანთროპოლოგიის ასპექტების ინტეგრირება. ლევინი ამტკიცებდა, რომ ცვლილებები ყველაზე ეფექტურად მიმდინარეობს კვლევისა და ქმედების გზით და განსაკუთრებით მაშინ, თუ მას ის სოციალური აგენტები ახორციელებენ, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაინტერესებულები. აქედან გამომდინარე, ლევინმა შემოგვთავაზა თანამშრომლობითი, თანამონაწილეობითი და დემოკრატიული მიდგომა სოციალური ქმედების შესწავლისა და მასზე ზემოქმედებისთვის.

> სოციალური პრაქტიკისთვის საჭირო კვლევა, შესაძლოა, საუკეთესოდ დახასიათდეს, როგორც კვლევა სოციალური მენეჯმენტისთვის, ან სოციალური ინჟინერიისთვის. პრაქტიკის კვლევას მივყავართ მოქმედებისკენ. კვლევა, რომელსაც შე-

> დეგად წიგნების გარდა არაფერი მოაქვს, ცვლილებებისთვის საკმარისი ვერ იქნება.
>
> კურტ ლევინი (Kurt Lewin, 1946)

ლევინი აღნიშნავდა, რომ ცვლილებებისკენ ორიენტირებული კვლევა მოითხოვს პროგრესის შეფასების გარკვეულ სტანდარტებსა და საზომებს. ამისთვის, მან წარმოადგინა „დაგეგმვის, განხორციელებისა და გადასინჯვის“ციკლური მოდელი. მოდელის თანახმად, პრაქტიკის კვლევა წარმოადგენს განმეორებით ციკლს, სადაც პრაქტიკოსი შეისწავლის და ცდის გარკვეულ სოციალურ ქმედებებს. პრაქტიკოსის ამგვარი როლი და პასუხისმგებლობები წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის რაობას და სწორედ ამიტომაა განსაკუთრებით მიმზიდველი საგანმანათლებლო კონტექსტისთვის. დღეისთვის, პრაქტიკის კვლევა, ნებისმიერ განსხვავებულ საგანმანათლებლო საფეხურზე – იქნება ეს საბავშვო ბაღი თუ ზოგადი განათლების სისტემა – ლევინის მიერ შემუშავებულ და განვითარებულ მოდელს ირეკლავს. ლევინის მტკიცებამ, რომ კვლევის შედეგი უნდა იყოს უფრო მეტი, ვიდრე კვლევების შესახებ წიგნების შექმნა, საფუძველი ჩაუყარა შემდგომ დისკუსიებს კვლევის პროცესში პრაქტიკის მნიშვნელობისა და პრაქტიკოსების თანამონაწილეობის შესახებ (Wyse er al., 2018).

პრაქტიკის კვლევის განვითარება და გამოყენება განათლებაში

პრაქტიკის კვლევის, როგორც პროცესის აღმოცენება, ადელმანის (Adelman, 1993) მიხედვით, დაემთხვა დემოკრატიული საგანმანათლებლო რეფორმებისადმი მზარდ ინტერესს. ამ მიმართულებას ხელი შეუწყო ჯონ დიუის (John Dewey, 1859-1952) მოსაზრებებმა – განათლებაში დემოკრატიულობის მნიშვნელობის შესახებ. პრაქტიკის კვლევის პოპულარიზებაში დიდი წვლილი მიუძღვის კორეის (Corey, 1954), რომელიც ხაზს უსვამდა პრაქტიკის კვლევის მიდგომის შესაბამისობას მასწავლებლების პრაქტიკის გაუმჯობესებასთან.

> ისინი აგროვებენ მტკიცებულებებს, რათა უფრო მკვეთრად განსაზღვრონ თავიანთი პრობლემები; ეყრდნობიან მათ ხელთ არსებულ გამოცდილებას, როგორც პრაქტიკის ჰიპოთეზების წყაროს და ამით საშუალება ეძლევათ, გააუმჯობესონ ან აღმოფხვრან სამუშაო დღის პრაქტიკული სირთულეები. ისინი ამოწმებენ ამ პროცედურებს და კვლავ აგროვებენ მტკიცებულებებს მათი ეფექტურობის შესახებ.
>
> კორეი (Corey, 1954:375)

კორეის ციტატის მიხედვით, პრაქტიკოსი განხილულია პედაგოგიური გადაწყვეტილებების მიღების ცენტრალურ ფიგურად და ხაზგასმულია მისი მნიშვნელობა კონტექსტუალური ასპექტების იდენტიფიცირებაში.

პრაქტიკის კვლევის ევოლუცია, მისი ყოვლისმომცველი განმარტება, მეთოდოლოგიური და ეპისტემიოლოგიური განსხვავებული პერსპექტივების (Peters & Robinson, 1984; McNiff, 2013; McAteer, 2014) განვითარება, გაგრძელდა სხვადასხვა აკადემიურ დისციპლინებსა და სხვადასხვა სოციალურ სფეროებში. ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს განათლების სისტემის ფარგლებში, პრაქტიკის კვლევამ შეიძინა მამოძრავებელი ძალა და ვალიდურობა. ლორენს სტენჰაუსის (Stenhouse, 1981) კვლევებით, ხაზი გაესვა პრაქტიკოსის ცენტრალურ როლს, სკოლაში განვითარდეს განათლების კვლევები. ხოლო ჯონ ელიოტის (Elliott, 1991:111) ნაშრომებმა, რეფლექსიურობის კულტურის აუცილებლობა წარმოაჩინა.

1976 წელს, ჯონ ელიოტმა დააარსა საკლასო პრაქტიკის კვლევის ქსელი (მოგვიანებით, თანამშრომლობითი პრაქტიკის კვლევის ქსელი, იგივე CARN) „განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და მასწავლებელთა როლის გასაძლიერებლად, საგანმანათლებლო პოლიტიკისა და სკოლის რეფორმის შემუშავების პროცესში“. ქსელის მიზანი იყო – მკვლევარ მასწავლებლებს შორის კავშირების დამყარება და „სწავლებისა და კვლევის ინტეგრირებულად წარმართვის ხელშეწყო-

ბა, რაც განაპირობებს საგანმანათლებლო რეფორმის პროცესის ინ-ფორმირებას ადგილობრივ კონტექსტებში შექმნილი კვლევითი ცოდ-ნით, რომელიც გროვდება მასწავლებლების მიერ და მასწავლებლებ-თან ერთად, და არა პირიქით (Somekh, 2010:105).

თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოში პრაქტიკის კვლევის ცენტრალურ მახასიათებელებად რჩება კონტექსტუალიზებული პრაქ-ტიკის გამოკვლევისა და თვითრეფლექსიის ციკლები, რომლებსაც პრაქტიკოსები პრაქტიკოსებისთვისვე ახორციელებენ. სწორედ ამი-ტომ, შესაძლებელი ხდება პრაქტიკის კვლევის გამოყენება სხვადას-ხვა კონტექსტში და სხვადასხვა მიზნით. თუმცა, პრაქტიკის კვლევის მოქნილობა და მისი მასშტაბების მოცულობა, შესაძლოა, განვიხი-ლოთ როგორც ძლიერ მხარედ, ასევე შეზღუდვადაც. ამასთან ერთად, პრაქტიკის კვლევის საკვანძო კომპონენტი – თვითრეფლექსიური, პრაქტიკოსის მიერ წარმართული კვლევა, შესაძლოა, განვიხილოთ როგორც საგანმანათლებლო რეფორმის ემანსიპატორული საფუძვე-ლი. ამ ნიშნით, პრაქტიკის კვლევა განსხვავდება საგანმანათლებლო კვლევის სხვა მიდგომებისაგან. ასევე, პრაქტიკის კვლევას აფორმი-რებს მკვლევრის ინდივიდუალური პრინციპები, რაც, შესაძლოა, სა-ზოგადოდ გავრცელებულ ცოდნასთან არ მოდიოდეს შესაბამისობაში და ხელს უწყობდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის უფრო ფართო ხედვის ჩამოყალიბებას (Hargreaves, 2007a:51). გარდა ამი-სა, პრაქტიკის კვლევის მოქნილობის ერთ-ერთი გამოწვევაა, როგორ გახდეს ინდივიდუალური შემთხვევები პრაქტიკის შესახებ განხილ-ვების ნაწილი. პრაქტიკის კვლევის პოპულარობამ, ასევე, მოიტანა განმარტებებისა და ინტერპრეტაციების მრავალფეროვანი სპექტრი იმასთან დაკავშირებით, თუ რა მახასიათებლები უნდა ჰქონდეს სწორ მიდგომას. განათლება, თავისთავად, იმდენად ფართო და მრავალ-წახნაგოვანი ცნებაა და პრაქტიკის კვლევა კი ისეთი მოქნილი ინსტრუ-მენტია, რომ ერთი კონკრეტული ცოდნა ვერ გახდება დომინანტური, რაც, შესაძლოა, ორმხრივად სასარგებლო იყოს განათლების სფეროს პრაქტიკოსი მკვლევრებისთვის. სწორედ ამიტომ, ჩვენ ვეცადეთ ად-

რეული წლებისთვის რელევანტური პრაქტიკის კვლევის ჩარჩოს ინიცირება და დაგროვილი ცოდნის გასაზიარებლად, ფორუმის შექმნა. ჩვენი ხედვით, პრაქტიკოსები არიან ექსპერტები და შეუძლიათ პრაქტიკის განვითარების დისკურსში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა, თუმცა პროცესის ეფექტურობისთვის საჭიროა, გარკვეულ ასპექტებზე შეთანხმებული ხედვები არსებობდეს. სწორედ ამ მიზეზით, პრაქტიკის კვლევის ციკლისთვის, ადრეული წლების ნორმატიულ ჩარჩოში (EYFS)სპეციფიკური ეტაპები შევიმუშავეთ, რაც წიგნის მეორე ნაწილშია წარმოდგენილი. მესამე ნაწილში პრაქტიკის კვლევის პროექტების რეალური მაგალითებია განხილული. ამასთან ერთად, ჩვენი განზრახვა არ არის პრაქტიკის კვლევის რეცეპტების გამოწერა, ეს წინააღმდეგობაშია პრაქტიკის კვლევის კონცეფციის თავდაპირველ მიზნებთან. აღნიშნული კონტექსტის გათვალისწინებით, ჩვენი პერსპექტივით, პრაქტიკის კვლევის ყველაზე ზუსტი განმარტება კემისმა (2007) შემოგვთავაზა:

> პრაქტიკის კვლევა არის თვითრეფლექსიური კვლევის ფორმა, რომელიც მონაწილეების მიერ ხორციელდება სოციალურ (მათ შორის საგანმანათლებლო) სიტუაციებში, ა) საკუთარი სოციალური და საგანმანათლებლო პრაქტიკის რაციონალურობისა და შესაბამისობის გასაუმჯობესებლად, ბ) ამ პრაქტიკის უკეთ გასაგებად და გ) იმ გარემოებებში უკეთ გასარკვევად, სადაც ეს პრაქტიკა ხორციელდება.
>
> (გვ. 168)

რატომ უნდა ჩავერთო ადრეული წლების პრაქტიკის კვლევაში?

რას ამბობენ პრაქტიკოსები: ...

„პრაქტიკის კვლევა რიგ მოვლენებს განსხვავებულად დაგანახებს“.
„პრაქტიკის კვლევა დაგაფიქრებს პრაქტიკაზე და სწავლების ორგანიზებაზე“.

პრაქტიკის კვლევის ერთ-ერთი საკვანძო პრინციპია პრაქტიკის დემოკრატიული მონაწილეობით განვითარება და არა ავტოკრატული იძულება (Adelman, 1993:7). გარდა ამისა, არასავალდებულოა, თუმცა კემისის (2007:168) მიხედვით, „პრაქტიკოსი მკვლევრები ყველაზე მეტად მაშინ ძლიერდებიან, როდესაც ერთობლივად, თანამშრომლობით იკვლევენ“. ჩვენი აზრით, სწორედ თანასწორობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული პრაქტიკისა და ეფექტური ცვლილებების კვლევის შესაძლებლობის გამო, პრაქტიკის კვლევა გამოსადეგია ადრეული წლების სფეროშიც. საგანმანათლებლო კონტექსტებში, სადაც ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო პრიორიტეტები წარმართავს საგანმანათლებლო პროცესს, პროფესიული დიალოგი, პრაქტიკის კვლევის გასავითარებლად, შესაძლებელს ხდის დასაბუთებული პედაგოგიური გადაწყვეტილებების მიღებას. ამ კონტექსტში, სადაც ბავშვთან კავშირში მყოფ ყველა უფროსს ბავშვების კეთილდღეობის მიზანი აერთიანებთ, კვლევა იძლევა საქმიანობის მაფორმირებელი პერსპექტივების გამოვლენისა და გაერთიანების შესაძლებლობას. თანამშრომლობას – დაწესებულების შიგნით და დაწესებულებებს შორის – ადრეული წლების პრაქტიკოსების პროფესიული თემის გაძლიერების პოტენციალი გააჩნია. „კარგი პრაქტიკების“ შესახებ არსებული უამრავი პერსპექტივის არსებობის გათვალისწინებით, პრაქტიკის თანამშრომლობითი კვლევა ხელს უწყობს ბავშვთა საუკეთესო ინტერესების ადვოკატირებისთვის საჭირო ცოდნისა და მონაცემების დაგროვებას. უფრო მარტივად,

პრაქტიკის კვლევაში ჩართვა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, სხვადასხვა საკითხის მოგვარებას, პერსონალური და პროფესიული კმაყოფილების ზრდას უწყობს ხელს. ბავშვებთან მუშაობის შედეგების გაუმჯობესება და კონკრეტული პრობლემების მოგვარება, კავშირშია ფულანის და ბეიუს (2004) „მორალურ მიზანთან“ და ბევრი ადრეული განათლების დაწესებულების სურვილთან, „მოახდინოს სასიკეთო ცვლილებები“.

რას მომიტანს პრაქტიკის კვლევა?

რას ამბობენ პრაქტიკოსები: ...

„პრაქტიკის კვლევამ დამაფიქრა, თუ კონკრეტულად რა მაინტერესებდა ამ სფეროში და როგორ შემეძლო პრაქტიკის გაუმჯობესება“.
„მე შევძელი რეფლექსია საკუთარ პრაქტიკაზე და ჩემი ძლიერი მხარეების გამოყენება ცვლილებების მოსახდენად“.

ინდივიდები და გუნდები პრაქტიკის კვლევაში სხვადასხვა მიზეზით ერთვებიან. ეს, შესაძლოა, იყოს გარე წნეხი, შიდა გამოწვევები ან პირადი მოტივაცია. მთავარი კი პრაქტიკოსის პირადი გადაწყვეტილებაა, გააკეთოს სტანდარტებით გათვალისწინებულ საქმიანობაზე მეტი. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება განპირობებულია მრავალი ფაქტორით და ცნობიერად თუ არაცნობიერად ეყრდნობა პოტენციური სარგებლისა და გამოწვევების შეფარდებას.

პრაქტიკის კვლევაში ჩართვის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ამ პროცესში იქმნება ინდივიდუალური, პერსონალიზებული პრაქტიკა. ადრეული წლების სფეროში პრაქტიკის დანერგვა უფრო მარტივია ლოგიკური დასაბუთების გარეშე. ხშირად, ადრეული წლების დაწესებულებებში დანერგილ პრაქტიკას შემდეგნაირად ამართლებენ – „ჩვენ აქ ასე ვმუშაობთ“, „ჩვენ ყოველთვის ასე ვმუშაობდით“. პრაქტიკის კვლევის დროს კი, სხვადასხვა იდეის

პრაქტიკაში გამოცდით, ინერგება მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროცედურები და პრაქტიკოსებს ეძლევათ საკუთარი საქმიანობის უნიკალურად წარმართვისა და დასაბუთების შესაძლებლობა. საქმიანობაზე საკუთრების განცდის გაჩენას პოზიტიური შედეგები აქვს არა მხოლოდ პრაქტიკის მხრივ, არამედ პირადი განვითარების თვალსაზრისითაც.

ქვემოთ მოცემულია ფაქტორები, რომლებიც პრაქტიკოსის პრაქტიკის კვლევაში ჩართვას განსაზღვრავს. ფაქტორები პრიორიტეტების მიხედვით არ არის დალაგებული, რადგან თითოეული მათგანის მნიშვნელობა კონტექსტისა და ინდივიდების მიხედვით იცვლება. სამოქმედო კვლევის უპირატესობებთან დაკავშირებით, სამი მსხვილი კაგეტორიის გამოყოფა შეიძლება: „პროფესიული განვითარება“, „გუნდის განვითარება“ და „ბავშვის განვითარება“.

პროფესიული განვითარება

რას ამბობენ პრაქტიკოსები: ...

„პრაქტიკის კვლევა დამეხმარა, დამენახა ჩემი პროფესიული განვითარების გზები“.
„ძალიან გამიმართლა, რომ პრაქტიკის კვლევაში მონაწილეობის შესაძლებლობა მომეცა. და ვგრძნობ, რომ ამან ჩემი თავდაჯერებულობა გაზარდა“.

პრაქტიკის კვლევა, როგორც პრაქტიკოსების მართული, თავიანთი პრაქტიკის გასაუმჯობესებელი თვითრეფლექსიური შესწავლა, პროცესის ცენტრალურ კომპონენტად მოიაზრებს პროფესიულ განვითარებას. პრაქტიკის კვლევა პროფესიული განვითარების აქტივობაა და შესაბამისად, პერსონალის პრაქტიკის კვლევაში ჩართვას, ზოგიერთი დაწესებულება მიღწევად განიხილავს. პრაქტიკის კვლევის შედეგად, რეფლექსირებენ საკუთარ პრაქტიკაზე, აღმოაჩენენ ახალ მიგნებებს

და ახორციელებენ ცვლილებებს. მისი კიდევ ერთი ღირებულებაა „არსებული უნარების კონსოლიდირება და ახალი უნარების განვითარება“ (ინგლისის ზოგადი სწავლების საბჭო, 2006:5), რაც პიროვნული და პროფესიული განვითარების მიმზიდველი გზაა. ამასთან ერთად, მაკნიფი (2002:15) აღნიშნავს, რომ „კვლევის ეს ფორმა, შესაძლოა, ჩატარდეს ნებისმიერ კონტექსტში, სტატუსისა და პოზიციის მიუხედავად“.

არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ პროფესიული სწავლა უფრო მეტად ზუსტი ტერმინია, ვიდრე ტრენინგი ან პროფესიული განვითარება. მოცემულ წიგნში ვიზიარებთ ამ არგუმენტებს და ვიყენებთ პორიტის (Porrit, 2013:79) განმარტებას, რომლის მიხედვითაც, „პროფესიული განვითარება ნიშნავს – პროფესიულ სწავლებაში ჩართვის შედეგად – არსებული პრაქტიკის ცვლილებასა და გაუმჯობესებას“.

გუნდის განვითარება

რას ამბობენ პრაქტიკოსები: ...

„პრაქტიკის კვლევის შედეგად, უფრო მეტად ვაანალიზებ ჩემს პრაქტიკას და იდეებს გუნდში ვაზიარებ“.
„ძალიან სასიამოვნოა, კოლეგებთან ერთად, ჩვენს პრაქტიკაზე დისკუსია. მათთან მსჯელობას დადებითი გავლენა აქვს ბავშვებზე და გარემოზე“.

პრაქტიკის კვლევის ერთ-ერთი ძლიერი მხარე დაკავშირებულია გუნდში მუშაობასთან, სადაც მოსაზრებების, აზრების, წარმოდგენებისა და პერსპექტივების გაზიარება ხდება. გუნდში მუშაობის სარგებელი არ არის მხოლოდ პოზიტიური ატმოსფეროს შექმნა, სადაც ნებისმიერ პრაქტიკოსს შეუძლია თავისი მოსაზრების მარტივად და მშვიდად გამოხატვა, არამედ გუნდში მუშაობის პროცესში ხდება ახალი იდეების აღმოჩენა, სხვადასხვა პერსპექტივების შესწავლა. პედაგოგიური დის-

კუსიისთვის ისეთი კლიმატის შექმნაა საჭირო, სადაც ჯგუფის ყველა წევრი შეძლებს, თავდაჯერებულად გამოთქვას საკუთარი აზრი და მშვიდად წამოჭრას კითხვები საკუთარი ან სხვისი პერსპექტივის შესახებ. როდესაც პრაქტიკის კვლევის განხორციელების ირგვლივ გუნდი ყალიბდება, საჭიროა თანამშრომლობის გარკვეულ პრინციპებზე შეთანხმება. პრინციპები, უპირველესად, ეყრდნობა დემოკრატიულობას, სადაც ყველა პირის პერსპექტივა ფასეულად და ღირებულად ითვლება. აღნიშნული მიდგომა არეკლილია კემისის (Kemmis, 2013:167) ციტატაში: „პრაქტიკის კვლევა არის კვლევის თანამონაწილეობითი დემოკრატიული ფორმა, რომელიც განათლებას აუმჯობესებს“. დემოკრატიული დისკუსია, შესაძლოა, რთული იყოს, განსაკუთრებით იმ სიტუაციებში, სადაც სტრუქტურირებული იერარქიული სისტემა არსებობს. დემოკრატიული დისკუსიის პროცესის ორგანიზება, შესაძლოა, გაძნელდეს ისეთ დაწესებულებაშიც, სადაც პრაქტიკოსებს გადატვირთული სამუშაო დღე აქვთ. კოლაბორაციული დისკუსიის მნიშვნელობა ხაზგასმულია წიგნის მეორე თავის პრაქტიკულ მაგალითებში, სადაც პრაქტიკოსი გვიზიარებს დისკუსიის პროცესის საკუთარ გამოცდილებას.

ბავშვების განვითარება

რას ამბობენ პრაქტიკოსები: ...

„ბავშვების მოსაზრებების გაგება ძალიან დაგვეხმარა, მოვლენები შეგვეცნო მათი პერსპექტივიდან და მიგვეღო ინფორმირებული გადაწყვეტილება“.
„...ეს ახალისებს ბავშვებს, იურთიერთონ, გაუზიარონ ერთმანეთს აზრები, დაიცვან რიგი“.

ცხადია, ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რის გამოც პრაქტიკოსი იწყებს და ახორციელებს პრაქტიკის კვლევას, ის პოტენციური პოზიტიური

შედეგია, რომელიც შესაძლოა, კვლევას ჰქონდეს ბავშვის განვითარებაზე. ღრმად გვწამს, რომ პრაქტიკოსი არის უპირველესი ექსპერტი, რომელიც ყველაზე უკეთ იცნობს საკუთარი ჯგუფის ბავშვებს და საგანმანათლებლო კონტექსტს. ჩვენი გამოცდილება აჩვენებს, რომ პრაქტიკოსებს აქვთ კონკრეტული მიზნები – კონკრეტულ ბავშვთან ან ბავშვების ჯგუფთან დაკავშირებით – რომელთა გამოკვლევაც სურთ, მაგრამ რადგან პრაქტიკის კვლევისას ცვლიან და აფასებენ თავიანთ მიდგომებს, საბოლოო ჯამში, კვლევის დადებითი შედეგები ყველაზე აისახება.

ჩვენი გამოცდილებით, ადრეული წლების ფუნდამენტურ ეტაპზე მომუშავე პრაქტიკოსების მთავარი ფოკუსი – ბავშვების კეთილდღეობა და განვითარებაა. პრაქტიკის კვლევის პროცესში ჩართვით, შესაძლებლობა ეძლევათ, საკუთარი კვლევა დაუკავშირონ უფრო ფართო პერსპექტივებს ლიტერატურიდან, რის შედეგადაც ფორმირდება და იხვეწება მათი პრაქტიკა. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ნარატივები პრაქტიკოსების რეალური გამოცდილებიდან:

„პრაქტიკის კვლევაზე მომუშავე ჯგუფის მიზნებმა ჩემი ცოდნა გააფართოვა“.

„ლიტერატურის გაცნობისას, ვფიქრობდით იმაზე, თუ როგორ დავუკავშირებდით წაკითხულს ჩვენს კონკრეტულ ბავშვებს და გონებაში წარმოვიდგენდით შესაძლო ცვლილებებს, რომლებსაც განვახორციელებდით“.

კონკრეტული ფრაზები მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ ადრეული წლების ეტაპზე მომუშავე პრაქტიკოსების მთავარი ფოკუსი ბავშვებზეა ორიენტირებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, პრაქტიკის კვლევის განხორციელებისას, მკაფიოდ დაინახონ და დარწმუნდნენ, თუ რა პოზიტიური შედეგები ექნება კვლევას მათზე.

მტკიცებულებებით ინფორმირებული პრაქტიკა

რას ამბობენ პრაქტიკოსები: ...

„ძალიან მნიშვნელოვანია, გქონდეს დრო შენს პრაქტიკაზე რეფლექსიისთვის. კვლევაზე წვდომა ინფორმაციულია მთელი გუნდისთვის“
„კვლევის ფოკუსი გეხმარება, იპოვო და მოიძიო შესაბამისი ლიტერატურა და სტატიების შეგროვების პროცესი არ იყოს დამქანცველი“.

მას შემდეგ, რაც ჰარგრივსმა (Hargreaves, 1996) მკვლევარსა და პრაქტიკოსს შორის თანამშრომლობას საგანმანათლებლო რეფორმების გული უწოდა, კვლევისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირზე დისკუსია არ შენელებულა (Elliot, 2007; Hammersley, 2007; Hargreaves, 2007). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პრაქტიკის კვლევის ოპენენტები ხშირად საუბრობენ მის შეზღუდვებზე. მათი აზრით, რადგან პრაქტიკის კვლევა პრაქტიკოსის კონკრეტული, სპეციფიკური კონტექსტის შესწავლაა, კვლევის შედეგების, მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება და განზოგადება ვერ მოხდება სხვადასხვა სიტუაციებში. პრაქტიკოსების წუხილი კი დაკავშირებულია იმასთან, რომ პრაქტიკის კვლევა, უმეტესად, აკადემიურ ჟურნალებსა და სტატიებშია წარმოდგენილი, შესაბამისად, ლიტერატურაში არსებული მტკიცებულებები მათთვის სულაც არ არის მარტივად ხელმისაწვდომი. ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებების გათვალისწინებით, განათლების სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა, შესაძლოა, განიმარტოს შემდეგნაირად:

> განათლების სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების პროცესს, რომელიც აერთიანებს (1) საუკეთესო ხელმისაწვდომ მტკიცე-

> ბულებებს (2) პროფესიულ მსჯელობასა და დასაბუთებას (3) კლიენტის ფასეულობებსა და კონტექსტს.
>
> (Spencer, Dietrich, & Slocum, 2012:129)

გადაწყვეტილების მიღების პროცესის უმნიშვნელოვანეს ნაწილად პროფესიული მსჯელობის, დასაბუთების მნიშვნელობის გააზრებასა და მის განხილვას, კიდევ ერთი ტერმინის გამოყენებისკენ მივყავართ – მტკიცებულებებით ინფორმირებული პრაქტიკა. ხშირად, *მტკიცებულებებზე დაფუძნებული* და *მტკიცებულებებით ინფორმირებული* პრაქტიკის ცნებები საკამათოა. მათი გამიჯვნისას, აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რამდენად არსებობს მტკიცებულების ინტერპრეტირების თავისუფლება ან შეზღუდვა. თუმცა, რეალურად, ეს განსხვავება მეტწილად სემანტიკურია და ხშირად, შეცდომაში შეჰყავს ადამიანი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნებისმიერი კვლევა მოითხოვს გარკვეულ ინტერპრეტაციას, ვარაუდი იმის შესახებ, რომ კვლევის შედეგები მტკიცებულებების გარეშე მიიღება, ალოგიკურია. ჰარგრევსი (Hargreaves, 1999) განმარტავს:

> გადაწყვეტილება არ მიიღება მხოლოდ კვლევის მტკიცებულებებზე დაყრდნობით; მტკიცებულება არის ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი ელემენტი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მასწავლებლებმა და განათლების პოლიტიკის შემქმნელებმა მხედველობაში უნდა მიიღონ: (1) კვლევის მტკიცებულებების ხარისხი და ძლიერი მხარეები (2) გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული კონტექსტუალური ფაქტორები. მე გთავაზობთ, რომ ვისაუბროთ მტკიცებულებით ინფორმირებულ, და არა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პოლიტიკასა და პრაქტიკაზე.
>
> (Hargreaves, 1999:246)

რამდენად რელევანტური იქნება მტკიცებულება ამა თუ იმ სპეციფიკური კონტექსტისთვის, დამოკიდებულია ინდივიდუალურ პერს-

პექტივაზე, ინსტიტუციურ პრიორიტეტებსა და პოლიტიკურ კლიმატზე. შესაბამისად, ჩვენი რეკომენდაციაა, გარკვეული მიდგომა მხოლოდ იმიტომ არ გადმოვიტანოთ ჩვენს პრაქტიკაში, რომ ის „ეფექტურია“. ამის ნაცვლად, საჭიროა პრაქტიკოსების კრიტიკული ხედვა, საკუთარი ხედვებისა და რეპერტუარის გაანალიზება.

განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ტიმპერლიმ და ერლიმ (Timperley & Earl, 2008) შემოგვთავაზეს მტკიცებულებებით ინფორმირებული მსჯელობისთვის საჭირო პირობები, რომლებიც მტკიცებულების ინტერპრეტირებისა და გამოყენებისთვის არის საჭირო. პირველი პირობა უკავშირდება მტკიცებულებასა და პრაქტიკოსების რეალურ პრაქტიკას შორის შესაბამისობას. მეორე – კვლევისადმი მიდრეკილებასა და ინტერესს, ხოლო მესამე, პატივისცემასა და გამოწვევას შორის ბალანსის დაცვას. ავტორების პერსპექტივის გათვალისწინებით, მტკიცებულების რელევანტურობა, კვლევისადმი ავთენტური ინტერესი და სადისკუსიო ჯგუფის ინტერპერსონალური დინამიკა აისახება იმაზე, თუ როგორ ინტერპრეტირდება მტკიცებულება და როგორ მოხდება მისი გამოყენება.

ანალოგიურად, პროფესიული სწავლის გაერთიანებებზე[1] აქცენტის გაკეთებით, როჯერსმა და ბრაუნმა (Rogers & Brown, 2015) გამოიკვლიეს ცოდნის წარმომქმნელი აქტივობა, რომელიც აღმოცენდება პრაქტიკის მქონე და ფორმალური ცოდნის მქონე ექსპერტებს შორის თანამშრომლობის გზით. შეიძლება ითქვას, რომ ცოდნის წარმომქმნელი აქტივობა იგივეა, რასაც ჩვენ ფასილიტაციურ პრაქტიკის კვლევას ვუწოდებთ. პრაქტიკოსთა გამოცდილებისა და პრაქტიკის კვლევის კონცეპტუალური ჩარჩოს კომბინაციით, BERA[2]-ს მიერ შემუშავდა კონცეფცია „პრაქტიკასთან მიახლოვებული კვლევის“ შესახებ.

განათლების დაფინანსების ფონდი (EEF) მასწავლებლებს სთავაზობს ინტერვენციებსა და მიდგომებს, რომლებიც მტკიცებულებებზეა დაფუძნებული. მიუხედავად იმისა, რომ ფონდის პლატფორმაზე უმეტე-

1 Professional Learning Communities
2 British Educational Research Association

სად რაოდენობრივი კვლევის შედეგებია ასახული, პრაქტიკოსისთვის მაინც სასარგებლოა, რადგან შეუძლია გაიგოს, თუ რა ტიპის ინტერვენციებია ხარჯთეფექტური და მოკლე დროში განსახორციელებელი. აღსანიშნავია, რომ ადრეული წლების კვლევები უმეტესად თვისობრივ ხასიათს ატარებს, რათა მოხდეს გარკვეული კონტექსტის უფრო სიღრმისეულად გამოკვლევა.

მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ კვლევებითა და ლიტერატურის გაცნობით, ვერ მივიღებთ ზუსტ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთონ პრაქტიკოსებმა თავიანთი პრაქტიკის კვლევის განხორციელებისას. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ:

> პრაქტიკოსებს არ ეძლევათ რეცეპტები, თუ რა და როგორ უნდა განახორციელონ პრაქტიკის კვლევაში, ან რა იქნება კვლევის შედეგები. პრაქტიკის კვლევის შედეგად, მასწავლებლები გადაწყვეტილებებს მიიღებენ იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომელშიც ისინი მუშაობენ.
>
> (Winch, Oancea, & Orchard, 2015:210)

აქედან გამომდინარე, პრაქტიკის კვლევის განხორციელებისას, გადაწყვეტილებების მიღება და კვლევის ინტერპრეტაცია უნდა ითვალისწინებდეს პრაქტიკოსების ცოდნას და მათ პროფესიულ შეხედულებებს ბავშვების საჭიროებების შესახებ. პრაქტიკოსისთვის პრინციპი – „თუ მიდგომა ეფექტურად მუშაობს, განახორციელე“ – არ იქნება გამოსადეგი, რადგან „ერთი ზომა ყველას ვერ მოერგება“. შესაბამისად, ლიტერატურის ან კვლევის გაცნობისას, პრაქტიკოსის ამოცანაა, რომ კრიტიკულად მიუდგეს მათ და დაფიქრდეს, რამდენად და როგორ დაუკავშირებს მიღებულ ცოდნას საკუთარ პრაქტიკას და ბავშვებს.

პროექტის დაგეგმვა და გავლენის შეფასება

რას ამბობენ პრაქტიკოსები: ...

„შეფასება გვეხმარება, დავასაბუთოთ განხორციელებული ცვლილებები და ჩამოვაყალიბოთ, თუ როგორი გავლენა იქონია პრაქტიკის კვლევის პროექტმა ჩვენს რეალურ პრაქტიკაზე“.
„კვლევის ზეგავლენა არ არის მხოლოდ გარემოში განხორციელებული ცვლილებები. კვლევას გავლენა აქვს ჩვენზე, მასში ჩართულ გუნდზე და ჩემზეც, როგორც მასწავლებელზე“.

წარმატებული კვლევის პროექტი გულისხმობს პრაქტიკის კვლევის ყველა ეტაპზე რეფლექსიას, თუ რა გავლენა აქვს განხორციელებულ ცვლილებებს. გავლენის შეფასება პრაქტიკოსისთვის, შესაძლოა, საკმაოდ დამღლელი აღმოჩნდეს, ამიტომ შემდეგ სექციაში გთავაზობთ პრაქტიკულ გზამკვლევს, თუ როგორ განიხილოთ თქვენი პროექტი მიდგომით, რომელსაც გავლენის შეფასება ჰქვია.

გავლენის შეფასება თქვენს კვლევით პროექტზე ფიქრის სპეციფიკური გზაა. ამ წიგნში გამოყენებული გავლენის შეფასების ვერსია ეყრდნობა ვივიენ პორიტისა (Vivienne Porritt) და UCL ინსტიტუტის სწავლისა და ლიდერობის ლონდონის ცენტრის ნაშრომებს. გავლენის შეფასების განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ შეფასება მრავალი მიზეზის გამოა მნიშვნელოვანი, თუმცა საგანმანათლებლო კონტექსტში მისი გახორციელება, ხშირად, პრობლემად და გამოწვევად განიხილება. ეს, შესაძლოა, განპირობებული იყოს დროის ნაკლებობით ან იმით, რომ ბოლომდე არ ვართ დარწმუნებულები, თუ შეფასების რომელი მიდგომაა საუკეთესო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ უმეტესად, შეფასებასთან ასოცირებულია გარე წნეხი ან მაღალი რისკის მატარებელი შემოწმებები (Broadbury & Roberts-Holmes, 2017).

მოცემულობებზე თუ შედეგებზე დაფუძნებული შეფასება

შეფასების ორი მიდგომა არსებობს. ერთი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მოცემულობებზე, ხოლო მეორე – შედეგებზე. მოცემულობაზე დაფუძნებული შეფასება, ძირითადად, რაოდენობრივია და აგროვებს მონაცემებს. მაგალითად, რამდენი ადამიანი დაესწრო ტრენინგს, რამდენი ტრენინგი ჩატარდა, როგორ შეაფასეს მონაწილეებმა ტრენინგი. ფოკუსი კეთდება იმაზე, თუ რა გაკეთდა, და არა იმაზე, თუ რა მოხდა. შესაძლოა, მსგავსი გაზომვები სასარგებლო იყოს, მაგრამ ვერ გვაძლევს ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, დადგა თუ არა რეალური ცვლილება. ძველი გამოთქმა – „ღორის აწონვით, ბეკონის ხარისხზე ვერაფერს გავიგებთ“ – კარგად ასახავს მოცემულობაზე დაფუძნებული შეფასების არსს. თუ ყველა მონაწილე პროფესიული განვითარების რომელიმე ტრენინგს საუკეთესო შეფასებას უწერს, ერთი შეხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ ტრენინგს კარგი შედეგი ჰქონდა. თუმცა, თუ მონაწილეებმა მაღალი შეფასებები იმიტომ დაწერეს, რომ პრეზენტატორი მოეწონათ, კარგი ლანჩი მიირთვეს, სამსახური გაუცდათ, ანდა ტრენინგი ადრე დაამთავრეს, ტრენინგის ეფექტურობა და შედეგი, შესაძლოა, მაინც დაბალი იყოს, რადგან არც ერთი ზემოთ ხსენებული ინფორმაცია არ გვეუბნება არაფერს დასწავლაზე, განწყობებისა და ქცევების ცვლილებებზე და არც იმაზე, თუ რას გააკეთებენ სხვანაირად ამ მოცემულობის(ტრენინგის) შედეგად.

მოცემულობაზე დაფუძნებული შეფასების მაგალითი 1: საბავშვო ბაღს უნდა მშობლების ჩართულობის წახალისება – ბავშვების სწავლის მხარდასაჭერად. ამისათვის, ბაღი გეგმავს გაცნობით ღონისძიებას მშობლებთან, აწარმოებს მშობლებთან კონტაქტის აღრიცხვას, ატარებს დილის შეხვედრებს და ქმნის საინფორმაციო ბროშურას მშობლებისთვის. ბოლოს, ფასდება მშობლების ჩართულობის პროექტი. ბაღმა ბევრი აქტივობა განახორციელა, რაც მოცემულობაა, მაგრამ შედეგი – მშობლების ჩართულობის დონის გავლენა ბავშვების განათლებაზე – დაბალი რჩება.

მეორე მხრივ, შედეგებზე დაფუძნებული შეფასების მიდგომა, ბავშვებზე ასახულ შედეგებზე აკეთებს ფოკუსს, თუ რა სარგებელი მიიღეს მათ პროექტით. გასკის მოდელთან (2000) დაკავშირებული შედეგების ხუთდონიანი შეფასება მოიცავს მონაწილეების რეაქციებს, სწავლას, ორგანიზაციულ მხარდაჭერას, ცვლილებებს, მონაწილეების მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენებას და ბავშვების სწავლის შედეგებს. ამგვარი შედეგებზე დაფუძნებული მოდელი ბევრად გამოსადეგია პროექტის შესაფასებლად. მოდელი, ასევე, ითვალისწინებს პრაქტიკოსებზე მოხდენილ გავლენასაც. შეიცვალნენ ისინი, როგორც პროფესიონალები? შეცვალეს პრაქტიკის სხვადასხვა ასპექტები? პროფესიული განვითარების კონტექსტში, ერლი და პორიტი (2010) გავლენის შეფასებისას გამოყოფენ *პროდუქტებს, პროცესებსა* და *შედეგებს.* პროდუქტები საქმიანობის ხელშესახები შედეგებია, რომლებიც, შესაძლოა, შეიქმნას ან გაუმჯობესდეს. მაგალითად, საინფორმაციო ბროშურა„ პოლიტიკის დოკუმენტი, სახელმძღვანელო, პერსონალის ცნობარი, პროფესიული განვითარების შესაძლებლობების კატალოგი, საიტი ან სამუშაო შეხვედრა. პროცესები ეხება სისტემების ან პროცედურების შექმნა/გაუმჯობესებას. მაგალითად, პროფესიული განვითარების შესაძლებლობებზე განაცხადის გაკეთების ფორმის განახლება, პროფესიული განვითარების კატალოგის სისტემაში ან მშობლების ჩართულობის მონიტორინგის მექანიზმის შექმნა. შედეგები კი უკავშირდება ქცევების, განწყობების, გრძნობების, უნარების ან პრაქტიკის ცვლილებებს, ბავშვების სწავლასა და გამოცდილებებს (Earley & Porritt, 2010:8).

მეორე მაგალითი ეხება მშობლების ჩართულობის პროექტის შედეგებზე დაფუძნებულ გავლენის შეფასებას.

შედეგებზე დაფუძნებული გავლენის შეფასების მაგალითი: საბავშვო ბაღს სურს მშობლების ჩართულობის წახალისება, ბავშვების სწავლის მხარდასაჭერად.

პროდუქტების საწყისი მდგომარეობა: ჩვენი პრაქტიკა იყო: კონტრაქტი ბაღსა და ოჯახს შორის	**გავლენა პროდუქტებზე:** გაუმჯობესებული პრაქტიკა იქნება: განახლებული პოლიტიკა, რომლის ნაწილიც იქნება მშობლების ჩართულობის სტრატეგია და რომელიც შემუშავდება მშობლებთან ერთად.
პროცესების საწყისი მდგომარეობა: ჩვენი პრაქტიკა იყო: ყოველი სემესტრის პირველი სამშაბათის დილის შეხვედრები. სემესტრული დაბეჭდილი ანგარიში.	**გავლენა პროცესებზე:** გაუმჯობესებული პრაქტიკა იქნება: მოქნილობა – შეხვედრების თარიღებისა და დროის შეთავაზებისას. რეგულარული პროგრესის განახლებების გაზიარება მშობლებთან. გარდა ამისა, შეუძლიათ, პასუხი ონლაინ გასცენ(დაცული მონაცემების საიტი)
შედეგები: რას ვაკეთებდით: მშობლები თავს გრძნობდნენ გარიყულად და უჭირდათ ბაღის მოლოდინებთან თუ მოთხოვნებთან შეთავსება (მაგალითად, დილის შეხვედრებზე დასწრება უჭირთ სრულ განაკვეთზე დასაქმებულ მშობლებს). ზოგიერთმა მშობელმა არ იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა, თუ კითხვები გაუჩნდებოდა კურიკულუმის ან ბავშვის დახმარების გზებთან დაკავშირებით.	**შედეგები:** ჩვენი გავლენა იქნება: მშობლები თავს გრძნობენ ჩართულად და გამოხატავენ კავშირის სურვილს. პერსონალს გააზრებული აქვს, რომ მშობლებთან პარტნიორობით მუშაობს. პერსონალისა და მშობლების სამუშაო შეხვედრები. ცხობაში გამოცდილი მშობლები ბავშვებთან ერთად აცხობენ ნამცხვარს, პერსონალი აქტივობას უკავშირებს სწავლას, ბაღის მენიუ მრავალფეროვანი ხდება, ბავშვებს მოსწონთ ცხობა.

თუმცა, რეალური გავლენა და შედეგები რომ გავიგოთ, მნიშვნელოვანია, შევაფასოთ სიტუაცია ინიციატივის დაწყებამდე, რაც მოგვცემს საწყისი წერტილის შესახებ ინფორმაციას და სწორედ პირველადი შედეგების გათვალისწინებით, გაიზომება საბოლოო შედეგი (Earley & Porritt, 2010). მეორე ნაწილში მოცემულია რჩევები პირველადი შეფასების გასაკეთებლად.

ეთიკის საკითხები

ეთიკის საკითხების შეფასება ნებისმიერი კვლევის მნიშვნელოვანი განზომილებაა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულად აქტუალურია, როცა კვლევას პრაქტიკოსი ატარებს, რადგან მათ, პოზიციიდან გამომდინარე, გარკვეულ ინფორმაციაზე მიუწვდებათ ხელი. კვლევის მიზნებისთვის ამ ინფორმაციის გამოყენება კი, სხვადასხვა მხრიდან თანხმობებს მოითხოვს. მნიშვნელოვანია არსებული ნებართვების დეტალების გათვალისწინება და კვლევის ფარგლებში მოგროვილი ნებისმიერი ინფორმაციის მხოლოდ კვლევის მიზნებისთვის გამოყენება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, კვლევაში დაცული იყოს ზოგად მონაცემთა დაცვის რეგულირება (GDPR)[3]. აუცილებელია ღიაობა და გამჭვირვალობა იმასთან დაკავშირებით, თუ რას აკეთებ, რას იყენებ და რა განზრახვები გაქვს.

ბრიტანეთის განათლების კვლევის ასოციაციას (BERA), პრაქტიკის კვლევის ყველა ასპექტში, დეტალურად აქვს გაწერილი ეთიკასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპები. ასოციაციის მიერ რეკომენდებულია, რომ პრაქტიკის კვლევა განხორციელდეს „განათლების კვლევის ეთიკურ სახელმძღვანელო“-სთან შესაბამისობაში (BERA, 2018). ანალოგიურად, ევროპის ადრეული ბავშვობის განათლების კვლევის ასოციაცია (EECERA)[4] გვთავაზობს „ეთიკურ სტანდარტებს ადრეული ბავშვობის მკვლევრებისთვის“ (EECERA, 2015).

3 General Data Protection Regulation
4 European Early Childhood Education Research Association

ასევე მნიშვნელოვანია, პროექტის შერჩევის დასაბუთებისას, ეთიკის საკითხები იყოს გათვალისწინებული. რადგან პრაქტიკის კვლევის პროცესი ხშირად გარკვეული პრობლემის იდენტიფიცირებას და მის გადაჭრას ეხება, პრაქტიკოსი მკვლევარი შესაძლოა დადგეს დილემის წინაშე, იკვლიოს თუ არა რეალური პრობლემა. მაგალითად, შესაძლოა, წარმოჩინდეს ბავშვების კეთილდღეობაზე ნეგატიური ეფექტის მქონე პრობლემა. იმ შემთხვევაში, თუკი მკვლევარი, სხვადასხვა მიზეზის გამო, მის მიერ იდენტიფიცირებული რეალური პრობლემის გადაჭრას არ შეეცდება და სხვა თემას აარჩევს კვლევისთვის, შესაძლოა, მისი გადაწყვეტილება არაეთიკურად მივიჩნიოთ.

წინააღმდეგობრივი პრიორიტეტები ადრეული განათლების სფეროში, შესაძლოა, ეთიკის შესახებ განსხვავებულ წარმოდგენებში აირეკლოს. როგორც პრაქტიკის ოპერაციული ლიდერები, პრაქტიკოსები უნდა ხელმძღვანელობდნენ ბავშვის „საუკეთესო ინტერესების“ მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი ინტერპრეტაციით. თუმცა, იმ ორგანიზაციებში, სადაც ნათელი და გაზიარებული ღირებულებები არ აქვთ, „საუკეთესო ინტერესების“ განსაზღვრა, უამრავი ურთიერთსაწინააღმდეგო პერსპექტივის გამო, შესაძლოა, რთული აღმოჩნდეს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, თითოეულმა პრაქტიკოსმა გაიაზროს საკუთარი ეთიკური პასუხისმგელობა იმ სიტუაციებშიც კი, როდესაც დამკვიდრებული და გაზიარებული ეთიკური პრინციპები არ არსებობს (Palaiologou, 2012).

შეჯამება

პრაქტიკის კვლევა აქტიურად გამოიყენება საგანმანათლებლო კონტექსტში, პრაქტიკის გასავითარებლად და ლოკალურ საკითხებში გასარკვევად. პრაქტიკის კვლევის პროცესის მრავალი აღწერა და ინტერპრეტაცია არსებობს. თავიდანვე პრაქტიკის კვლევის ცენტრალური მახასიათებელი იყო კვლევის, დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ციკლური ჩარჩო. პრაქტიკის კვლევის მოაზრება, როგორც

პრაქტიკოსების მიერ პრაქტიკოსებისთვის განხორციელებული თვითრეფლექსიური კვლევა, განსაკუთრებულად გამოსადეგია ადრეული წლების ფუნდამენტური ეტაპის ნორმატიულ ჩარჩოში (EYFS), რაც პრაქტიკოსებს აძლევს ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას; შესაძლებლობას, გაერკვეს საკუთარი პრაქტიკის ასპექტებში და განაპირობებს მდგრად ცვლილებებს.

ადრეული ასაკის ფუნდამენტურ ეტაპზე, პრაქტიკის კვლევის განხორციელების პროცესი გვაძლევს სერვისის შესწავლის ძლიერ ინსტრუმენტს, რომელიც სერვისის ასპექტების გაუმჯობესებას ემსახურება (მოიცავს თანამშრომლებს, ბავშვებს, ფიზიკურ გარემოს, ლინგვისტურ გარემოს, ემოციურ გარემოს და, მათ შორის, მრავალმხრივ კავშირებს პედაგოგიური მიდგომების ჩამოყალიბებისათვის, რაც საბოლოო ჯამში, სწავლასა და განვითარებაზე აისახება). პრაქტიკოსს საშუალება ეძლევა ექსპერტული გამოცდილების, კვლევის და ლიტერატურის ფართო სპექტრის გააზრების შედეგად, პედაგოგიური გადაწყვეტილებები ინფორმირებული მტკიცებულებებით და კონტექსტთან შესაბამისობით მიიღოს.

პრაქტიკის კვლევის პროცესი ხელს უწყობს როგორც ინდივიდების, ასევე გუნდის განვითარებას, პრაქტიკისა და ბავშვების შედეგების გაუმჯობესებას. მიმდინარე ტრანსფორმაციების შეფასება და შეფასების ჩართვა, პრაქტიკის კვლევის პროცესში უზრუნველყოფს შეთანხმებულ, გაზიარებულ ხედვას, რომელიც ასახავს პრაქტიკას და წვლილი შეაქვს მიმდინარე ნარატივის ჩამოყალიბებაში.

თავი მეორე
პრაქტიკის კვლევის ფაზები

შესავალი

მოცემული თავი გვთავაზობს პრაქტიკის კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებული ეტაპების სიღრმისეულ, ნაბიჯ-ნაბიჯ მიმოხილვას. თითოეული ფაზის განხილვისას, კვლავ დავუბრუნდებით თეორიულ ნაწილს და დავასაბუთებთ პრაქტიკის კვლევის ეტაპების მიზნებს. მოცემულ თავში მოწოდებულია პრაქტიკული მაგალითები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებულ კონტექსტებში განხორციელდა. მაგალითების სახით მოცემული, ადრეული ასაკის ფუნდამენტურ ეტაპზე პრაქტიკის კვლევის განხორციელებული პროექტები, შესაძლებლობებისა და პოტენციური გამოწვევების შესახებ ნათელ სურათს გვაწვდის.

პრაქტიკის კვლევის ძირითადი მახასიათებელი – ციკლურობა – არ არის მკაცრად განსაზღვრული პროცესი. წიგნში წარმოდგენილია ფართო ციკლი, რომელიც მოიცავს ფოკუსის განსაზღვრას, ინფორმაციის შეჯერებას, ცვლილების დაგეგმვას და გატარებას, გავლენის შეფასებასა და სამომავლო გეგმებს (მომავლის განხილვას). ამავდროულად, თითოეული ჩამოთვლილი ეტაპის ქვეშ მოიაზრება დამატებითი ციკლი, რომელიც საჭიროებს დაგეგმვას, მოქმედებას, დაკვირვებასა და რეფლექსიას. პრაქტიკის კვლევის პროცესში დიდი ციკლისა და ქვეციკლების გავლა ერთზე მეტჯერ უნდა მოხდეს, რათა შესაძლებელი იყოს არსებული სიტუაციის ჯეროვნად გამოკვლევა, გასავითარებელი ასპექტების განსაზღვრა და განხორციელებული ცვლილებების შედეგე-

ბის შეფასება. დაგეგმვის, მოქმედების, დაკვირვებისა და რეფლექსიის ციკლის გავლის რაოდენობა, დამოკიდებულია ინდივიდუალურ კონტექსტსა და გარემოებებზე. პრაქტიკის კვლევისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი მისი მოქნილობაა, შესაბამისად, პროცესში ეტაპები და ფაზები კარგი გააზრების შედეგი უნდა იყოს, და არა გარედან მიწოდებული მკაცრი მოთხოვნის მიყოლა.



ფოკუსის განსაზღვრა

პრაქტიკის იმ ასპექტების თავდაპირველი იდენტიფიცირება, რომლებიც უფრო დეტალურ შემოწმებასა და შესწავლას საჭიროებს, შესაძლოა, დაფუძნებული იყოს პრაქტიკოსის ეჭვებსა და განცდებზე, და არა გარკვეულ, ხელშესახებ ინფორმაციაზე. პრაქტიკის კვლევის პროცესის ერთ-ერთი მახასიათებელი სწორედ ჩვენი რწმენების შესწავლაა, სა-

დაც, შესაძლოა, თანაბრად ვალიდური იყოს პრაქტიკოსის უსიამოვნო გრძნობებიც და პრაქტიკის გარკვეული ასპექტისადმი ზოგადი ინტერესიც. ფოკუსის განსაზღვრისთვის, გონების ღიაობაა საჭირო, რომლის დროსაც პრაქტიკოსი თავის ხედვებსა და მოსაზრებებს განიხილავს, როგორც ერთ-ერთ შესაძლო პერსპექტივას. სწორედ ამგვარი მიდგომით არის შესაძლებელი ჭეშმარიტად ავთენტური და კრიტიკული რეფლექსია. თუ პრაქტიკის კვლევა კოლეგასთან ერთად, თანამშრომლობით ტარდება, კვლევის დაწყებისას კიდევ უფრო მნიშვნელოვანია პრაქტიკის შესახებ სხვადასხვაგვარი ხედვების შეჯერება. ასევე ღირებულია გამოვიკვლიოთ, თუ რა პედაგოგიური პერსპექტივები ახდენს გავლენას ჩვენს ხედვებზე. მნიშვნელოვანია, პრაქტიკის კვლევაში თანამშრომლობის დროს, თითოეულმა წევრმა გაიაზროს, რომ მათი ხედვები თანაბრად ღირებული და ფასეულია.

პრაქტიკის კვლევის საწყის ეტაპზე, შესაძლოა, ზოგ შემთხვევაში აშკარა და მკაფიო იყოს საწყისი წერტილი, შესწავლის საგანი, ზოგიერთ შემთხვევაში – არ იყოს. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად მკაფიო ან ბუნდოვანია პრაქტიკის კვლევის საწყისი შერჩეული საკითხი, ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვანია სიტუაციის უფრო ფართოდ გამოკვლევა და არსებული საკითხების გაფართოება. პრაქტიკის კვლევის საწყის ეტაპზე სიტუაციის რაც შეიძლება ფართო ხედვის კუთხის შერჩევა, კვლევის პროცესის განვითარებაში დაგეხმარებათ. ასევე, დაგეგმვის, მოქმედების, დაკვირვებისა და რეფლექსიის ციკლის გამოყენებით, შეძლებთ ფოკუსის დავიწროვებას. კვლევის საწყის ეტაპზე საჭირო და სასარგებლო აზრებისა და იდეების თავმოყრაში, დანართში მოცემული ნიმუში (დანართი N1 – „ფოკუსის იდენტიფიცირება“) დაგეხმარებათ.

მაგალითი პრაქტიკიდან 1.

ერთ შემთხვევაში, პრაქტიკოსებს სურდათ პრაქტიკასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ასპექტის შესწავლა, რომელიც უშუალოდ უკავშირდებოდა ბავშვების ჩართულობის ხელშეწყობას წარმოსახვით თამაშებში. პრაქტიკოსების დაკვირვებით, როლური თამაშებისთვის განკუთვნილ სივრცეში ბავშვების გარკვეული ნაწილი წარმოსახვით თამაშებს არ ირჩევდა. შესაბამისად, მათ გადაწყვიტეს, საბავშვო ბაღის სხვა სივრცეში მიეცათ ბიძგი წარმოსახვითი თამაშებისთვის. მუშაობა დაიწყეს შემდეგი კითხვის დასმით: სად ითამაშებენ ბავშვები წარმოსახვით თამაშებს? შეკითხვაზე პასუხების გაცემისა და ერთმანეთისთვის აზრების გაზიარების შედეგად, პრაქტიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ შეკითხვას შეზღუდული პასუხები ჰქონდა და უმეტესად ჩამოთვლილი იყო თამაშის სხვადასხვა, სპეციფიკური ფორმები, რომლებსაც ბავშვები უკვე მიმართავდნენ. ამის შემდეგ, ხელახლა გაიაზრეს მთავარი მიზანი და განზრახვა. სპეციალისტებს სურდათ იმ გზების იდენტიფიცირება, რომელთა გამოყენებითაც ბავშვებში წარმოსახვით თამაშებში ჩართულობას წაახალისებდნენ. შესაბამისად, შეცვალეს საკვლევი შეკითხვა და ამგვარად ჩამოაყალიბეს: „როგორ შევუწყოთ ხელი წარმოსახვით თამაშებს დღის განმავლობაში?“ პრაქტიკოსებს საშუალება მიეცათ, ემსჯელათ, რა იქნებოდა საუკეთესო გზა, რესურსები და აქტივობები მოცემულ სიტუაციაში.

მაგალითი პრაქტიკიდან 2.

ნორთფლითის საბავშვო ბაღი დაინტერესებული იყო ბავშვების ფიზიკური განვითარების საკითხებით, კონკრეტულად კი – თუ როგორ უწყობს ხელს მსხვილი მოტორული უნარები ნატიფი მოტორული უნარების განვითარებას და როგორ უნდა შევუწყოთ ხელი წერამდელი ნატიფი მოტორიკის განვითარებას. ბაღში, ასევე, შეამჩნიეს, რომ ბავშვებს დილის წრის აქტივობისას ხალიჩაზე წყნარად ჯდომა უჭირდათ. ისინი ერთმანეთთან მეტისმეტად ახლოს ისხდნენ, ირწეოდნენ, რაც შემაწუხებელი იყო მათთვის, ვისაც შემთხვევით ეხებოდნენ. თავდაპირველად, ბაღში დაგეგმეს წერამდელი მსხვილი მოტორული უნარების განვითარების პროექტი ბიჭებისთვის. ფოკუსზე ფიქრის დროს, ბაღის წარმომადგენლებმა დაასკვნეს, რომ ნატიფ მოტორიკაზე გადასვლამდე, ბავშვებს მსხვილი მოძრაობების უკეთ

კონტროლი სჭირდებოდათ. საწყისი კვლევითი კითხვა გახდა: „როგორ შეძლებდნენ მსხვილი მოტორიკის განვითარებას ბავშვებში?“

თავდაპირველად, ხარჯთეფექტური და პოზიტიური ცვლილებების პოტენციალის მქონე იდეების მოსაძიებლად, ბაღმა დაიწყო ადრეული წლების პრაქტიკის თანამედროვე ტენდენციების მოკვლევა, რომლის ფარგლებშიც განიხილეს EEF-ის (განათლების დაფინანსების ფონდის) ინსტრუმენტების ნაკრები. ძიების პროცესში შეირჩა საბავშვო იოგა, როგორც შესაძლებლობა. თავიდან, დაიგეგმა მუშაობა რამდენიმე ბიჭთან, რომლებსაც თანატოლებთან შედარებით კოორდინაციის პრობლემა ჰქონდათ. თავდაპირველი პროექტი, რომელიც დილის წრის დროს იოგას საბაზისო მოძრაობების ინტეგრირებას მოიაზრებდა, ისეთი წარმატებული გამოდგა, რომ იოგა საბავშვო ბაღის ყოველკვირეული რუტინის ნაწილი გახდა როგორც ბავშვებისთვის, ისე პერსონალისთვის.

მაგალითი პრაქტიკიდან 3.

ერთ-ერთმა ბაღმა, გარე სივრცის მოსაწყობად, მშობლების ასოციაციისგან დაფინანსება მიიღო. გარე სივრცის მოწყობა მასშტაბური იდეაა, სწორედ ამიტომ, ბაღს სჭირდებოდა კონკრეტული ფოკუსი ბიუჯეტის, დროის, რეალური საჭიროების, მიღწევადობისა და სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. პრაქტიკოსების დაკვირვებით, ბიჭების ერთ ჯგუფს ერთი სული ჰქონდა, გარეთ გასულიყო, მაგრამ ბავშვები, გასვლისთანავე, შეზღუდული რაოდენობის სკუტერების გამო ჩხუბს იწყებდნენ და ამასთან ერთად, მიმართავდნენ აკრძალულ მოქმედებებსაც.

პრაქტიკოსებმა გააანალიზეს ბავშვების წერამდელი უნარების მონაცემები, გარე აქტივობების დროს განვითარებული მოვლენები და ფოკუსირდნენ გარე საწერი გარემოს შექმნაზე, რომ ბავშვების ენთუზიაზმი გარე სწავლისთვის გამოეყენებინათ. ადრეული წერის უნარების გასავითარებლად, ბაღმა ამ ასაკის ბიჭებისთვის გარე სასწავლო სივრცე შექმნა (თუმცა, სხვა ბავშვებსაც შეეძლოთ ჩართვა და სარგებლის მიღება).

შეკითხვის დასმა

შეკითხვის დასმა – ფოკუსის შესახებ – ფიქრის კარგი საშუალებაა, რომელსაც ცვლილებებისკენ მივყავართ. შესაძლო კითხვებია „რა?“ და „რატომ?“, „რა საკითხით ან სფეროთი ვარ დაინტერესებული?“ „რატომ მაინტერესებს სწორედ ეს თემა?“ ასევე, შესაძლებელია კითხვების განვრცობა და იმის განსაზღვრა, თუ ვინ მიიღებს სარგებელს. ხშირად, ერთ ბავშვზე მიმართული ცვლილებები სხვებისთვისაც სასარგებლო გამოდგება ხოლმე. ზოგჯერ, კონკრეტულ ბავშვებზე ფიქრი ფოკუსირებას აადვილებს და პროექტს ადვილად დასამენეჯმენტებლად წარმოგვიდგენს. მთლიანი ჯგუფისთვის ცვლილება, თავდაპირველ ეტაპზე, შესაძლოა, ზედმეტად რთული იყოს. ბევრი პროექტი იწყება მცირედით, ვითარდება და იძენს მასშტაბებს, ან მომავალში სხვა პროექტების წინაპირობა ხდება. ჰენდსკომბესა და მაკბეთის (2003:3) მიხედვით, „ინტუიტიური და სპონტანური მოსაზრებები სისტემატიურ კვლევებად უნდა ტრანსფორმირდეს, ეს ყველაფერი მასწავლებლის მიერ საკუთარი თავისთვის ყოველდღიურად დასმული შეკითხვებით იწყება“.

ყოველდღიური კითხვების საკვლევ კითხვებად გადაქცევა, პრაქტიკის კვლევის ფარგლებში, ცოტაოდენ ძალისხმევას საჭიროებს. ფოკუსის განსაზღვრის დროს, მნიშვნელოვანია, პრაქტიკოსმა რეალობის განცდა არ დაკარგოს. აგრეთვე, საკმარისად უნდა იყოს დაინტერესებული საკითხით, რომ კვლევას დრო და ძალისხმევა დაახარჯოს. იდეალურ შემთხვევაში, შესაძლოა, კოლეგებს საერთო ფოკუსი ამოძრავებდეთ და პრაქტიკის კვლევაზე ერთობლივად იმუშაონ, რაც ამ მიდგომის ძლიერი მხარეა. ამრიგად, კვლევის პროცესი მარტივდება და უფრო სახალისო ხდება.

როგორ ჩამოვაყალიბოთ კარგი კვლევითი კითხვა?

პრაქტიკის კვლევის კითხვების ფორმულირებისთვის, ლონდონის სწავლაში ლიდერობის ცენტრს (LCLL) შემუშავებული აქვს სასარგებლო რჩევები

- შექმენით ისეთი ღია კითხვა, რომელიც შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას იძლევა

- ეცადეთ მოერიდოთ „კი“ და „არა“ ტიპის კითხვებს
- გაითვალისწინეთ, ისე დასვათ კითხვა, რომ შემდეგნაირად იწყებოდეს – „რატომ“, „როგორ“, ან „რა გარემოებებში/პირობებში“.
- მეტი სარგებლის მომტანია ფართო საკითხების კვლევა, რაც მთელ ჯგუფზე მოქმედებს და არა ერთ ინდივიდზე.
- იფიქრეთ, თუ გაუმჯობესებს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა პრაქტიკას?
- შესრულებადია თუ არა იმ დროში, რაც გაქვთ?
- მართლა მნიშვნელოვანია თუ არა თქვენთვის, როგორც პიროვნებისთვის და პროფესიონალისთვის, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა?

(Copyright LCLL, 2008)

შეკითხვის ფორმულირების შემდეგ, კარგი იდეაა „ეშმაკის ადვოკატის“ თამაში. სთხოვეთ მეგობრებს და კოლეგებს, რომ მაქსიმალურად გააკრიტიკონ თქვენი შეკითხვა. კრიტიკის მიზანია კითხვის დახვეწა და იმაში დარწმუნება, რომ კითხვა შეიცავს SMART ელემენტებს, ანუ არის კონკრეტული, გაზომვადი, რეალისტური დროისა და რესურსების კუთხით და, ასევე, მიზნობრივი. ჩვეულებრივ, ასე უფრო მარტივია ნაკლოვანებების პოვნა, ვიდრე საკუთარი თავის კრიტიკა. მაგალითად, ეთანხმებით ქვემოთ მოცემული კითხვის კრიტიკას? ზემოთ მოცემული რჩევების გათვალისწინებით, ამ კითხვას როგორ შეცვლიდით და აქცევდით პრაქტიკის კვლევისთვის უფრო შესაფერისად?

შეკითხვის კრიტიკა:

შესაძლებელია ბიჭებს ისე ვასწავლოთ, რომ უფრო კარგად მოვერგოთ მათ აქტიურ ბუნებას?

კითხვა მოიაზრებს „კი“ ან „არა“ პასუხს. ასევე, კითხვაში რამდენიმე დაშვებაა ბიჭების შესახებ (არის განსხვავებები ბიჭებსა და გოგოებს შორის? თუ კი, რა განსხვავებებია? რას ნიშნავს „უფრო კარგად“ ამ კონტექსტში? ეს კითხვები მიგვითითებს, რომ შეკითხვა არ არის კარგად ფორმულირებული და გამოიწვევს სირთულეებს, თუ კვლევით პროექტში ამ ფორმით დარჩება.



ინფორმაციის შეჯერება – ვარაუდების შემოწმება, რეალობის დადგენა

საკუთარი შეკითხვის ობიექტური კრიტიკა არ არის მარტივი. სხვის ნამუშევარში უფრო ადვილად ვამჩნევთ შეცდომებს. იმის მაგივრად, რომ პირდაპირ აღვიქვათ საკუთარი შეკითხვა, უფრო ვორიენტირდებით იმაზე, თუ რა არის ნაგულისხმევი. ამას ყველა აკეთებს და ამიტომაც, რედაქტორებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ წერის დროს, მაგრამ კვლევისა და პრაქტიკის კვლევის დროს, რედაქტორი გვერდით არ გვყავს და საკუთარი თავის კრიტიკულად შეფასება და ობიექტურობის შენარჩუნება ძალიან რთულდება. კარგი გამოსავალია კოლეგებთან ერთად მუშაობა და „კრიტიკული მეგობრის“ მიდგომა შეკითხვის დასახვეწად. ქვემოთ მოცემული აქტივობა კარგად მუშაობს „კრიტიკული მეგობრის“ მიდგომის შემუშავებისას და შესაძლებელს ხდის საკვლევი კითხვის გაუმჯობესებას. აქტივობა გულისხმობს შეკითხვის დაწერას ფურცელზე და კოლეგებთან რიგ-რიგობით ჩამოტარებას, რა დროსაც

თითოეული მათგანი სხვადასხვა ფერის კალმით მიაწერს შეკითხვას ან კომენტარს. შეკითხვები და კომენტარები ეხმარება ავტორს რეფლექსიაში და, მათი გათვალისწინებით, დახვეწავს კვლევის კითხვას. ამის შემდეგ იწყება პროცესის შემდეგი ეტაპი – ინფორმაციის შეჯერება.

პროცესის ამ ეტაპზე, მნიშვნელოვანია თავდაპირველი დაშვებების დადასტურება ან კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება. ადრეულ წლებში არსებული დატვირთული სამუშაოდან გამომდინარე, უფრო ადვილია კონკრეტული საკითხებისა ან სიტუაციების სწრაფი განსჯა. ინფორმაციის შეჯერება პრაქტიკოსს მნიშვნელოვნად ეხმარება თავდაპირველი იდეების შემოწმებაში და უზრუნველყოფს საქმიანობის დაკავშირებას რეალურ ცხოვრებასთან, ნაცვლად ინდივიდუალურად აღქმული რეალობისა.

მაგალითი პრაქტიკიდან 1.

სკოლისათვის მზაობის კლასის პერსონალი შეწუხებული იყო, რადგან ბავშვების დიდ ნაწილს მეტყველების შეფერხება აღენიშნებოდა. ჯგუფში ბევრი იყო ისეთი ბავშვი, ვისთვისაც ინგლისური მეორე ენაა და ასევე, ოჯახების დიდი ნაწილი მონაწილეობდა ბაღის უფასო კვების პროგრამაში, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება შეძლებულ უბანში იყო განთავსებული. სიტუაციის შესაცვლელად, პერსონალმა გადაწყვიტა პრაქტიკის კვლევის ჩატარება. მათ თავიანთი დაშვება გადაიტანეს კვლევით კითხვაში: „როგორ გადავჭრათ მეტყველების განვითარების პრობლემა სკოლისათვის მზაობის ჯგუფში?“ გარე ფასილიტატორის დახმარებით, პერსონალმა შეაჯერა შემდეგი ინფორმაცია: დაკვირვების ჩანაწერები, ტრანზიციის დოკუმენტები და დასწრების მონაცემები, რათა შექმნოდათ უფრო ნათელი სურათი არსებულ სიტუაციაზე. გუნდმა განიხილა მონაცემები, გააზიარა და განიხილა შთაბეჭდილებები და გამოავლინა, რომ ბავშვებს ზოგადი განვითარების შეფერხება არ ჰქონდათ. პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ ბავშვებს არ ეძლეოდათ საკმარისი შესაძლებლობა მეტყველების დემონსტრირებისთვის. ამ მიგნებით, ფოკუსი შეიცვალა და ახალი საკვლევი კითხვა ჩამოყალიბდა, რაც წარმატებული პროექტისა და ბავშვების უკეთესი შედეგების წინაპირობა გახდა.

ინფორმაციის შეჯერება, ასევე, წარმოადგენს პროგრესის შეფასების საფუძველს. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ პრაქტიკაზე რეფლექსია გარდაუვლად მოიცავს ინტუიციისა და პირადი პერსპექტივის ელემენტებს, მხოლოდ დაუსაბუთებელი წარმოდგენები არ არის საკმარისი. ინფორმაციის შეჯერება თავდაპირველი შეხედულებების დეტალური ანალიზისა და ფოკუსის დაზუსტების შესაძლებლობას იძლევა.

პოტენციური ინფორმაციის ალტერნატიული წყაროები...

გაითვალისწინეთ თქვენს ბაღში არსებული ან თქვენს ბაღთან კავშირში მყოფი ინფორმაციის ყველა შესაძლო წყარო. არ დაგავიწყდეთ მშობლებისა და ბავშვების მოსაზრებების აღნუსხვა. ასევე, ისეთი ფორმალური მონაცემების განხილვა, როგორიცაა პროფილები, ტრანზიციის ჩანაწერები, ოჯახთან კავშირის ჟურნალები, დაკვირვებები (ნარატიული, სოციალური, დროითი, შიდა და გარე), პორტფოლიო, ფოტოები, ვიდეოები. შესაძლოა, გქონდეთ ბავშვის საუბრის აუდიოჩანაწერები ან ჩანაწერები თქვენს სამუშაო რვეულში. ასევე შესაძლოა, სასარგებლო ინფორმაციის წყაროდ გამოდგეს თქვენივე რეფლექსიები და შეფასებები. ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, გადაწყვიტოთ ცალკეული აუდიტის ჩატარება (მაგ. სასწავლო გარემოზე ან უფროსებისა და ბავშვების ინტერაქციაზე), ინტერვიუების (სტრუქტურირებული, არასტრუქტურირებული) გამართვა, ან კითხვარების შედგენა პროექტის საწყისი მდგომარეობის განსასაზღვრად. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, გამოიყენოთ კომერციულად წარმოებული რესურსები, ინფორმაციის მოგროვებისა და შეჯერებისთვის. თუმცა, ამ რესურსის გამოყენება კრიტიკული განსჯის შედეგად უნდა მოხდეს.

დანართი 2 გვთავაზობს ჩარჩოს – მტკიცებულებებისა და მონაცემების განსახილველად. ჩარჩო გვეხმარება მოვიაზროთ, თუ რა მონაცემები გვაქვს, სად არის შენახული ეს მონაცემები (ელექტრონული ჩანაწერები, ბავშვის ნამუშევრები და ა.შ.) და კიდევ, ვის შეიძლება ჰქონდეს ინფორმაცია, რომელიც დაგეხმარებათ სიტუაციის ანალიზში, რათა დარწმუნდეთ თქვენი ფოკუსისა და საკვლევი კითხვის შესაბამისობაში. ჩარჩო, ასევე, გეხმარებათ დაგეგმოთ, კიდევ რა ტიპის

ინფორმაცია უნდა მოაგროვოთ მთლიანი სურათის დასანახად. მაგალითად, შესაძლოა მოიცავდეს ფოკუს-ჯგუფს მშობლებთან, აქტივობას ბავშვებთან – მათი მოსაზრებების გასაგებად, ან ურთიერთობების ხარისხის დასადგენად, კოლეგებთან ერთად მოკვლევის ჩატარება.

მაგალითი პრაქტიკიდან 2.

პრაქტიკოსებმა ადრეული ასაკის ჯგუფის პროფილის მონაცემებში შეამჩნიეს, რომ ბავშვების შედეგები სამყაროს გაგების და სწავლის სფეროში, სხვა სფეროებთან შედარებით, დაბალი იყო. მათ ივარაუდეს, რომ თავად ნაკლებად ეხმარებოდნენ ბავშვებს ამ სფეროს განვითარებაში და გადაწყვიტეს, რომ პრაქტიკის კვლევის ფოკუსი ამ მოვლენაზე შეეჩერებინათ. პრაქტიკოსებმა ჩამოაყალიბეს ჯგუფი და ერთობლივად დაიწყეს მუშაობა იმაზე, თუ როგორ გაეკეთებინათ მეტი აქცენტი სააღმზრდელო პროცესში სწავლის სფეროზე და ამ მხრივ, ბავშვებს მეტი მხარდაჭერა ჰქონოდათ. პირველადი დისკუსიის ფარგლებში აღმოჩნდა, რომ პრაქტიკოსებს განსხვავებული პერსპექტივები ჰქონდათ იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის „მისაღები მტკიცებულებები“ ადრეული სწავლის მიზნებთან მიმართებით. ამ დისკუსიის შედეგად, კვლევის ფოკუსი გაფართოვდა და მოიცვა ბავშვების მიღწევების შეფასების შესახებ მტკიცებულებების შეგროვება და ინტერპრეტირება ყველა სფეროში. შედეგად, პრაქტიკოსებმა დაიწყეს უფრო სიღრმისეული შესწავლა, თუ როგორი უნდა იყოს შეფასების პრაქტიკა.

როგორც კი განსაზღვრავთ ფოკუსს და შეძლებთ, დაადასტუროთ რეალურ სიტუაციასთან შესაბამისობა, სხვადასხვა მონაცემებისა და წყაროების გამოყენებით, ფაქტობრივად, ჩამოაყალიბებთ შესაბამის საკვლევ კითხვას. ამის შემდეგ, უკვე მზად ხართ დაგეგმოთ ის ცვლილებები, რომლებიც ორიენტირებულია საკვლევ შეკითხვაში ჩამოყალიბებული პრობლემის გადასაჭრელად. პროცესის ნებისმიერ ასპექტთან მიმართებით, იდეების განხილვისადმი ღიაობის შენარჩუნება და მათი მუდმივი ასახვა პრაქტიკის კვლევის პროცესში, არსებითი და მნიშვნელოვანია.

მაგალითი პრაქტიკიდან 3.

პრაქტიკოსები, რომლებიც მუშაობდნენ ორიდან სამ წლამდე ასაკის ბავშვების ასაკობრივ ჯგუფში, წუხდნენ იმაზე, რომ სააღმზრდელო პროცესის განმავლობაში, ბავშვები ნაკლებად ირჩევდნენ წიგნიერების ცენტრს. მათი საწყისი საკვლევი კითხვა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „როგორ მოვაწყოთ და განვავითაროთ წიგნერების ცენტრი ისე, რომ ბავშვებისთვის უფრო მიმზიდველი გახდეს?". პრაქტიკოსების ჯგუფმა დაიწყო ამ საკითხზე მუშაობა და მონაცემების შეგროვება. მათ გამოიყენეს დროის შერჩევის ფორმა და დააკვირდნენ, თუ რა სიხშირით იყენებდნენ ბავშვები წიგნიერების ცენტრს. ბავშვებთან ერთად განიხილეს წიგნიერების ცენტრის მოწყობის საკითხები, ბავშვებთან დისკუსიის პროცესში, გამოიყენეს ონლაინ სივრცეში მოპოვებული სურათები. პრაქტიკოსებმა, ასევე, ისაუბრეს ბავშვების მშობლებთან, რათა შეეგროვებინათ ინფორმაცია ბავშვების საყვარელი წიგნების, თემებისა და შინაარსების შესახებ. შეკრებილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჯგუფმა დისკუსიის პროცესში აღმოაჩინა, რომ მათი პრაქტიკის კვლევის ფოკუსი, ძირითადად, დაკავშირებული იყო მხოლოდ ერთ კონკრეტულ სივრცეზე და მის მოწყობაზე. მსჯელობის პროცესში კი, აღნიშნული ფოკუსი გააფართოვეს და დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ როგორ გამოეყენებინათ ბეჭდური მასალა არა მხოლოდ ერთ ცენტრში, არამედ მთლიან გარემოში. დისკუსიის პროცესში, პრაქტიკოსებმა შეამჩნიეს, რომ მხოლოდ ერთ კონკრეტულ სივრცეზე და მის მოწყობაზე ფიქრი, აფერხებდა მათ, ეფიქრათ უფრო ფართოდ – როგორ იყო შესაძლებელი ტექსტებისა და წიგნების ინტეგრირება ყველა სივრცეში. აქედან გამომდინარე, მათ მიერ ჩამოყალიბებული საკვლევი კითხვის შინაარსი გაფართოვდა და შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „როგორ მოვაწყოთ გარემო ისე, რომ ბავშვებს მივცეთ შესაძლებლობა, ხშირად გამოიყენონ წიგნები და ჩაერთონ წიგნიერებასთან დაკავშირებულ საქმიანობებში?". დისკუსიაში შესაძლებელი ხდება პრაქტიკოსების პერსპექტივებისა და შეხედულებების გაფართოება, რაც საბოლოო ჯამში, საკვლევი კითხვის ფორმულირებასა და ჩამოყალიბებაზეც აისახება.

ცვლილებების დაგეგმვა და განხორციელება

დაგეგმვის ეტაპს, პრაქტიკის კვლევის ციკლიდან, ადამიანების უმეტესობა ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად აღიქვამს და განსაკუთრებულ ყურადღებასაც სწორედ მასზე ამახვილებს. ჩვენ არ ვდაობთ, რომ დაგეგმვის ეტაპი მნიშვნელოვანია და არ ვცდილობთ მის დაკნინებას. ამასთან ერთად, დაგეგმვა უნდა განიხილებოდეს როგორც ციკლური პროცესის ნაწილი, სადაც ყველა საფეხური მნიშვნელოვანია და ციკლის რომელიმე ასპექტის გამოტოვებამ, ანდა უყურადღებოდ დატოვებამ, შესაძლოა, პროექტის საბოლოო ღირებულება და შედეგების მნიშვნელობა შეამციროს. სწორედ ამიტომ, ცვლილებების დაგეგმვის ეტაპი, ასევე, მოიცავს შემდგომ რეფლექსიას და ინფორმაციის მოგროვებას, მაგრამ ამჯერად, ბევრად უფრო ფოკუსირებულად. მაგალითად, თუ თქვენი მიზანია სამეტყველო ენის ხარისხის გაუმჯობესება, მას შემდეგ, რაც დარწმუნდებით ამ მიზნის შესაბამისობაში, შესაძლოა, დაგჭირდეთ თემატური კომპეტენციების გაუმჯობესება. აღნიშნული, შესაძლოა, მოიცავდეს ზეპირმეტყველების განვითარების ეტაპებს, არსებულ რესურსებს, ინტერვენციებს, წინა კვლევებს ზეპირმეტყველების განვითარების მიდგომებზე, პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს, პრაქტიკისა და პროგრესის შეფასებას და ინსტრუმენტებს, რაც დაგეხმარებათ პროექტის შეფასებაში. მიუხედავად იმისა, რომ ყველა პრაქტიკის კვლევა უნიკალურია ინდივიდებისა და კონტექსტის მიხედვით, კვლევის ფოკუსები, როგორც წესი, უნივერსალურია და სავარაუდოდ, ამ თემაზე სხვა კვლევებიც იარსებებს და შეძლებთ, სხვა მკვლევრების მიდგომებს გაეცნოთ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათი გაკეთებული უნდა გაიმეოროთ. ყველა მოცემულობა უნიკალურია და ის, რაც მუშაობს ერთგან, შესაძლოა, არ იყოს ეფექტური მეორე ადგილას. გამოცდილება აჩვენებს, რომ წარმატებული საგანმანათლებლო რეფორმების დუბლირება, კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, დისკრედიტირებული პრაქტიკაა (Winstanley, 2012), თუმცა პოტენციურად არსებობს გაკვეთილები და რესურსები, რაც დროს დაგაზოგინებთ და მათი ადაპტირება კვლევის პროცესში გამოგადგებათ.

მაგალითი პრაქტიკიდან 1.

ქვემოთ მოცემულია მასწავლებლის ჩანაწერები 4, 5 და 6 წლის ასაკის აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების ჯგუფში განხორციელებული პროექტის შესახებ.

„თავდაპირველად, როდესაც პრაქტიკის კვლევა დავიწყე და პრაქტიკის კვლევის გუნდს შევუერთდი, არ ვიცოდი რისი გაკეთება მსურდა. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ყოველდღიურ განრიგში რამე ისეთი აქტივობის დამატება მინდოდა, რაც წერისთვის საჭირო კოორდინაციის გასავითარებლად ბავშვებისთვის მამოტივირებელი და სახალისო იქნებოდა. რაღაც, რაც გააუმჯობესებდა ფანქრის ჭერის ძალას და პოზიციას. შეირჩა საკვლევი კითხვა: „როგორი გავლენა შეიძლება იქონიოს სხვადასხვა რესურსმა ადრეულ ასაკში, ფანქრის ჭერის ძალასა და პოზიციაზე?“ უკვე გაცნობიერებული გვაქვს მსხვილი და ნატიფი მოტორიკის განმავითარებელი აქტივობების საჭიროება. მაგალითად, ყოველდღიურად ვიყენებთ Cbeebies Boogie Beebies ცეკვას, Beam პროგრამას, ცხენის ტარებას, მსხვილი მოტორიკის გასავითარებლად, ჭკვიანი თითების აქტივობებს. ასევე, დიდ დროს ვუთმობთ თავისუფალ და სენსორულ თამაშს. კოლეგებმა შემომთავაზეს პლასტელინის ცეკვაც. მოვიძიე განსხვავებული აქტივობები, რომლებსაც პლასტელინი სჭირდება, ინტერნეტშიც ვნახე რაღაცეები. ჩვენთან აქტივობების უმრავლესობა დაფის გამოყენებით მიმდინარეობს, რადგან ამ დროს ბავშვები აქტიურად ერთვებიან. ბოლოს მივხვდი, რომ ვერ გავაკეთებდით პლასტელინის ცეკვის აქტივობას და სანაცვლოდ, გადავაწყდი ალისტარ ბრუს კლეგის წიგნს – „წერისთვის მომზადება“ (2011 გამომეყენებინა), რომელიც რეალურად ერგება ჩვენი კლასის ხასიათს, რადგან ამ წიგნიდან უკვე გაკეთებული გვაქვს რამდენიმე აქტივობა, თუმცა მანამდე არ გამიანალიზებია, თუ სხეულის ზედა ნაწილის რომელ საყრდენებს და ფანქრის ჭერის რომელ პოზიციებს იყენებდნენ ბავშვები ხატვისას. წიგნში მოცემული რჩევების მიხედვით, გავანალიზე ეს კომპონენტები და გადავწყვიტე, ნატიფი მოტორიკის, ძალისა და კოორდინირების გასაუმჯობესებლად, პლასტელინის ცეკვის საკუთარი ვერსია შემექმნა. აღნიშნულ აქტივობაში შესაძლებელია მოძრაობების ფართო დიაპაზონის გაერთიანება. საჭიროებებიდან გამომდინარე, შემეძლო სხვადასხვა სავარჯიშოების ჩასმა აქტივობაში. შესაძლოა, სავარჯიშოების ფოკუსი ყოფილიყო: მხარის და იდაყვის საყრდენების გაძლიერება,

თითების იზოლირებულად გამოყენება, ცერა და საჩვენებელ თითს შორის კოორდინაცია, ანდა პლასტელინით მანიპულირებისთვის, ძალის გაძლიერება. ეს ნამდვილად საჭირო ინტერვენცია აღმოჩნდა ჩვენთვის. გარკვეული დრო დავუთმე მუსიკის შერჩევას ცეკვისთვის და ბოლოს, Uptown Funk-ის მინიონების ვერსიაზე შევჩერდით. თავდაპირველად ვაპირებდი, მუსიკა ყოველკვირეულად შემეცვალა, თუმცა ბავშვებს ისე მოსწონთ და ელოდებიან Uptown Funk-ს, რომ ყოველდღე მას ვიყენებთ. გადავხედე წარსულ გამოცდილებას, თუ როგორ ეჭირათ ბავშვებს ფანქრები თავდაპირველად და როგორ წერდნენ ამ აქტივობის შემოტანამდე. ჩემი დაკვირვებით, თავიდან ყველა (ბავშვებიც და უფროსებიც) ორიენტირებული იყო ფანქრის ჭერაზე და წერისთვის შესაბამისი პოზის მიღებაზე, მაგრამ პლასტელინის სხვადასხვა სავარჯიშოებით თვალსაჩინო გაუმჯობესებას მივაღწიეთ. ეს კომპონენტები წიგნში არ ეწერა, მაგრამ ჩვენ დავამატეთ, რადგან ვიცნობდით ჩვენს ბავშვებს და ვიცოდით, რა სჭირდებოდათ.

დროთა განმავლობაში, პროექტი განვითარდა. ბავშვებს უყვართ და ელოდებიან აქტივობას, რომელიც მათთვის მოტივატორიცაა. ზოგიერთ მათგანს უჭირს ჯდომა და მთლიანი ამბის მოსმენა, მაგრამ იმდენად დიდია პლასტელინით თამაშის სურვილი, რომ მზად არიან ისხდნენ და მოისმინონ.

პროექტმა მართლაც კარგად იმუშავა და დიდი გავლენა მოახდინა ფანქრის ჭერაზე. ცვლილებების დასაფიქსირებლად, გადავიღეთ ფანქრის ჭერის სურათი – ინტერვენციის დაწყებამდე და ინტერვენციის შემდეგ. გოგონა ფანქრის მუშტში ჭერიდან შტატივისებურ ჭერაზე გადავიდა, ეს ორი ბიჭი კი – სამთითა ჭერაზე, რაც შესანიშნავი შედეგია. პლასტელინით თამაშისას, ბავშვები ვერ ხვდებიან, რომ კუნთებს ივარჯიშებენ. უბრალოდ, უყვართ ამის კეთება. ჩვენ გავაგრძელებთ პროექტს და დავამატებთ მეტ რესურსს, რის ხელში დაჭერასაც ბავშვები შეძლებენ: ჩხირებს, ფანქრებს და ძაფებს. ბავშვები სიხარულით გადადიან პლასტელინის თამაშიდან უფრო ნატიფ მოტორულ დავალებებზე. მომავალში კიდევ უფრო ბევრი რამის გაკეთებას შევძლებთ (ჯოან დოუვი).

ზემოთ მოყვანილ მაგალითში გამოკვეთილია პროექტის ეტაპები. თავდაპირველად, არსებული ზოგადი თემიდან – „მე მინდოდა რამის გაკეთება ჩაჭიდებასთან დაკავშირებით“ – ავტორი მივიდა ზუსტად

ფორმულირებულ საკვლევ კითხვამდე: „როგორი გავლენა შეიძლება იქონიოს სხვადასხვა რესურსმა ფანქრის ჭერის ძალასა და პოზიციაზე, რათა წერის ადრეული უნარები განვავითაროთ?“. ავტორი თანმიმდევრულად აგროვებდა მონაცემებს, ბავშვების არსებულ მდგომარეობაზე დაკვირვებებისა და წერითი ნიმუშების სახით, რაც მას პროგრესის გაზომვის საშუალებას აძლევდა. ჩანაწერი, ასევე, გამოკვეთს ინტერნეტის გამოყენებასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რადგან ზოგიერთი შემოთავაზება არ არის შესატყვისი და სანდო. ამგვარი წყაროებიდან მტკიცებულებებსა და საგანმანათლებლო კვლევებზე დაფუძნებული ინტერვენციების შერჩევა, შესაძლოა, რთული იყოს. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, თუ რისი ცვლილება გვსურს და გვქონდეს წარმოდგენა იმაზე, რა კონკრეტულ შედეგს მივიღებთ. ზემოთ განხილულ მაგალითში კონკრეტული დიაგრამებია, რომლებიც ფანქრის ჭერის განვითარებას ასახავს. არსებული სიტუაციიდან მიზნამდე მისვლა საჭიროებს დაგეგმვასა და ინოვაციას, რაც, შესაძლოა, სხვადასხვა ფორმით გამოვლინდეს. პირველ მაგალითში კომბინირებული იყო კოლეგების იდეები, კვლევები, გამოქვეყნებული ლიტერატურა და პრაქტიკოსის მიერ ადრეული წერის მიმართულებით, ბავშვის განვითარების ცოდნა.

ინოვაცია

პრაქტიკის კვლევისას, მნიშვნელოვანია გაეცნოთ ლიტერატურას, გაიფართოოთ პერსპექტივები თქვენთვის საინტერესო პრაქტიკის იმ კომპონენტის შესახებ, რაზეც ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად აპირებთ მუშაობას. თუმცა, დაგეგმვის ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იდეების განვითარების მხარდასაჭერად ინფორმაცია მოვიძიოთ. სხვა პროფესიონალების კვლევებისა და მოსაზრებების კრიტიკული განხილვა, თქვენი და თქვენი სააღმზრდელო ჯგუფის პრიორიტეტების ჭრილში, დაგეხმარებათ თქვენი პროექტის დასაბუთებაში. ლიტერატურაში ვგულისხმობთ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ კვლევებს, როგორიცაა რეცენზირებული აკადემიური სტატიები და დარგში მოღვაწე

სანდო და ავტორიტეტული ავტორების წიგნები. ლიტერატურის კითხვა არ უნდა ჩანაცვლდეს სახელმძღვანელოებისა და საგანმანათლებლო პრესის კითხვით, სადაც ხშირად აკადემიური ნაშრომები შეჯამების და ძირითადი მიგნებების სახითაა წარმოდგენილი. კვლევის კითხვის სწავლა მნიშვნელოვანი უნარია, რითიც დაზოგავთ თქვენს დროსა და ძალისხმევას, რაც სხვაგვარად, შესაძლოა, შეუსაბამო იდეებზე გახარჯოთ. კვლევების აბსტრაქტებში მოცემულია მთლიანი სტატიის მოკლე შეჯამება და მიგნებები. მათი გადაკითხვით დაადგენთ, რამდენად ჰგავს კვლევის მონაწილეების მახასიათებლები თქვენს ჯგუფს და რამდენად დაგეხმარებათ ნაშრომის მიგნებები და იდეები. ინფორმაციის ალტერნატიულ წყაროს წარმოადგენს ინტერნეტი და ზოგადი პროფილის ჟურნალ-გაზეთები, რასაც ზოგჯერ „ნაცრისფერ ლიტერატურას“ უწოდებენ. ამ წყაროების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია დაფიქრდეთ ავტორზე და სტატიის მიზანზე, რათა დარწმუნდეთ, რომ იმ ინფორმაციას იღებთ, რაც გჭირდებათ და შეცდომაში არ ხართ შეყვანილი. უახლესი კვლევებისთვის თვალყურის დევნება და განახლებული ინფორმაციის მუდმივი მოძიება, კარგი დამხმარე პრაქტიკაა და ასეთი წყაროები ბევრ სკოლასა და ბაღს აქვს გამოწერილი. ყველა ამ წყარომ, ასევე კოლეგების იდეებმა, შესაძლოა, წვლილი შეიტანოს ინოვაციური იდეების შემუშავებაში, რაც, თავის მხრივ, სასიკეთო ცვლილებებს განაპირობებს.

მაგალითი პრაქტიკიდან 1.

ამბის თხრობა ადრეული წლების მნიშვნელოვანი მიმართულებაა და ერთ-ერთ სააღმზრდელო დაწესებულებაში ასეთი კითხვა დაისვა: „როგორ განვავითაროთ ამბის დამოუკიდებლად თხრობის უნარი ბავშვებში?“. ჯგუფში დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი საქმიანობები: ყველა ჯგუფში დადგეს ამბის მთხრობელის სკამი, ყველა ჯგუფი მომარაგდა შესაბამისი რესურსით, მათ შორის ბარათებით. ასევე ამბის თხრობის რესურსები შეიქმნა გარე სივრცეებისთვისაც. ბავშვებს ახალისებდნენ, რომ მოეფიქრებინათ, გაეხსენებინათ და მოეყოლათ საკუთარი ამბები. ასევე

მათ აძლევდნენ ამბის თხრობის მაგალითს, ჩართეს მშობლები და მისცეს საშინაო დავალებებად ამბების თხრობა, რუტინაში დაამატეს ამბის თხრობის სესიები, შექმნეს პირობები და რესურსები ამბის დამოუკიდებლად თხრობის მხარდასაჭერად და აწარმოეს ბავშვების მონათხრობების დოკუმენტირება როგორც ინტერვენციამდე, ისე ინტერვენციის შემდეგაც, რათა პროექტის გავლენა შეეფასებინათ.

მაგალითი პრაქტიკიდან 2.

საბავშვო ბაღში, 3-4 წლიან ჯგუფში, გადაწყვიტეს მეტყველებისა და მოსმენის უნარების განვითარება. დაისვა კითხვა: „როგორ მოეწყოს გარე სივრცე ისე, რომ შეიქმნას მაღალი ხარისხის შესაძლებლობები მეტყველებისა და მოსმენის უნარების გასავითარებლად?“ დაკვირვების გზით აწარმოეს თავდაპირველი მდგომარეობის დოკუმენტირება, რამაც მათი ჰიპოთეზა გაამყარა, რომ ბავშვები ერთად კი თამაშობდნენ, მაგრამ ვერბალურ კომუნიკაციას არ ამყარებდნენ. პრაქტიკოსებმა დეტალურად შეისწავლეს გარე სივრცე და მიუხედავად იმისა, რომ სივრცე ცუდ მდგომარეობაში არ იყო, გადაწყვიტეს მისი გარემონტება. მოიძიეს მოხალისეების ჯგუფი, რომელიც საგაზაფხულო არდადაგების დროს მუშაობდა. მათ შექმნეს სათამაშო სამზარეულო და მებაღეობის სივრცე, სადაც ბავშვები წყვეტდნენ, თუ რა უნდა დაეთესათ ან დაერგოთ. ბავშვები პასუხისმგებლები იყვნენ სივრცის მართვაზე, რაც ქმნიდა მეტყველებისა და მოსმენის ხელშემწყობ პირობებს. შეიქმნა მუსიკალური ზონა სხვადასხვა რეკვიზიტით და სცენა, რაც ასევე ინტერაქციას უწყობდა ხელს. სპეციალურ მეტყველებისა და მოსმენის ზონაში შეიქმნა ამბის თხრობის სივრცე და იქვე, თოჯინების თეატრი. ამასთან ერთად, განახლდა და რესურსებით გამდიდრდა ფიზიკური განვითარების სივრცე. ზონებისა და სივრცეების გარდა, ბავშვებისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა საკანცელარიო საჭირო რესურსები, რაც მათ კომუნიკაციის სხვადასხვა გზების მოძიების საშუალებას აძლევდა. გარე სივრცე უფრო საინტერესო რომ გამხდარიყო, გაითვალისწინეს როგორც პრაქტიკოსების, ასევე ბავშვების შემოთავაზებები.

მაგალითი პრაქტიკიდან 3.

ერთ-ერთ სააღმზრდელო დაწესებულებაში სურდათ ადრეული მათემატიკური უნარების განვითარება და დასვეს შემდეგი შეკითხვა: „როგორ გავაუმჯობესოთ გარე სივრცე იმგვარად, რომ ბავშვებმა, ვიზუალური საყრდენების გამოყენებით, მიმატება დაიწყონ ? შეიმუშავეს შემდეგი გეგმა:

- დაორგანიზდა სამუშაო შეხვედრა, სადაც მონაწილეობას იღებდა ბაღის პერსონალი. შეხვედრაზე წარვადგინეთ საკვლევი კითხვა
- ყველამ დავიწყეთ ფიქრი იდეებსა და აქტივობებზე (ინტერნეტის საშუალებით მოიძიეს მათემატიკური უნარების გასაუმჯობესებელი კრეატიული აქტივობები, რომლებიც სხვა მასწავლებლების ან პროფესორების მიერ იყო შემოთავაზებული. წაიკითხეს სტატიები და სახელმძღვანელოები ადრეულ მათემატიკაზე და დაესწრნენ ექსპერტის მიერ ჩატარებულ ტრენინგს კრეატიულ ადრეულ მათემატიკაზე)
- ბავშვების ჩართვა დაგეგმვის პროცესში (აკვირდებოდნენ ბავშვების ინტერესებს და შესაბამისად გეგმავდნენ აქტივობებს)
- მატემატიკური თამაშების დამატება (მაგალითად, „მიმატების მანქანა“, „მანქანის პანდუსი“, გაორმაგება, კამათლები, მძივები)
- სპონტანური სწავლის ხელშემწყობი, სიღრმისეული შეკითხვების მოფიქრება
- ბავშვებს ვეკითხებოდით: რა მოხდებოდა, თუ... და ვაძლევდით დროს მოსაფიქრებლად
- ბავშვების ინტერესის განმავითარებელი რესურსების მობილიზების გარდა, ბავშვებთან ინტერაქციისას, აღმზრდელები აქტიურად იყენებდნენ სწავლების სტრატეგიებს
  - მნიშვნელოვანია, რომ უფროსები ბავშვებს აძლევდნენ დაფიქრების და აზრის გამოთქმის შესაძლებლობას და აძლევდნენ მათემატიკური აზროვნების მაგალითს (შენი აზრით, რა ხდება? ნეტავ რამდენი ...? მე არ ვიცი, შენ რას ფიქრობ? მომიყევი ამის შესახებ... სარა ბლეთჩფორდის „მდგრადი გაზიარებული ფიქრის“ მიხედვით (2009).

შემუშავებული გეგმა, რომელიც მრავალფეროვან მათემატიკურ აქტივობებს მოიცავდა, პრაქტიკოსებს კითხვების დასმაში, ბავშვების ჩართულობის ხელშეწყობაში და მათემატიკური ენისა და წარმოდგენების უფრო სიღრმისეულ გაგებაში ეხმარებოდა. სესიების დაგეგმვის ცვლილება განპირობებული იყო ფოკუსის ცვლილებით, რომ უფრო მეტად ყოფილიყო ასახული ბავშვის ინტერესები.

დაგეგმვა და განხორციელება, ასევე, მოითხოვს დაფიქრებას შემდეგ ფაქტორებზე:

- ვინ იქნება ჩართული – ყველა ბავშვი, თუ ერთი ჯგუფი? ყველა ბავშვი ჯგუფიდან, თუ რომელიმე კონკრეტული, მაგალითად ზაფხულში დაბადებული ბავშვები? ბაღის პერსონალიდან ვინ ჩაერთვება? მშობლები და ვიზიტორები? გახსოვდეთ, რომ ბავშვების სპეციფიკური ჯგუფის შერჩევა,როგორც წესი, ყოველთვის პრობლემური საკითხია და პრაქტიკოსების უმრავლესობა იწყებს მცირე ჯგუფით და შემდეგ, პროექტი ვრცელდება ყველა ბავშვზე და მოიცავს მთლიან პერსონალს, რადგან ყველას უნდა, რომ სახალისო და აღმაფრთოვანებელი ინიციატივების მონაწილე იყოს.
- რამდენ ხანს გაგრძელდება პროექტი? ერთი სემესტრი, წელი თუ უფრო მეტხანს? ამ წიგნში მოცემული პროექტების დიდი ნაწილი, თავდაპირველად, გათვლილი იყო ერთ აკადემიურ წელზე, დაახლოებით 9 თვეზე. ბევრი მათგანი წარმატებული გამოდგა და რუტინის ნაწილი გახდა, ან გაგრძელდა მომდევნო წელსაც. ზოგიერთი პროექტი, მაგალითად პლასტელინის ცეკვა, მოკლევადიანი იყო, მაგრამ იმდენად წარმატებული, რომ მომდევნო წელსაც გაგრძელდა და პრაქტიკაში დაინერგა.
- არის საკმარისი ბიუჯეტი და რესურსები?
- უნდა შეიცვალოს თუ არა რუტინა ან პერსონალის განაწილება პროექტის გამო? არიან თუ არა სხვა პირები პროექტში არაპირდაპირად ჩართულები, ვისთანაც კონსულტაციის გავლაა საჭირო?
- საჭიროა მშობლებისა და ბავშვების დამატებითი თანხმობის ფორმები მონაცემების მოსაგროვებლად, ან იმ მონაცემების გამოსაყენებლად, რომლებიც მანამდე სხვა მიზნით მოგროვდა? (იხილეთ ეთიკის ქვეთავი პირველ ნაწილში).
- როდის დამთავრდება პროექტი? როგორ აღნიშნავთ დამთავრებას და როგორ გააზიარებთ შედეგებს? შესაძლოა, ეს იყოს ღონისძიება, სადაც მოიწვევთ ყველა ჩართულ პირს. აგრეთვე, პრეზენტაცია – ბავშვების ნამუშევრების გამოფენა – სადაც დროის პერიოდ-

ში გამოვლენილი ცვლილება ჩანს. ზოგიერთი სააღმზრდელო დაწესებულება ბავშვებს, მშობლებს და ხელისუფლების წარმომადგენლებს ღონისძიებაზე იწვევს და მათთან ერთად აღნიშნავს წარმატებას, ახალი იდეების დანერგვას და ბავშვებისთვის სასიკეთო ცვლილებებს. ღონისძიება შესაძლოა იყოს ფორმალური ან არაფორმალური, თუმცა შრომის აღნიშვნა და გაზიარება ყოველთვის კარგი აზრია.

- როგორ შეაფასებთ თქვენი პროექტის გავლენას ან შედეგებს? ეს არის ერთ-ერთი ცენტრალური კითხვა, რომელიც პროექტის გეგმაში თავიდანვე უნდა იყოს გათვალისწინებული და ხშირად, პროექტის დაწყებამდე არსებული სიტუაციის შესახებ მონაცემების მოგროვებით იწყება

ყველა ზემოთჩამოთვლილი ფაქტორი განსაზღვრავს პროექტის საბოლოო ფორმას. გთავაზობთ პროფორმას (დანართი IV), რომელიც პროექტის დაგეგმვისას შეგიძლიათ გამოიყენოთ

მაგალითი პრაქტიკიდან: დასკვნითი ღონისძიება

ერთი სააღმზრდელო დაწესებულება აწყობს ყოველწლიურ შემაჯამებელ ღონისძიებას ქალაქის მუნიციპალიტეტის შენობაში. ისინი იღებენ საგამოფენო სივრცეს, სადაც გამოფენენ პროექტის მასალებს, თუ რა ისწავლეს ბავშვებმა გასულ წელს. გამოფენა ერთი კვირის განმავლობაში ყველასთვის ღიაა და მშობლებს, მერიის წარმომადგენლებს, ბავშვებს და ადგილობრივ თემს საშუალება აქვთ, დაათვალიერონ ნამუშევრები. ასევე იწვევენ პრაქტიკის კვლევაში ჩართულ სხვა სააღმზრდელო დაწესებულებებსაც. გამოფენაზე წარმოდგენილია სხვადასხვა პრაქტიკის კვლევის პოსტერები, სადაც ნაჩვენებია კვლევის ციკლი – ფოკუსის იდენტიფიცირება, საკვლევი კითხვის ფორმულირება, ინფორმაციის შეჯერება, ცვლილების დაგეგმვა და განხორციელება, კრიტიკული რეფლექსია, გავლენის შეფასება და სამომავლო გეგმები. მიუხედავად იმისა, რომ ყველა პროექტი ერთსა და იმავე ციკლს გადის, პოსტერები განსხვავებულია, რადგან პროექტები და მათში გამოყენებული მიდგომები ინდივიდუალურია.

ბავშვების ნამუშევრების მაგალითები, ფოტოები, სადაც ასახულია პროექტის დასაწყისსა და დასასრულსს არსებული მდგომარეობა, ცხადყოფს პროექტის გავლენას და მიღწეულ პროგრესს.

გავლენის შეფასება

პრაქტიკოსები ხშირად ცვლილებების მოხდენის სურვილით ასაბუთებენ პრაქტიკის კვლევის დაწყებას. პრაქტიკის კვლევის ციკლის მნიშვნელოვანი ნაწილია სწორედ ამ სასურველი ცვლილებისა და მისი შეფასების გზების იდენტიფიცირება. ჩვენ გთავაზობთ, გამოიყენოთ გავლენის შეფასების ჩარჩო (დანართი III), რომელიც ქვემოთაა განმარტებული.

როგორ უნდა მიხვდეთ, რომ წარმატებას მიაღწიეთ?

ჩარჩოს მიხედვით, თავდაპირველად, უნდა წარმოიდგინოთ ბავშვები, წარმატებული პროექტის შემდეგ. რას დაინახავთ, მოისმენთ და შეამჩნევთ ინტერვენციის შედეგად? მაგალითად, პრაქტიკოსები ხშირად ამბობენ, რომ ბავშვები უფრო თავდაჯერებულები გახდებიან, მაგრამ ეს ბუნდოვანი განაცხადია. საჭიროა ზუსტი არტიკულირება, თუ როგორ გამოიყურება ან ისმინება „თავდაჯერებულობა“ ბავშვების კონკრეტულ ჯგუფთან, კონკრეტულ კონტექსტში. რა ტიპის მეტყველება ან ინტერაქცია დაახასიათებდა წარმოდგენილ თავდაჯერებულ ბავშვს? ამ ეტაპზე, ზედმიწევნით კონკრეტული უნდა იყოთ, რათა გქონდეთ საბოლოო მიზნის ხედვა. ცვლილების წარმოდგენა და არტიკულირება პრაქტიკოსებს პროექტის შედეგების წარმატების კრიტერიუმების შემუშავების საშუალებას აძლევს. როგიერთი შედეგი, შესაძლოა, გაიზომოს სტანდარტიზებული ინსტრუმენტებით, ანდა განვითარების რომელიმე კონკრეტული მახასიათებლის კითხვარებით. სხვა შედეგები უფრო რთულად გასაზომია, მაგალითად განწყობები და დამოკიდებულებები, ინტერაქ-

ციის ხარისხი, მოტივაცია და ჩართულობა. პროექტის დასაწყისში ნათელი წარმოდგენა – სასურველი ცვლილებისა და მათი იდენტიფიცირების გზების შესახებ – აადვილებს ამ ცვლილებებზე დაკვირვებას როგორც პროექტის მიმდინარეობისას, ასევე დასასრულს. გავლენის შეფასებაზე ფიქრის დროს, გაიხსენეთ ერლი და ფორიტის (Earley and Porrit) მიერ შემოთავაზებული შეფასების სამი გზა: პროდუქტები, პროცესები და გავლენა/შედეგები. პროდუქტების განხილვა შედარებით ადვილია, რადგან, როგორც წესი, პროდუქტები გარკვეული სახის არტეფაქტებია. მაგალითად, როგორც ამ წიგნის მესამე ნაწილშია მოცემული, აბერდინის პარკმა შექმნა ახალი უწყვეტი პროფესიული განვითარების დოკუმენტი. პროცესები და სისტემები, შესაძლოა, ასევე განვიხილოთ, როგორც ალტერნატიული სწავლების მიდგომები, მაგალითად პლასტელინის ცეკვა. მაგრამ გავლენა/შედეგი არის საკვანძო კომპონენტი, სადაც მტკიცებულებებით უნდა გამოჩნდეს, პროდუქტ(ებ)მა და პროცეს(ებ)მა როგორ შეცვალეს პროცესი და პრაქტიკოსებისა და ბავშვების გამოცდილებები (Earley & Porritt, 2010:8). პლასტელინის ცეკვის შემთხვევაში, ცვლილებების შეტანამ, შედეგად ფანქრის უკეთესი ჭერა მოიტანა, რისი მიღწევაც რუტინაში ცვლილებების შეტანითა და რესურსების მობილიზებით მოხერხდა.

მაგალითი პრაქტიკიდან 1.

ლორენს და კარენს სურდათ გაერკვიათ, გააუმჯობესებდნენ თუ არა ბავშვები წერას, თუკი საგრძნობლად გაიუმჯობესებდნენ ამბის თხრობის უნარს. მათთვის სასურველი ცვლილება იყო – ყველა ბავშვს თავდაჯერებულად მოეთხრო ამბავი. მათ წარმოიდგინეს, რომ პროექტის წარმატებულად განხორციელების შედეგად, ბავშვები დაინტერესდებოდნენ ამბების თხრობით და ამ ენთუზიაზმის ტალღაზე, გაუადვილდებოდათ ამბების წერის დაწყება.

მათ გამოიყენეს დაკვირვებების მეთოდი არსებული პრაქტიკის შესაფასებლად და საწყისი ინფორმაციის მოსაგროვებლად, რაზე დაყრდნობითაც, საბოლოოდ, პროექტი შეფასდებოდა. ეს მათ დაეხმარა, რომ

თავდაჯერებული ამბის თხრობა, ამბის თხრობაში ჩართვის მოტივაცია და ამბის თხრობის „აჟიოტაჟი“ დეტალურად განემარტათ.

ავტორებმა პროექტი შეაფასეს პროექტამდელი და პროექტის შემდგომი ნაწერების ნიმუშებით და ბავშვის ინიცირებული ამბის თხრობაზე დაკვირვებით. ასევე, პროექტამდეც და პროექტის შემდგომაც, შეგროვდა მონაცემები ბავშვების მოსაზრებების შესახებ, რამაც ავტორებს შედარებისა და რეფლექსიის საშუალება მისცა.

მაგალითი პრაქტიკიდან 2.

ნიკოლა დაინტერესებული იყო, რომ ეფექტური სტრატეგიების მოძიებით, ბავშვების ჯგუფს დახმარებოდა ემოციების უკეთ მართვასა და გამოხატვაში. მას იდენტიფიცირებული ჰყავდა ორი ბავშვი, რომლებსაც ემოციების მართვისა და გამოხატვის სირთულეები ჰქონდათ. თავისი პროექტის შესაფასებლად, □იკოლა თითოეულ ბავშვზე დაკვირვებებს და ბოქსალის პროფილს (Boxall profile)იყენებდა, პროექტის დაწყებამდე და პროექტის დასრულების შემდეგ. □ისთვის სასურველი ცვლილება იყო – ემოციური აფეთქებების შემცირება კვირის განმავლობაში, რაც თითოეული ბავშვის ემოციურ კეთილდღეობას გაუმჯობესებდა.

მაგალითი პრაქტიკიდან 3.

გარე სივრცეების განვითარება პრაქტიკის კვლევების პოპულარული ფოკუსია, თუმცა ამ იდეის განხორციელება ძვირადღირებული და ხანგრძლივი პროცესია. ერთ-ერთი სააღმზრდელო დაწესებულება გეგმავდა შენობის გარემოს მასშტაბურ გაუმჯობესებას, რის ფარგლებშიც ბავშვებისთვის გარე სივრცე უნდა მოწყობილიყო. მიუხედავად იმისა, რომ გუნდს უკვე ჰქონდა სივრცეების მოწყობის გეგმა, პროექტი შეფერხდა. თავდაპირველად, ფონდების მოძიებას ელოდებოდნენ, შემდეგ – მოსამზადებელი სამუშაოების დამთავრებას, სანამ გარე სივრცეების მოწყობის ჯერი დადგებოდა. შესაბამისად, დაიგეგმა ორნაწილიანი პროექტი. პროექტის პირველი ნაწილი ეხებოდა სხვა სამუშაოების მიმდინარეობისას განსახორციელებელ საქმიანობას. მათ ჩართეს ბავშვები ამ პროცესში და ასახეს

ბავშვების მოსაზრებები სამოქმედო გეგმაში. გუნდმა, პროექტის მეორე ნაწილში, ახალი გარე სივრცეების გამოყენების ზედმიწევნით დეტალური გეგმა გაწერა. მათი საბოლოო პროდუქტი იყო – გაუმჯობესებული გარე სივრცე. სამუშაო პროცესში კი, გაუმჯობესდა თანამშრომლების გუნდური მუშაობის ხარისხი, გაჟღერდა ბავშვების ხმა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ასევე, სააღმზრდელო დაწესებულების მხარდასაჭერად, მობილიზდა ადგილობრივი თემი. საბოლოო გავლენა/შედეგი იყო პოზიტიური გარემო, გაუმჯობესდა ბავშვების ქცევები და წახალისდა გარე სწავლა და ამ პროცესში აქტიური ჩართულობა.

გავლენის შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ სააღმზრდელო პრაქტიკის შეფასებაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრაქტიკის კვლევის პროცესი, ასევე, ორიენტირებულია აღმზრდელებისა და მთლიანად პერსონალის განვითარებაზე. ერლი და ფორითი (Earley and Porritt) (2010) განიხილავენ უწყვეტი პროფესიული განვითარების სხვადასხვა მიდგომებს განათლების სექტორში და გამოკვეთენ გავლენის შეფასების მნიშვნელობას პროფესიულ საქმიანობაში. პრაქტიკის კვლევის ფარგლებში თქვენი და თქვენი გუნდის პროფესიული განვითარების შეფასება, თქვენი პროექტის გავლენის შეფასების გეგმის ინტეგრირებული ნაწილი უნდა იყოს. პროექტის მიმდინარეობისას ჩანაწერების გაკეთება, გამოსადეგი პრაქტიკაა, რაც განხილვაში, რეფლექსიაში, იდეების შემუშავებაში, საინტერესო მომენტების, ფიქრებისა და შეკითხვების დაფიქსირებაში დაგეხმარებათ.

მაგალითი პრაქტიკიდან – რეფლექსიური ჟურნალები

ლონდონის ისლინგტონის რაიონის სააღმზრდელო დაწესებულებების წარმომადგენლები მონაწილეობას იღებდნენ პრაქტიკის კვლევის პროექტში, სადაც აღმზრდელების ფასილიტაციის კომპონენტიც იყო ინტეგრირებული. პროექტის ფარგლებში, მონაწილეებს – რეფლექსიური ჩანაწერებისთვის – მაღალი ხარისხის A4 ზომის ჟურნალები დაურიგდათ. ჟურნალების გამოყენება შეეძლოთ ფასილიტაციის სესიების დროს და ასევე,

სესიების მიღმაც, პროექტის მიმდინარეობისას დაეფიქსირებინათ თავიანთი წუხილები, კითხვები, იდეები. ბევრმა მონაწილემ ჟურნალი პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების იდეების ჩასანიშნად გამოიყენა. შიგნით აკრავდნენ სტატიებსა და სურათებს, წერდნენ რესურსების ჩამონათვალს, ინიშნავდნენ სამუშაო შეხვედრის დროს განხილულ მნიშვნელოვან საკითხებს. პროექტის მონაწილეებს მოსწონდათ ჟურნალის წარმოება, რადგან მასში აღნუსხული იყო მათი საქმიანობა და შეეძლოთ მისი რესურსად გამოყენება როგორც პროექტის ფარგლებში, ასევე პროექტის მიღმაც. ჟურნალში, ასევე, თავმოყრილი იყო ინფორმაცია პრაქტიკის კვლევის სხვადასხვა ეტაპებზე და მონაწილეების პროფესიული განვითარების შესახებ. „ჟურნალი მართლაც კარგი რამ იყო, ძალიან საინტერესო მოგზაურობის ჩანაწერი“ (ელიზაბეთ ეპინოსა Elisabet Epinosa).

სამომავლო გეგმები

პრაქტიკის კვლევის ციკლური პროცესი ხშირად იმაზე მიუთითებს, რომ კონკრეტული, საბოლოო წერტილი არ არსებობს. ერთი ციკლის დასრულებამ, შესაძლებელია, დამატებითი კითხვები გააჩინოს და ასე გაგრძელდეს უწყვეტად. მიუხედავად იმისა, რომ პერსპექტივა შესაძლოა ბუნდოვანი იყოს, მნიშვნელოვანია დაფიქრება როგორც წარსულზე, ასევე მომავალზე და რეფლექსია იმის შესახებ, თუ რა ისწავლეთ პროცესში და რა კითხვები გაგიჩნდათ, რასაც მომავალში უნდა გაეცეს პასუხი. პრო ფორმა (დანართი VI), შესაძლოა, გამოგადგეთ რეფლექსიის სტრუქტურირებაში, რათა გაიაზროთ, რა ისწავლეთ, რა გავლენა მოახდინა პროცესმა თქვენს პრაქტიკაზე, რა კითხვები დაგრჩათ პასუხგაუცემელი და როგორ აპირებთ ამ კითხვებზე პასუხების მოძიებას.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც უნდა დაფიქრდეთ, არის თქვენი კვლევის შედეგების გავრცელება. თქვენ მიერ განვლილი პროცესებისა და მიღწეული შედეგების გაზიარება, სხვა პრაქტიკოსებს აძლევს საშუ-

ალებას, იმსჯელონ, რამდენად მიესადაგება თქვენი კვლევა მათ კონ-ტექსტს. შესაძლოა, სხვა პრაქტიკოსებთან დიალოგმა თქვენი პრაქტი-კის გაუმჯობესებასაც შეუწყოს ხელი და ახალი კვლევითი ინტერესებიც გააღვივოს.

რა ახალი კვლევითი მიმართულებებიც არ უნდა დაგეგმოთ პროექ-ტის დასრულების შემდგომ, მნიშვნელოვანია, შეინარჩუნოთ თქვენ მიერ ნაკვლევ პრაქტიკის კომპონენტზე ფოკუსი და გააგრძელოთ მას-ზე ზრუნვა. ასევე მნიშვნელოვანია გაიაზროთ, რომ თქვენი პროექტის შედეგები, შესაძლოა, დაუყოვნებლივ თვალსაჩინო არ იყოს. ფოკუსის შენარჩუნებით შეძლებთ გრძელვადიანი შედეგების იდენტიფიცირებას და მათზე რეფლექსიას. სავარაუდოდ, თქვენს პროექტს ექნება ისეთი გრძელვადიანი შედეგები, რაც თქვენზე, თქვენს გუნდსა და ზოგად პრაქტიკაზე დადებითად აისახება.

მაგალითი პრაქტიკიდან 1.

ერთ-ერთი სააღმზრდელო დაწესებულება, რომელიც სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებდა, გარე სწავლის აქტივობებში ბავშვების ჩართვის ხელ-შესაწყობად, გარემოს გაუმჯობესებაზე იყო ფოკუსირებული. ბავშვების კვლევის პროცესში ჩართულობამ გამოავლინა, რომ მათ სურდათ, გარკ-ვეული საკუთრების განცდა ჰქონოდათ სივრცეებზე, რამაც კიდევ ერთ-ხელ დაარწმუნა დაწესებულების თანამშრომლები, თუ რამდენად მნიშვ-ნელოვანია, რომ ბავშვებს თავიანთი მოსაზრებების გაზიარების საშუალე-ბა მივცეთ. ამის გაცნობიერებამ მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა დაწესებულებაში და პრაქტიკის კვლევის პროექტის შემდგომაც. ბავშვე-ბის მოსაზრებები მნიშვნელოვანწილად აისახა გადაწყვეტილებების მი-ღების პროცესებში. აღნიშნული პრაქტიკა გავრცელდა მთლიანი სკოლის მასშტაბით. როგორც სკოლამდელი აღზრდის, ისე სკოლის მოსწავლე-ებისთვისაც იქმნება შესაძლებლობები, რათა სასკოლო ცხოვრებაში მათი მოსაზრებები გაჟღერდეს.

მაგალითი პრაქტიკიდან 2.

ერთ-ერთი ჯგუფის უფროსს აღმზრდელს თავდაპირველად სურდა, მშობლებთან პარტნიორობის გზებზე ფოკუსირებულიყო. კოლეგებთან საუბრის შემდეგ, გადაწყვიტა დაეწყო მცირე მასშტაბის პრაქტიკის კვლევა, რომელიც ეხებოდა უფროსი აღმზრდელის როლს ჯგუფში (1-2 წლიანების ჯგუფი). მან გამოიყენა კითხვარი მშობლების მოსაზრებების გასარკვევად როგორც არსებული კომუნიკაციის პროცესების შესახებ, ასევე იმ გზების შესახებაც, რა გზებითაც მშობლები ისურვებდნენ, გაეზიარებინათ ბავშვის შესახებ ინფორმაცია უფროსი აღმზრდელისთვის. კითხვარით, მშობლებთან და პერსონალთან დისკუსიებით გამოირკვა, რომ ზოგიერთი მშობელი ვერ ახერხებდა ინფორმაციის გაზიარებას, რადგან ბავშვების ბაღში ტარებას თავად ვერ ახერხებდნენ. აქედან გამომდინარე, ჯგუფის უფროსმა დაიწყო ორმხრივი კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებების შექმნაზე ზრუნვა, მათ შორის ელექტრონული სწავლების ჟურნალის პლატფორმის გამოყენება, საკომუნიკაციო რვეულის წარმოება, დროის გამოყოფა სატელეფონო საუბრებისთვის, პრო ფორმის შედგენა, ბავშვის მნიშვნელოვანი მიღწევებისთვის. შედეგების შეფასებისას გამოიკვეთა, რომ ახალი პრაქტიკების დანერგვამ, გააუმჯობესა მშობლებსა და უფროს აღმზრდელებს შორის ინტერაქცია როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად. გარდა ამისა, მშობლებს საშუალება მიეცათ, ბავშვის ბაღში ჩარიცხვისას, აპლიკაციაში მიეთითებინათ სასურველი კომუნიკაციის ფორმა. შედეგად, სხვა ჯგუფების უფროსმა აღმზრდელებმაც გადაწყვიტეს ფოკუსირება მშობლებთან ურთიერთობების გაძლიერებაზე და ზოგიერთმა მათგანმა სწორედ იმ პრაქტიკებს მიმართა, რაც პირველი ჯგუფის შემთხვევაში დაინერგა.

ასევე, მნიშვნელოვანია გუნდში დიალოგის/რეფლექსიის იმპულსის შენარჩუნება. პრაქტიკოსები ხშირად ხაზს უსვამენ გუნდებში თანამშრომლობის მნიშვნელობას. ამასთან ერთად, თუ თანამშრომლობა წარმატებით მიმდინარეობს, არ არის საჭირო თანამშრომლობის პროცესის შეზღუდვა და დავიწროვება მხოლოდ კვლევითი პროექტების ფარგლებში. თუ პრაქტიკის კვლევის პროცესმა ინტერპერსონალური

დინამიკა გააუმჯობესა, ამის გაცნობიერება და შენარჩუნება, შესაძლოა, ძალიან ღირებული იყოს დაწესებულებისთვის.

მაგალითი პრაქტიკიდან 3.

ფასილიტაციით მიმდინარე პრაქტიკის კვლევების ერთ-ერთი მახასიათებელი, ხშირად, სააღმზრდელო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობაა, რომლის ფარგლებშიც ერთმანეთს პერიოდულად უზიარებენ კვლევის პროცესის შესახებ ინფორმაციას და განიხილავენ პრაქტიკის სხვადასხვა ასპექტებს. პრაქტიკოსები ამ თანამშრომლობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან პროფესიული დიალოგი მათ დაფიქრების საშუალებას აძლევს, თუ როგორ სახეს იძენს ერთი და იგივე პრაქტიკა სხვადასხვა კონტექსტში. ასევე, საშუალება ეძლევათ, ახლებურად გაიაზრონ გამოწვევები და გაიღრმავონ ცოდნა სხვადასხვა დაწესებულებების კონტექსტუალური მახასიათებლების შესახებ. დიალოგის შედეგად, პრაქტიკოსებს ცვლილებები შეაქვთ თავიანთ პრაქტიკაში, ითვალისწინებენ რა კოლეგების პრაქტიკის კვლევებს. კოლეგების კვლევების გაცნობა, ასევე, პრაქტიკოსებს საშუალებას აძლევს, ჩაუღრმავდნენ საკუთარი პრაქტიკის იმ ასპექტებს, რაც კოლეგების მიერ ნაკვლევ საკითხებთან არის დაკავშირებული.

შეჯამება

პრაქტიკის კვლევის ციკლში, რომელსაც ჩვენ წარმოგიდგენთ, განსაზღვრულია კონკრეტული ფაზები, რაც პროცესის დროს ორიენტაციაში დაგეხმარებათ. თითოეული ეტაპი მოითხოვს დაგეგმვის, მოქმედების, დაკვირვების და რეფლექსიის ციკლებს, რათა ჩამოგიყალიბდეთ სიღრმისეული წარმოდგენა თქვენს საქმიანობაზე, ეს კი აუცილებელია კვლევითი პროექტის წარმატებისთვის. საწყის ეტაპზე, პრაქტიკის მკვლევრები განიხილავენ იმ გამოწვევებს, რომლებსაც პრაქტიკაში აწყდებიან და იწყებენ ალტერნატიული სცენარების მოაზრებას. ეს ეტაპი, ასევე, დაგაფიქრებთ თქვენი პრაქტიკის ძლიერ და სუსტ მხარეებზე.

ამგვარად, მივდივართ თავდაპირველ კვლევით კითხვამდე, რომელიც გამომდინარეობს თქვენი გულწრფელი ინტერესიდან – იკვლიოთ, უკეთ შეისწავლოთ და გააუმჯობესოთ თქვენი პრაქტიკა.

ციკლის მეორე ფაზა მოიცავს ინფორმაციის მოგროვებასა და შეჯერებას, რათა უკეთ შეისწავლოთ არსებული სიტუაცია და თქვენთვის საინტერესო პრაქტიკის კომპონენტი. ეს ფაზა მოითხოვს უწყვეტ რეფლექსიას – კრიტიკულად გაიაზროთ თქვენი ზოგიერთი ვარაუდი, რომელიც შესაძლოა თავდაპირველ, საკითხის იდენტიფიცირების ეტაპზე გაგიჩნდათ. თქვენი ფოკუსი და ინდივიდუალური კონტექსტი განსაზღვრავს, თუ რა ტიპის ინფორმაციას მოაგროვებთ, თუმცა ყოველთვის უნდა გახსოვდეთ მონაცემების მოგროვებისა და გამოყენების ეთიკური პრინციპები. ამასთან ერთად, მოგროვებულმა ინფორმაციამ, შესაძლოა, გამოსადეგი მაჩვენებლები მოგცეთ, რომლებიც შემდგომში პროექტის შეფასებაში დაგეხმარებათ.

მესამე ფაზა – ცვლილების დაგეგმვა და განხორციელება – მოგროვებული ინფორმაციის სიღრმისეულ გააზრებას და თავდაპირველ საკვლევ კითხვაზე რეფლექსიას მოითხოვს. თქვენი სამოქმედო ფოკუსის იდენტიფიცირებისა და სიღრმისეულად შესწავლის შემდეგ, ზუსტად ისეთი ცვლილებები უნდა დაგეგმოთ, რომლებიც შესაბამისობაში იქნება თქვენს ხედვასთან და თქვენთვის სასურველ შედეგებს მოიტანს. სედეგების შეფასების გადაწყვეტილება დამოკიდებული იქნება თქვენს ინდივიდუალურ არჩევანზე და კონკრეტულ კონტექსტზე, თუმცა აუცილებელია შედეგების მუდმივი განხილვა და გამოკვეთილი სურათის მიხედვით, თქვენი საქმიანობის ადაპტაცია.

მეოთხე ეტაპზე, გავლენის შეფასების დროს, უნდა დაფიქრდეთ, თუ რა ცვლილებები განახორციელეთ თქვენი პროექტით, რა ხელშემწყობი ფაქტორები იყო პროცესში და რა ზეგავლენა აქვს ამ ცვლილებებს. მეორე ფაზის დროს მოგროვებული ინფორმაცია, მნიშვნელოვანწილად, დაგეხმარებათ დასაბუთებული შეფასების გაკეთებაში და სამომავლო მიმართულებების განსაზღვრაში.

მეხუთე ფაზა – სამომავლო გეგმები – თქვენგან მოითხოვს წინ გახედვას, დაფიქრებას, თუ რა მიმართულებით გსურთ წახვიდეთ პროექტის შემდგომ. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, ეს ახალი პრაქტიკის კვლევა იყოს, ახალი კითხვების ან გამოწვევების საპასუხოდ. სხვა შემთხვევაში – თქვენი შედეგებიდან გამომდინარე – გრძელვადიანი ცვლილებების დაგეგმვა. აგრეთვე, ამ ფაზის მნიშვნელოვანი ნაწილია თქვენი კვლევის შედეგების გაზიარება. კვლევის პროცესისა და გავლენის შესახებ თქვენი მოსაზრებების გაზიარება, შესაძლოა, ძალიან გამოგადგეთ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ინდივიდუალურად ახორციელებთ პრაქტიკის კვლევას. ასევე, მნიშვნელოვანია უწყვეტი რეფლექსია იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს პრაქტიკის კვლევა თქვენზე, როგორც პრაქტიკოსზე. ხშირად, მეხუთე ფაზაში, შესამჩნევი ხდება პროექტის რეალური შედეგი. საინტერესოა, რომ შედეგების გაცნობიერება ადრეული წლების პრაქტიკის კომპლექსურობის გაცნობიერებასთან ერთად ხდება. კვლევას ხშირად უფრო მეტი კითხვა მოაქვს, ვიდრე პასუხი.

ნაწილი მესამე
პროექტები

შესავალი

ამ თავში განხილულია პრაქტიკის კვლევის 10 მაგალითი. კვლევები ჩატარდა ადრეული წლების პრაქტიკოსების მიერ, ლონდონში და სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში. თითოეული კვლევა მიჰყვება იმ ფაზებს, რომლებიც მეორე თავშია განხილული და მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა გავლენა იქონია პროექტმა დაწესებულებაზე, ბავშვებზე და პრაქტიკოსების პროფესიულ განვითარებაზე. შერჩეული პროექტები ფარავს ყველა ასაკობრივ ჯგუფს და აჩვენებს, თუ რა კომპლექსური საკითხების გადაჭრა უწევთ პრაქტიკოსებს კურიკულუმის, გარემოს მოწყობის, პრაქტიკისა და პოლიტიკის მიმართულებით. ალბათ, კარგი იქნებოდა, პროექტები გვქონოდა ადრეული წლების კურიკულუმის თითოეული მიმართულებით, ყველა ასაკობრივ ჯგუფში, მაგრამ წინასწარ განსაზღვრულ კატეგორიებზე მორგება, ადრეული წლების კონტექსტში, იშვიათად ხდება. სამაგიეროდ, შერჩეულ პროექტებში ნაჩვენებია პრაქტიკის კომპლექსურობა და საჭიროებების, პრიორიტეტებისა და რესურსების მუდმივ დაბალანსებაზე ზრუნვა, რაც პრაქტიკოსების ყოველდღიურობას წარმოადგენს. პრაქტიკოსების მიერ შერჩეული პროექტის ფოკუსი მათი კონტექსტისთვის შესაბამისი იყო, თუმცა, მკითხველმა შესაძლოა დასვას კითხვა: „როგორ შეირჩა ეს კონკრეტული ფოკუსი?“ პროექტების წარდგენისას, ვეცდებით დაგანახოთ, რომ საკითხი და სფერო უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი კომპონენტებია, ვიდრე რეფლექსია, პრაქტიკის კვლევის ციკლები და ცვლილებების

მოხდენის სურვილი, პირადი და პროფესიული ინტერესის დაკმაყოფილებით.

ათი პროექტი: თითოეული პროექტი წარმოდგენილია ერთნაირი ფორმატითა და თანმიმდევრობით. ათივე პროექტი იწყება პროექტის სათაურით, რომელსაც მოსდევს კონკრეტული საკითხი და საკვლევი კითხვა. პროექტის ნარატიული მიმოხილვა წარმოდგენილია მეორე თავში აღწერილი ფორმატისა და ციკლური პროცესების შესაბამისად (ფოკუსის იდენტიფიცირება, ინფორმაციის შეჯერება, ცვლილების დაგეგმვა და განხორციელება, გავლენის შეფასება და მომავლის გათვალისწინება). პროექტებს თან ახლავს ფოტოები, რეფლექსიები და პრაქტიკოსების კომენტარები იმის შესახებ, თუ რა ისწავლეს, რა ცვლილებების გამოწვევა მოახერხეს და რას აპირებენ სამომავლოდ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პრაქტიკოსებმა თითოეული პროექტი შეარჩიეს იმის მიხედვით, თუ რა კონკრეტული საკითხი ან კითხვა იყო აქტუალური დროის კონკრეტულ მონაკვეთში მათი კონტექსტისთვის. შესაბამისად, თითოეულ პროექტში არეკლილია პრაქტიკოსების პირადი დამოკიდებულებები, ნააზრევი და ის გარემო, სადაც პროექტი დაიწყო. აქ არ არის იმ პროექტების ჩამონათვალი, რისი გამეორებაც თქვენს დაწესებულებაში უნდა სცადოთ. თითოეულ პროექტში ილუსტრირებულია პროცესი, რომელსაც პრაქტიკის კვლევის ყველა პროექტი გადის. ჩვენი განზრახვაა, რომ კარგად გაიაზროთ ის ეტაპები და პრინციპები, რაც აღნიშნულ პროექტებს საფუძვლად უდევს და ეს ცოდნა გამოიყენოთ თქვენთვის და თქვენი დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების დამუშავებისას.

1 იოგა საბავშვო ბაღში (3-4 წლიანთა ჯგუფში)

პირველ პროექტად სპეციალურად შეირჩა ისეთი მაგალითი, რომელიც თითქოს უპირისპირდება ადრეული წლებთან დაკავშირებულ პრაქტიკის კვლევის შესახებ წარმოდგენებს. ამით იმის ხაზგასმა გვსურს, რომ პროექტები უნდა ირეკლავდეს ინდივიდუალურ ინტერესებსა და კონტექსტებს და არ არის აუცილებელი, ეროვნულ პრიორიტეტებთან და კურიკულუმთან იყოს დაკავშირებული. როგორც წესი, საუკეთესო პროექტები ემყარება კრეატიულ და ინოვაციურ იდეებს, რომლებიც არ მიჰყვება დამკვიდრებულ შეხედულებებს და არსებული მდგომარეობის შენარჩუნების ნაცვლად, ახალ ალტერნატივებს ამკვიდრებს. მაშინ, როდესაც პოლიტიკის, პრაქტიკის და დაწესებულების ოპერაციებში ჩართული, შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების დღის წესრიგი, ხშირად, წინააღმდეგობრივია, შესაძლოა, პრაქტიკოსებისთვის უფრო ადვილი იყოს ისეთი იდეების წარდგენა, რომლებიც მათ არსებულ პრაქტიკას ეფუძნება და არაინოვაციურია. ვიმედოვნებთ, რომ ეს პროექტი დაეხმარება პრაქტიკოსებს, პირად და პროფესიულ ინტერესებზე დაყრდნობით, შეარჩიონ სათანადო საკვლევი საკითხი და განახორციელონ ისეთი პროექტი, რომელიც დადებითად აისახება ბავშვებზე.

Education Endowment-ის ინსტრუმენტების ნაკრებში იოგა წარმოდგენილია, როგორც სასარგებლო ინტერვენცია, რომელსაც შედარებით მცირე ფინანსური რესურსი სჭირდება. იოგა პრაქტიკოსების

ყურადღებას იპყრობს, რადგან მასში აქცენტირებულია ბავშვის თვითრეგულირება და აგზნება-შეკავების კონტროლი, რაც თავის მხრივ, ფუნქციურად უკავშირდება ემოციურ რეგულირებასა და აღმასრულებელ ფუნქციებს.

აღმასრულებელი ფუნქციების განვითარებით, ბავშვი სწავლობს, თუ როგორ არ გაეფანტოს ყურადღება მიზნისკენ მიმავალ გზაზე (Diamond & Lee, 2011). იოგას დროს, ბავშვებს მოეთხოვებათ კონკრეტულ პოზაზე ფოკუსირება და საკუთარი სუნთქვის, სხეულისა და გონების რეგულირება, რაც ირეკლავს აღმასრულებელი ფუნქციების პროცესებს. იოგა, როგორც აქტივობა, მხარდაჭერილია კვლევებით, რომლებიც აჩვენებს, რომ იოგა აუმჯობესებს აღმასრულებელ ფუნქციას ბავშვებში და მისი ინტეგრირება კურიკულუმში მარტივია (Diamond & Lee, 2011). გაუმჯობესებული ემოციური რეგულირება, თავის მხრივ, აუმჯობესებს სკოლაზე ფოკუსს და სასკოლო წარმატების მიღმაც, მრავალმხრივ სასარგებლოა ბავშვებისთვის. ემოციების კონტროლის გაუმჯობესება ხელს უწყობს ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ამცირებს კანონდარღვევების რისკს და დადებითად ზემოქმედებს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე (Macklem, 2008). სუნთქვა, მედიტაცია და სხეულის კონტროლი, ბავშვებს ემოციების მართვას ასწავლის, რაც კვლევებითაა დადასტურებული. იოგას დადებითი ეფექტები შესწავლილია უფროსებშიც, როგორც შფოთვისა და დეპრესიის პრევენციის და თერაპიული ინტერვენციის საშუალება. კვლევები იმედისმომცემ შედეგებს აჩვენებს ბავშვების მიმართულებითაც.

რაზას, ბერგენ-ჩიკოს, რეიმონდის და სხვების კვლევაში (2013) იოგა ბავშვების თვითრეგულირების გასაძლიერებლად გამოიყენეს. თვითრეგულირება კი ფუნქციურად უკავშირდება ემოციურ რეგულირებას. ჩვენ მიერ წარმოდგენილი პროექტის ავტორი, ადრეული წლების პრაქტიკოსი, თავადვე იყო კვალიფიციური იოგას ინსტრუქტორი. შესაბამისად, მას ჰქონდა პირადი ინტერესი, ეკვლია იოგას და აღმასრულებელი ფუნქციების გავლენა სწავლაზე და დახმარებოდა სხვა პრაქტიკოსებსაც იოგას კურიკულუმში ინტეგრირებაში.

ბავშვების ქცევებისა და ემოციების გამოვლენის მექანიზმების ცოდნამ ბიძგი მისცა ახალი პრაქტიკის დამკვიდრებას, რომელიც ბავშვებს დაეხმარებოდა, უკეთ გამკლავებოდნენ ემოციურად დაძაბულ სიტუაციებს. მანამდე, კვლევები, რომლებიც სპეციფიკურად იოგას და ემოციური რეგულირების კავშირს დაადგენდა, არ ჩატარებულა.

პროექტის შეჯამება

პრო ექტი განხორციელდა სამაგისტრო დისერტაციის ფარგლებში, ადრეული წლების პრაქტიკოსის მიერ, რომელიც, ამავდროულად, კვალიფიციური იოგას ინსტრუქტორიც იყო. კვლევის მიხედვით, იოგა აუმჯობესებს თვითრეგულირებასა და აგზნება-შეკავების კონტროლს, რაც ფუნქციურად ემოციურ რეგულირებას უკავშირდება. კვლევა მიზნად ისახავდა, დაედგინა, თუ როგორ გავლენას ახდენდა იოგა ბავშვების მიერ ემოციების აღქმასა და კონტროლზე, რაც აღმზრდელებსა და იოგას ინსტრუქტორებს ყოველდღიურ პრაქტიკაში დაეხმარებოდა. პროექტი, ასევე, მიზნად ისახავდა კვლევის მონაწილე ბავშვების ხელშეწყობას, რათა უკეთ გაეაზრებინათ თავიანთი ემოციები. გადაწყდა, რომ კვლევის ფოკუსი იქნებოდა – კავშირი აღმასრულებელ ფუნქციებსა და იოგას შორის, სპეციფიკური ყურადღება კი, ემოციურ რეგულირებას დაეთმობოდა.

1. ფოკუსის იდენტიფიცირება

კვლევის ფარგლებში, ყურადღება გამახვილდა იოგას ცნობიერების განმავითარებელ ქმედებებზე, როგორიცაა სუნთქვა, მედიტაციები და სხეულის კონტროლი. ყველა ეს ქმედება, ბავშვებისთვის, ემოციების კონტროლის სასწავლებლად გამოიყენეს. ნაკვლევია, რომ გონების სისავსე, „მაინდფულნესი“ მოზრდილებში შფოთვისა და დეპრესიის პრევენციის და თერაპიული ინტერვენციის საშუალებაა. პროექტი მიზნად ისახავდა ამ ეფექტების შესწავლას ბავშვებში და იმის გარკვევას, შეიძლება თუ არა, რომ იოგა გამართლებული ინტერვენცია იყოს ემოციების კონტროლის პრობლემის მქონე ბავშვებთან.

2. ინფორმაციის შეჯერება

თავდაპირველად, შეგროვდა ინფორმაცია აღმასრულებელი ფუნქციებისა და ბავშვებში ემოციური რეგულირების განვითარების გზების შესახებ. ბავშვების არსებული მდგომარეობა, ემოციური რეგულირების კუთხით, გაიზომა კითხვარის საშუალებით, რომელიც აღმზრდელმა შეავსო. ასევე, ჩატარდა ინტერვიუები იმის გასარკვევად, თუ როგორ ამოიცნობდნენ და აკონტროლებდნენ ბავშვები საკუთარ ემოციებს.

3. ცვლილების დაგეგმვა და განხორციელება

პროექტის ფარგლებში დადგინდა, თუ როგორ შეიძლებოდა იოგას ადაპტირება უშუალოდ ემოციების რეგულირების უნარების გასავითარებლად. თითოეული გაკვეთილი იგეგმებოდა წინა სესიის უკუკავშირის გათვალისწინებით, რაც თვითრეფლექსიურ ჟურნალებში აისახებოდა. სესიების ადაპტირება ხდებოდა ბავშვების ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით, რათა, ერთი მხრივ, განევითარებინათ ბავშვებში ემოციების რეგულირება და ასევე, დაეხვეწათ თავად იოგას პრაქტიკა. კვლევაში მონაწილე 6 ბავშვი მონაწილეობას იღებდა იოგას 11 სესიაში, რომელიც იმავე დაწესებულებაში ტარდებოდა. სესიები მოიცავდა ფიზიკური ვარჯიშის ელემენტებს, მდგომარეობის გაცნობიერების, „მაინდფულნესის“ დავალებებს და გრძელდებოდა 40 წუთის განმავლობაში. ბავშვები თამაშობდნენ იოგას თამაშებს, ვარჯიშობდნენ სუნთქვაში და ერთვებოდნენ რელაქსაციის სავარჯიშოებში. ისინი სესიებს ესწრებოდნენ კვირაში ორჯერ, თავისუფალი აქტივობისთვის გამოყოფილი დროს. სესიების შემდეგ, პროგრესის გასაზომად აკვირდებოდნენ როგორც მაღალი, ასევე დაბალი ემოციური რეგულირების უნარის მქონე ბავშვებს.

4. გავლენის შეფასება

შედეგებმა აჩვენა, რომ ბავშვებმა ისწავლეს ქმედებები, რომელთა გამოყენებასაც, თავის დასაწყნარებლად, სახლშიც შეძლებდნენ და ბაღშიც. ამასთან ერთად, უკეთ გააცნობიერეს შინაგანი პროცესები და გაიუმჯობესეს სხეულზე კონტროლი, რამაც ემოციების ეფექტურ კონტროლს შეუწყო ხელი. კვლევამ აჩვენა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაც, რის ერთერთ მიზეზად, სწორედ, ემოციების უკეთესი კონტროლი მიიჩნიეს.

5. სამომავლო გეგმები

ბავშვების აღმასრულებელი ფუნქციების გასავითარებლად საჭიროა იაფი, ეფექტური და ხელმისაწვდომი ინტერვენციები. შესაბამისი სწავლების შემდეგ, შეგიძლიათ იოგა მთელი დღის მანძილზე ან სპეციალურად განსაზღვრულ დროს გამოიყენოთ. ბავშვები მიიჩნევდნენ, რომ იოგამ მათ სუნთქვა და სხეულის კონტროლი შეასწავლა. ამ ქმედებების ეფექტურად გამოყენება შესაძლებელია ტრანზიციების დროს ან შესვენებებზე. იოგა მოქნილი პრაქტიკაა, რომლის ადაპტირებაც ყველა ბავშვთან არის შესაძლებელი, მათი სწავლის სტილისა და უნარების მიუხედავად. სხვა ინტერვენციები, რომლებიც ბავშვებს აღმასრულებელ ფუნქციებში ეხმარება, მაგალითად კომპიუტერული პროგრამები და ტრადიციული საბრძოლო ხელოვნება, პრაქტიკოსების გადამზადების კუთხით, ბევრად უფრო რთული და სწორხაზოვანია. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იოგა არის ხარჯთეფექტური, სასარგებლო და მარტივი მიდგომა, რომელიც აუმჯობესებს ბავშვების აღმასრულებელ ფუნქციებს და საშუალებას აძლევს პრაქტიკოსებს, რომ აღმასრულებელი ფუნქციების განვითარება ჩააშენონ ყოველდღიურ რუტინაში.

2 გარე სივრცის მოწყობა – ადრეული მათემატიკური ცნობიერების გასავითარებლად

პროექტი განხორციელდა კეტნში, 4-7 წლის ბავშვების 4 პარალელურ ჯგუფში. აღნიშნული სკოლის ხედვაა – „დამოუკიდებელი, ბედნიერი, ჯანმრთელი და თავდაჯერებული ადამიანების ჩამოყალიბება, რომლებსაც მუდმივად ცვალებად სამყაროში უწყვეტი სწავლის უნარები აქვთ.“ დაწესებულებამ შეიტყო ფასილიტაციური პრაქტიკის კვლევის პროგრამის შესახებ, რომელიც ერთ-ერთ ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნივერსიტეტის მასწავლებლების მიერ ხორციელდებოდა. ბაღის ადმინისტრაციამ მიიჩნია, რომ ეს კარგი შესაძლებლობა იქნებოდა პროფესიული განვითარებისთვის და გადაწყვიტა მონაწილეობის მიღება. დაწესებულების წარმომადგენლები პროგრამაზე დარეგისტრირდენ და შემოდგომის სემესტრის ბოლოს საინფორმაციო შესავალ სესიას დაესწრნენ. ამის შემდეგ მონაწილეობა მიიღეს გაზაფხულის სემესტრში მიმდინარე სამ სესიაში და ზაფხულის სემესტრში გამართულ დასკვნით ღონისძიებაში. პრაქტიკის კვლევის სწავლა თანხვედრაში იყო სკოლის ხედვასთან და სწავლისადმი მათ დამოკიდებულებასთან, რაც შემდეგი განცხადებიდან იკითხება:

> „შეარს გრინში ფოკუსირებულები ვართ, ხელი შევუწყოთ ბავშვებს, გახდნენ საკუთარი მომავლის თავდაჯერებული და კრეატიული მშენებლები. ამას უზრუნველვყოფთ გუნდის მეშვეობით, რომელიც მზრუნველი და მხარდამჭერია თითო-

ეული ინდივიდის მიმართ. მუდმივად ვზრუნავთ კურიკულუმის დახვეწაზე, რომელიც კრეატიული და ამავდროულად, ბავშვების განვითარების შესატყვისია. კურიკულუმში ასახულია ბავშვების ცხოვრების მრავალფეროვნება, ადგილობრივი თემი და ცვალებადი სამყარო. გვჯერა, რომ ბავშვებს შესწევთ ძალა, გაუმკლავდნენ აკადემიურ გამოწვევებს ღიაობით, ენთუზიაზმით და პრობლემების გადაჭრის სურვილით. ჩვენ გვჯერა ისეთი გარემოს შექმნით, რომელიც ბავშვებს გონივრული რისკების აღებისკენ უბიძგებს, ვეხმარებით მათ გახდნენ სოციალურად და აკადემიურად პასუხისმგებლიანი ინდივიდები. იმგვარი კლიმატის შექმნით, სადაც ბავშვები თავს ბედნიერად, უსაფრთხოდ და მხარდაჭერილად გრძნობენ, გვჯერა, რომ ხელს შევუწყობთ ისეთი ადამიანების აღზრდას, ვინც მთელი ცხოვრების მანძილზე არ შეწყვეტენ სწავლას და სიკეთეს მოუტანენ დედამიწას.“

(შეარს გრინის ადრეული სკოლა)

სკოლის გაძლიერებაზე მიმართული ფოკუსი შეესაბამება პროფესიული განვითარების შესაძლებლობას, რომელიც ფასილიტაციურ პრაქტიკის კვლევას გულისხმობდა. ფასილიტაციური პრაქტიკის კვლევის ფარგლებში პრაქტიკოსები, უნივერსიტეტის მასწავლებლების დახმარებით, კვლევითი პროექტის – ყველა ეტაპის გავლით – განხორციელებას სწავლობდნენ, რაც მათ საშუალებას მისცემდა, პრაქტიკაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი გამოწვევებისთვის ეპასუხოთ და მომავალში კვლევები დამოუკიდებლად განეხორციელებინათ. შეარს გრინის ადრეულმა სკოლამ მოიწონა აღნიშნული მიდგომა და მონაწილეობა მიიღო ორ ფასილიტაციურ პროექტში, რის შედეგადაც პროექტების დამოუკიდებლად განხორციელებისთვის საჭირო კომპეტენციები და თავდაჯერებულობა შეიძინა. ამ სექციაში მოცემულია ერთ-ერთი ადრეული პროექტი. მის ფარგლებში შეიქმნა ბროშურა და პრეზენტაცია, რომლებიც აკადემიური წლის ბოლოს, დასკვნით ღონისძიებაზე გაზიარდა.

პროექტის შეჯამება

შეარს გრინის ადრეულმა სკოლამ განიხილა 5 წლამდე ბავშვების მონაცემები და სკოლის განვითარების გეგმა. მათ გამოკვეთეს მათემატიკა, როგორც გასაძლიერებელი მიმართულება. კურიკულუმის გარკვეული მიმართულებების გასავითარებლად – მოგროვებული მონაცემებისა და სკოლის გეგმის შესაბამისად – განიხილეს გარე სივრცეების გამოყენების შესაძლებლობა. შეარს გრინის სკოლაში მასწავლებლები ფოკუსირდნენ ბავშვების მიერ მართულ აქტივობებზე, მათემატიკაზე ფოკუსირებით. შიდა განხილვების შემდეგ, პროექტმა საბოლოო სახე მიიღო. ქვემოთ წარმოდგენილია პრაქტიკოსების ჩანაწერები, რომლებიც პროექტს ახორციელებდნენ.

1. ფოკუსის იდენტიფიცირება

ჩავატარეთ გუნდის შეხვედრა, სადაც განვიხილეთ არსებული სიტუაცია და ვიმსჯელეთ, თუ როგორ გაგვეზარდა ბავშვების თავდაჯერებულობა რიცხვებით თამაშისას. ფოკუსირებულმა დაკვირვებებმა და მოგროვებულმა მონაცემებმა აჩვენა, რომ ამ მიმართულების განვითარება შესაძლებელი იყო. ამის შემდეგ დაისვა კითხვა, თუ როგორ შეგვექმნა ისეთი გარემო, სადაც ბავშვებს სხვადასხვა აქტივობების დროს მათემატიკური უნარების განვითარების შესაძლებლობა ექნებოდათ. საბოლოოდ, კვლევითი კითხვა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: როგორ შეიძლება გარე (outdoor) პრაქტიკის გაუმჯობესება ისე, რომ ბავშვებმა – მათივე მართული აქტივობების დროს – მათემატიკური ოპერაციების გამოყენება დაიწყონ?

2. ინფორმაციის შეჯერება

მონაცემების განხილვის შემდეგ, გამოვყავით გასაუმჯობესებელი სფეროები. დაკვირვებებმა და სასწავლო ჟურნალებმა გამოავლინა ბავშვები, რომლებიც ერთვებოდნენ, და რომლებიც არ ერთვებოდნენ ბავშვების მიერ ინიცირებულ მათემატიკურ აქტივობებში. სწორედ ის ბავშვები, რომლებიც არ ერთვებოდნენ, გახდნენ პროექტის სამიზნე ჯგუფის ბენეფიციარები, თუმცა პროექტი ყველა ბავშვისთვის ხორციელდებოდა.

3. ცვლილების დაგეგმვა და განხორციელება

ჩვენი მოლოდინი იყო, რომ ბავშვები პრობლემებს შეეჭიდებოდნენ, გამოიყენებდნენ მათემატიკურ ტერმინებს და მოქნილები იქნებოდნენ პრობლემის გადაჭრისას. ფოკუსის შესაბამისად, დავიწყეთ გარე სივრცეში მათემატიკის შესასწავლი შესაძლებლობების გაზრდა, მათემატიკური რესურსების გამრავალფეროვნება, რაზეც ბავშვებს ექნებოდათ წვდომა. ასევე დაგვეხმარა თემატური სპეციალისტის კონსულტაცია, იმის დასადგენად, თუ რა იყო შესაცვლელი როგორც მიდგომებში, ასევე გარემოში. ბავშვების მიერ ინიცირებული სესიების პერიოდში, ბავშვებს ვუქმნიდით გარკვეულ გამოწვევას და ამ გამოწვევის გასამკლავებელ ინსტრუმენტებს ვაძლევდით. უფროსებს ურიგდებოდათ საინფორმაციო ცხრილები, სამიზნე ჯგუფის მიერ გამოწვევების გამკლავების დასაფიქსირებლად.

4. გავლენის შეფასება

მიუხედავად იმისა, რომ ინტერვენციის შემდეგ მონაცემები შედეგების გაუმჯობესებას აჩვენებდა, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ბავშვი კვლავ არ იყენებდა მათემატიკურ რესურსებს. ამის საპასუხოდ, წარვადგინეთ „შიდა გამოწვევები," რამაც საშუალება მისცა ბავშვებს, გამოეყენებინათ დამატებითი მათემატიკური რესურსები როგორც ბავშვების მიერ ინიცირებული აქტივობების დროს, ასევე სხვა სესიების დროსაც. ჩვენ ვკითხეთ ბავშვებს ამ ცვლილებების შესახებ: „მე მიყვარს რიცხვების დაჯამების სიმღერა", „მე მომწონდა კვერცხების დინოზავრებთან დაკავშირება", და „მე მომწონდა, როცა სფეროს, ცილინდრს და მსგავს რაღაცეებს ვაკეთებდით". მონაცემებმა აჩვენა მნიშვნელოვანი პროგრესი, რასაც ბავშვებმა რიცხვების და მათემატიკური ოპერაციების კუთხით მიაღწიეს. ბავშვები ამბობენ, რომ მათთვის სასიამოვნოა რაოდენობრივი აქტივობები და რიცხვების გამოყენება უკეთ გაიაზრეს.

5. სამომავლო გეგმები

ბავშვების მიერ მათემატიკური ლექსიკონის გამოყენება იმის სათქმელად, თუ რა მოეწონათ, ასახავს სწავლის შედეგებს. პროექტის ფარგლებში გავზარდეთ რესურსების სახეობები, რაოდენობა და გავამარტივეთ მათი

გამოყენება როგორც შიგნით, ასევე გარეთ. გაიზარდა დამოუკიდებელი სწავლის და ბავშვებისავე ინიცირებულ აქტივობებში მათემატიკის ინტეგრირების შესაძლებლობები. ხშირად, ბავშვები დამოუკიდებლად აგრძელებენ უფროსების შეთავაზებულ აქტივობებს და მოტივირებულნი არიან სიახლეების გამოსაცდელად. პროექტმა შეცვალა გარემოს მოწყობის ჩვენეული მიდგომა, რაც რუტინისა და პრაქტიკის ნაწილი გახდა. სამომავლოდ, ვაპირებთ მათემატიკის დამოუკიდებლად სწავლის კიდევ უფრო განვითარებას და მართული აქტივობების მონიტორინგს როგორც შიგნით, ასევე გარეთ. გარე სივრცის გაუმჯობესებისას, ჩვენ უზრუნველვყოფთ პრაქტიკული, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული, მრავალფეროვანი მათემატიკური აქტივობების არსებობას, რაც ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომი იქნება.

A Very
Proper Fox
A Very
Proper Fox

3 ამბის თხრობა

ადრეულ წლებში ამბის თხრობა პოპულარული მიმართულებაა, რამდენადაც იგი ხელს უწყობს მეტყველებისა და წერის უნარების განვითარებას. მეტყველების განვითარება კი, თავის მხრივ, აზროვნების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს და სოციალური ურთიერთობებისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. კვლევებმა გამოკვეთა პრაქტიკოსების წინაშე არსებული გამოწვევები, უფრო და უფრო მეტი ბავშვია მეტყველების განვითარების დაბალი მაჩვენებლებით, რასაც, თავის მხრივ, ზოგად განვითარებაზე აქვს ნეგატიური გავლენა (Norbury et al., 2016). ამას შესაძლოა მრავალი მიზეზი ჰქონდეს – ტექნოლოგიების გამოყენების ზრდა, რაც ურთიერთობებს ამცირებს, მშობლების მხრიდან ნაკლები ინტერაქცია და სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან დაკავშირებული გარემოებები (Whorrall & Cabell, 2016). თუმცა, ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ აღმზრდელებს, როცა ბავშვს მეტყველების განვითარების შეფერხება აქვს.

პრაქტიკის კვლევა იძლევა მეტყველების განვითარებაზე კრეატიული და ინოვაციური მეთოდებით მუშაობის საშუალებას, ბავშვების საჭიროებებისა და კონტექსტის გათვალისწინებით. მსგავსი პროექტი არაერთ ბაღსა და სკოლაში განხორციელებულა, რამაც რთული არჩევანის წინაშე დაგვაყენა, თუ რომელი კონკრეტული პროექტი წარმოგვედგინა სრულყოფილი პროექტის მაგალითად. წიგნში გაფანტუ-

ლია მაგალითები ამბის თხრობის განსხვავებული პროექტებიდან, აქ კი წარმოგიდგენთ ბლენის დაწყებითი სკოლის მიერ გამოყენებულ „ვერტმფრენის ამბის“ ინტერვენციულ მიდგომას, რომელიც კარგად დოკუმენტირებული და ნაკვლევია (Cremin et.al., 2017). აღნიშნული მიდგომა, მეტყველების განვითარების მხარდასაჭერად, ბევრ სააღმზრდელო დაწესებულებაშია პოპულარული. პროექტში, ასევე, გამოიყენეს წიგნი – *„მეტყველების ჩანაწერები“* (Clay et al., 1983). ქვემოთ წარმოდგენილია პროექტის დასაბუთება.

> ფოკუსი შევაჩერეთ კომუნიკაციასა და მეტყველებაზე, გამომდინარე იქიდან, რომ ვიცნობთ ჩვენს ბავშვებს, ვაანალიზებთ მონაცემებს და გვესმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ადგილობრივი თემის მუდმივად ცვალებადი დემოგრაფიის გათვალისწინება. ბოლო სამ წელში გაიზარდა იმ ბავშვების რაოდენობა, ვისთვისაც ინგლისური მეორე ენაა და თითოეულ ჯგუფში – ასეთი ბავშვები – დაახლოებით ერთ მესამედს წარმოადგენენ. ჩვენი ენისა და მეტყველების შეფასებები აღარ არის საკმარისი ამ ბავშვების მხარდაჭერის გზების გამოსავლენად.

პროექტის შეჯამება

მიუხედავად იმისა, რომ ამბის თხრობა პრაქტიკისა და რუტინის ცენტრალური კომპონენტია, დაკვირვებები და მონაცემები აჩვენებდა, რომ ამ მიმართულებით დამატებითი ძალისხმევა იყო საჭირო. საჭირო იყო კრეატიული მიდგომა და ფასილიტაციურ პრაქტიკის კვლევაში ჩართვამ, ბაღის პერსონალს საშუალება მისცა, მათთვის აქტუალურ საკითხზე კონცენტრირებულიყვნენ. არსებული პრაქტიკის, ლიტერატურისა და შესაძლო ვარიანტების კვლევით, მათ შექმნეს წარმატებული პროექტი და შეძლეს სასიკეთო ცვლილებების მოტანა ბავშვებისთვის.

1. ფოკუსის იდენტიფიცირება

იმ ბავშვების რაოდენობამ, ვისთვისაც ინგლისური მეორე ენაა, მთლიანი კოჰორტის მესამედს გადააჭარბა და არსებული პრაქტიკა ვეღარ აკმაყოფილებდა მათ საჭიროებებს. მონაცემებმა და დაკვირვებებმა განაპირობეს მეტყველების განვითარების პრიორიტეტად შერჩევა. საკვლევი კითხვა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „როგორ შევუწყოთ ხელი ბავშვების მეტყველების განვითარებას ამბის თხრობით?“

2. ინფორმაციის შეჯერება

ჩვენ უკვე გვქონდა განხორციელებული დაკვირვებები, მონაცემები. ასევე, ბავშვების მიერ წარმოთქმული გრამატიკული სტრუქტურების ჩანაწერები. თუმცა, „მეტყველების ჩანაწერებზე“ (Clay et al., 1983) დაფუძნებული შეფასება დაგვეხმარა, განგვესაზღვრა ასაკისთვის შესაბამისი მახასიათებლები და მოგვეხდინა ზუსტი, ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირება. ამ შეფასების ინსტრუმენტმა მოგვცა ბავშვების მიერ მეტყველების გამოყენების რაოდენობრივი ქულები და შედეგები გასაოცარი იყო იმ კუთხით, თუ რა იცოდნენ და არ იცოდნენ ბავშვებმა, და რა ვიცოდით და არ ვიცოდით პრაქტიკოსებმა ადრეული მეტყველების განვითარების შესახებ.

3. ცვლილების დაგეგმვა და განხორციელება

ჩვენ უკვე ვიყენებდით მრავალ სტრატეგიას, მათ შორის ამბების ტომრებს, ერთობლივ კითხვას, ლექსებს, სიმღერებს, მაგრამ არ ვიყენებდით ზეპირ თხრობას. ჩვენ გამოვიყენეთ „მეტყველების ჩანაწერების“ (Clay et al., 1983) შეფასების შედეგები, გრამატიკული ენის სტრუქტურების მოდელირების დასახვეწად.

მიდგომა, რომელმაც ჩვენ დაგვაინტერესა, გულისხმობდა ბავშვებში ავტორობის წახალისებას, უფროსები კი მწიგნობრის როლში ვიყავით და სპეციალურ რვეულებში, რომლებიც ყველა ჯგუფში ინახებოდა, ვიწერდით მათ ამბებს. ამის განხორციელება ადვილი იყო. ბავშვები ძალიან დაინტერესდნენ ამ რვეულებით, კერძოდ, მათი სიტყვების – მათივე თვალწინ

ჩანაწერებად ქცევა, ძლიერი მოტივატორი აღმოჩნდა. ნებისმიერ, შესაძლო სიტუაციაში ვიწერდით მათ ამბებს და თითოეული სესიის შემდეგ ჩვენ მიერ ამ ამბების წაკითხვა, ბავშვებს დიდ სიამოვნებას გვრიდა.

4. გავლენის შეფასება

სტატისტიკურმა მონაცემებმა, რომლებიც გამოყენებულ ინსტრუმენტებს ეყრდნობოდა, მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები აჩვენა. გარდა ამისა, გახშირდა შემთხვევები, როდესაც ბავშვები, თავისივე ინიციატივით, თავდაჯერებულები სთავაზობდნენ უფროსებს ამბის მოყოლას და ელოდებოდნენ, როდის დაიწყებდნენ ისინი მონათხრობის ჩაწერას. თხრობის პროცესში ბავშვები ჩერდებოდნენ, ამოწმებდნენ ჩანაწერებს და სიამაყით ივსებოდნენ. პროცესში ყველა ბავშვი სიამოვნებით ჩაერთო და ბევრმა, თავადაც დაიწყო ამბების ჩაწერა.

5. სამომავლო გეგმები

პროექტმა მოგვცა პრაქტიკის მდგრადი გაუმჯობესების შესაძლებლობა. შედეგები იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ სამომავლო გეგმებში პროექტის ელემენტების გათვალისწინება უდავოდ გადაწყდა. ჩვენმა გუნდმა გადაწყვიტა, რომ ვერტმფრენის ამბის ტრენინგში მონაწილეობით, კიდევ უფრო გაეღრმავებინა ამბის თხრობის კომპეტენციები და მიმდინარე წელსაც ვაპირებთ „ავტორობის“ მეთოდის გაგრძელებას. გარდა ამისა, „მეტყველების ჩანაწერების“ (Clay et al., 1983) შეფასების ინსტრუმენტი – ჩვენი შეფასების ინსტრუმენტების ნაწილი გახდა.

4 უწყვეტი პროფესიული განათლება

უწყვეტი პროფესიული განვითარება ადრეული წლების მნიშვნელოვანი კომპონენტია, თუმცა ხშირად ვხვდებით ტენდენციას, როდესაც პროფესიულ განვითარებას მხოლოდ ტრენინგების ფორმა აქვს. გარდა ამისა, ყველაზე ხშირად შესაბამისობის ტრენინგები ტარდება. მაგალითად, თუკი სააღმზრდელო დაწესებულებამ უნდა გაიაროს ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესი ან შემოწმება, ტრენინგი ტარდება შესაბამისი მიმართულებებით: საკანონმდებლო აქტების, სტანდარტებისა და რეგულაციების შესასწავლად. ზოგიერთი მონიტორი ბაღის პერსონალისგან ითხოვს უსაფრთხოების, პირველადი სამედიცინო დახმარებისა და საკვების ჰიგიენის საკითხების ცოდნას. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი საკითხებია, თუმცა ბალანსი შესანარჩუნებელია, ამგვარ ტრენინგებსა და პროფესიული განვითარების სხვა ფორმებს შორის. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებმა უნდა ჩადონ ინვესტიცია, რათა შეიქმნას პედაგოგიური პრაქტიკის გასაუმჯობესებელი შესაძლებლობები. აღმზრდელების პროფესიული განვითარება, როგორც წესი, პირდაპირ არის დაკავშირებული ბავშვების შედეგების გაუმჯობესებასთან. ადრეული განათლების სექტორში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს კვალიფიციური პერსონალის აყვანა და შენარჩუნება. პრაქტიკის კვლევა პროფესიული განვითარების კარგი შესაძლებლობაა, რადგან მასში დაბალანსებულია ბავშვების საჭიროებები და პრაქტიკოსების სწავლა-განვითარება. გარდა

ამისა, კვლევის პროექტის განხორციელებას მცირე ბიუჯეტიც ჰყოფნის და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, არ ახლავს გარე წნეხი. არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, პრაქტიკოსები ხშირად ორიენტირდებიან ბავშვების შედეგებზე და ყურადღების მიღმა რჩებათ, თუ როგორ გავლენას ახდენენ სწორედ ამ შედეგებზე და პრაქტიკის ხარისხზე მოტივირებული, ჩართული და დაფასებული აღმზრდელები. შემდეგი პროექტი გვიჩვენებს, თუ როგორ დაიწყეს პრაქტიკოსებმა ბავშვებისთვის პროექტის მზადება, შეარჩიეს პედაგოგიური მიდგომა – „მოდი, კარგად დავფიქრდეთ“ და დაგეგმარების პროცესში აღმოაჩინეს, რომ პროექტის განხორციელებამდე, დაწესებულების პროფესიული განვითარების მიდგომის გადააზრება სჭირდებოდათ.

პროექტის შეჯამება

აღნიშნული პროექტი წარმოადგენს პრაქტიკოსების თანამშრომლობის პროცესში, რეფლექსიისა და იდეების დახვეწისას, ფოკუსის შეცვლის კარგ მაგალითს. დაწესებულების თავდაპირველი მიზანი უფროსებსა და ბავშვებს შორის ურთიერთობების განვითარება იყო, რამაც პერსონალის გადამზადების საჭიროება გამოავლინა. ამ საკითხებზე მსჯელობამ კი – უფრო მასშტაბური, ზოგადად პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. დაწესებულების ხელმძღვანელობამ, პრაქტიკოსებმა გაიაზრეს, რომ პროფესიული განვითარების არსებული შესაძლებლობები ყოველთვის არ ითვალისწინებდა პერსონალის ინდივიდუალურ საჭიროებებს. დისკუსიებით, რეფლექსიითა და კითხვარებით გამოვლინდა, რომ მათ დაწესებულებას სჭირდებოდა კონკრეტული, უწყვეტი პროფესიული განვითარების პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფდა პროცესების დახვეწას, ერთმანეთთან ჰარმონიზებას და პერსონალს მისცემდა შესაძლებლობას, რომ ნათელი წარმოდგენა შექმნოდათ პროფესიულ განვითარებაზე. პრაქტიკის კვლევის პროცესში გამოვლინდა პრაქტიკის ისეთი ასპექტები, რასაც მანამდე ყურადღება არ ეთმობოდა და არ განიხილებოდა. ამან, ასევე, საშუალება მისცა დაწესებულების ხელმძღვანელობას, გადაეაზრებინა პრაქტიკის გარკვეული კომპონენტების მართვის საკითხები.

1. ფოკუსის იდენტიფიცირება

პროექტი დაიწყო ადრეული აღზრდის დაწესებულების ხელმძღვანელობისა და პრაქტიკოსების გუნდის მიერ. პრაქტიკის სხვადასხვა ასპექტის განხილვის შედეგად, გუნდმა გადაწყვიტა, რომ კვლევა ჩაეტარებინა ინტერაქციისა და ერთად განსჯის მიმართულებით. პროექტის განსახორციელებლად, პერსონალის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების გამოკვლევის პროცესში, გუნდმა გააფართოვა ფოკუსი და დაიწყო პროფესიული განვითარების არსებული პრაქტიკის შესწავლა, რასაც მოჰყვა პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენისა და პერსონალისთვის შეთავაზების გადააზრება.

2. ინფორმაციის შეჯერება

გუნდმა გადაწყვიტა კითხვარების გამოყენება პრაქტიკოსებისთან, რათა დეტალურად გამოეკვლიათ მათი მოსაზრებები პროფესიულ განვითარებაზე. კითხვარებმა გამოავლინა, თუ როგორ ესმოდათ პრაქტიკოსებს პროფესიული განვითარება, რამდენად ღირებულად მიაჩნდათ პროფესიული განვითარების შეთავაზებული შესაძლებლობები და რას ფიქრობდნენ პროფესიული განვითარების მოთხოვნებზე. შედეგად, გუნდმა დაინახა პერსონალის პერსპექტივების ნათელი სურათი და ასევე, გამოავლინა არსებული შეზღუდვები. პროექტის გუნდისა და მთლიანი პერსონალის ჩართულობით გამართული განხილვებისა და ინფორმაციის შეჯერების შედეგად, სააღმზრდელო დაწესებულებაში უწყვეტი პროფესიული განვითარების პოლიტიკის შექმნა და დანერგვა გადაწყდა.

3. ცვლილების დაგეგმვა და განხორციელება

გუნდის მიერ დაიგეგმა სტრუქტურირებული პოლიტიკის შექმნა, რაც მოიაზრებდა შესაბამისი დოკუმენტის შემუშავებას, პროცესებისა და პროცედურების გაწერას, პერსონალის პროფესიული საჭიროებების დასადგენად, პროფესიული განვითარების შესაძლებლობების გამოსავლენად და დასაორგანიზებლად. აღნიშნული გეგმის იმპლემენტაცია თავის თავზე უნდა აეღო პროექტის გუნდს, დაწესებულების მთლიან გუნდთან კონსულტაციით.

4. გავლენის შეფასება

ახალი პოლიტიკის დანერგვის შემდეგ, პროექტის გუნდმა კიდევ ერთხელ გამოიყენა კითხვარი, რათა გამოვლენილიყო და შეფასებულიყო ცვლილებები პერსონალის პერსპექტივებში. გარდა ამისა, გაიზარდა პერსონალის მხრიდან პროფესიული განვითარების შესაძლებლობებში მონაწილეობის სურვილი და საკუთარი პროფესიული განვითარების საჭიროებების გამორკვევის ენთუზიაზმი. ასევე, პერსონალმა აქტიურად დაიწყო პროფესიული განვითარების შესაძლებლობების მოძიება და დაინერგა დისკუსიებისა და მიღებული ცოდნის კოლეგებისთვის გაზიარების პრაქტიკა.

5. სამომავლო გეგმები

ადმინისტრაციამ პრაქტიკის კვლევა და შედეგები დაწესებულების მეპატრონეებთან წარადგინა. გუნდმა გაუზიარა კვლევა იმავე რეგიონის სხვა პრაქტიკოსებს და მოიძია პროფესიული განვითარების შესაძლებლობები პერსონალისთვის. პროექტის გუნდმა, ასევე, გაიაზრა პროფესიული განვითარების პოლიტიკაზე ფოკუსის შენარჩუნების მნიშვნელობა, რათა უზრუნველყოფილიყო მისი შესაბამისობა დაწესებულების რეალურ მდგომარეობასთან, პროცედურებთან და პერსონალის საჭიროებებთან.

5 პიროვნული, სოციალური და ემოციური განვითარება კვების დროს

კვების დროს, ზოგიერთ დაწესებულებაში, ბავშვების რუტინა, გარემო და ზოგადი დინამიკა იცვლება, თუ სხვა დროს მათთან აღმზრდელები არიან და სადილის დროს – აღმზრდელებს კვებაზე პასუხისმგებელი პირები ანაცვლებენ. ეს გამოცდილება, შესაძლოა, ადაპტაციის გარკვეულ სირთულეებს იწვევდეს და ბავშვებისთვის მეტისმეტი იყოს.

ოვქსის ადრეული დაწყებითი სკოლის[5] გუნდმა საკვლევ თემად შეარჩია – სადილის დროს ბავშვების კეთილდღეობის გაუმჯობესება. მათ აინტერესებდათ, რამდენად ეფექტურად ინერგებოდა არსებული მიდგომა. ინტერესი საკვების მიღების პერიოდისადმი, თუ რამდენად სწორადაა დრო ორგანიზებული, შესაბამისობაშია თანამედროვე კვლევებთან და ბავშვების მენტალური ჯანმრთელობის, კეთილდღეობის, პიროვნული, სოციალური და ემოციური განვითარების საკითხებთან (World Health Organisation, 2003).

პროექტი იმითაც საინტერესოა, რომ ადრეული წლებით დაიწყო და მთელ სკოლაზე გავრცელდა. სხვა პროექტებისგან განსხვავებით, კონკრეტულ პროექტში პერსონალის ფართო სპექტრი იყო წარმოდგენილი. როგორც წესი, უფროსი აღმზრდელები პროექტს საკუთარ

5 ტექსტში გამოყენებულია infant school, რაც დიდ ბრიტანეთში 4 დან 8 წლამდე ბავშვების სკოლაა.

ჯგუფში ახორციელებენ. პროექტის კვლევის პროცესში, დიდ ჯგუფში მუშაობას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. ცალკეული ინდივიდისთვის უფრო ადვილია ისეთი ფოკუსის იდენტიფიცირება, რაც მისი უშუალო კონტექსტისთვისაა საინტერესო როგორც პირადი, ისე პროფესიული თვალსაზრისით. ბევრი პრაქტიკოსის მონაწილეობა მოითხოვს ისეთი ფოკუსის იდენტიფიცირებას, რაც თანაბრად საინტერესო იქნება ყველასთვის და პროექტის მიმდინარეობისას, მათ სრულ ჩართულობას განაპირობებს. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, სწორად დაიგეგმოს საკვლევი საკითხის იდენტიფიცირების პროცესი, რათა ყველამ იგრძნოს თავი ჩართულად და დაფასებულად.

აღნიშნულ პროექტში ლიდერობა დირექტორის მოადგილემ იტვირთა, რაც ძალაუფლებისა და თანასწორობის კუთხით ყურადსაღები საკითხია. პრაქტიკის კვლევის პროექტებში, ჩვეულებრივ, პრაქტიკოსები მათთვის პიროვნულად საინტერესო და პროფესიულად მამოტივირებელ პროექტებზე იღებენ პასუხისმგებლობას. პრაქტიკის კვლევის ერთ-ერთი ცენტრალური მახასიათებელი სწორედ მონაწილეების მიერ კვლევაზე საკუთრების განცდაა, რაც პირდაპირ უკავშირდება მათ მოტივაციას, ინტერესებს და ცვლილებების მოხდენის სურვილს. საბედნიეროდ, ამ შემთხვევაში, პროექტის ფოკუსი პოპულარული არჩევანი იყო და პერსონალი თავს დაინტერესებულად და ჩართულად გრძნობდა. აქედან გამომდინარე, ძალაუფლებასთან და უფროსებისგან მიღებულ მითითებებთან დაკავშირებულ გამოწვევებს ადგილი არ ჰქონია, რაც, ასევე, განპირობებული იყო პოზიტიური ურთიერთობებით.

პროექტის შეჯამება

თავდაპირველად, პროექტი განიხილებოდა როგორც ბავშვების კეთილდღეობის გასაუმჯობესებელი ინიციატივა, რომელიც ფოკუსირდებოდა კვების დროს მიღებულ გამოცდილებებზე. მუშაობა დაიწყეს მცირე ასაკის ბავშვების ჩართვით, ვისთვისაც სადილის პერიოდი, სავარაუდოდ, უფრო სტრესული იყო. თუმცა, დროთა განმავლობაში, პროექტი მთლიან სკოლაზე გავრცელდა, რადგან სადილს ყველა ერთად მიირთმევდა და დაკვირვებები, უკუკავშირი ბავშვების მხრიდან, მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობას აჩვენებდა. პროექტის წარმატებით განხორციელებას, ასევე, ხელს უწყობდა სკოლაში არსებული ქცევის მართვის ჯგუფი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, მასში ჩაერთვებოდა და პროექტის გუნდს კონსულტაციას გაუწევდა.

1. ფოკუსის იდენტიფიცირება

პროექტის ფოკუსი განაპირობა მასწავლებლებისა და მოსწავლეების შუადღის პერიოდში წარმოჩენილმა გამოწვევებმა. კერძოდ, ხშირი იყო კამათი და ბავშვებისთვის ემოციურად დაძაბული სიტუაციები, რაც სადილის პერიოდში სოციალური ინტერაქციისა და კომუნიკაციის სირთულეებიდან გამომდინარეობდა. პროექტის მონაწილეები ჩამოყალიბდნენ, თუ კონკრეტულად რა ცვლილების გამოწვევა უნდოდათ. გუნდი ფოკუსირდა უფროსებზე, კერძოდ, რას გააკეთებდნენ, რას იტყოდნენ და როგორ გააუმჯობესებდნენ ბავშვების გამოცდილებებს. სასურველი ცვლილების იდენტიფიცირებამ და ნათლად ჩამოყალიბებამ, შესაძლებელი გახადა პროექტის წარმატების კრიტერიუმების შემუშავება, და შედეგად, პროექტის შეფასება.

2. ინფორმაციის შეჯერება

სადილის დროს ინტერაქციებზე დაკვირვებამ და მოსწავლეების მოსაზრებებმა, არსებული სიტუაციის და ბავშვების გამოცდილებების პირველადი მაჩვენებელი განსაზღვრა. ბავშვების კეთილდღეობის გასაზომად, გამოიყენეს ლუვენის სკალა. ასევე, იგეგმებოდა შეკრებები, სადაც ბავშვებთან ერთად განიხილავდნენ სადილის პერიოდს, მათ გამოცდილებებს, გამოწვევებს და იდეებს, თუ რისი გაკეთება იყო შესაძლებელი.

3. ცვლილების დაგეგმვა და განხორციელება

სხვადასხვა პოზიციებზე მყოფი სკოლის წარმომადგენლები დაესწრნენ გარე ტრენინგს, სადაც გაეცნენ სადილობის პერიოდისთვის განსაზღვრულ საგულისხმო აქტივობებსა და მიდგომებს. ასევე, პროექტის გუნდმა კონსულტაცია გაიარა ბავშვებთან და პერსონალთან, თუ როგორ შეიძლებოდა სადილის პერიოდის გაუმჯობესება და მათი მოსაზრებები აისახა გეგმაში. ბავშვებმა, იდეების მოსაგროვებლად, ნახატები დახატეს, ადაპტირდა მოზაიკის მიდგომა(Clark,2005). ეს ყველაფერი გაერთიანდა შემდეგი მოწოდების ქვეშ: „გავხადოთ კვების დრო სასიამოვნო“. დაისახა მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები. გეგმის განხორციელების ცენტრალური კომპონენტი იყო კვებაზე პასუხისმგებელი პირების ტრენინგი და როლებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილება. შეიქმნა თვითშეფასების კითხვარი კვებაზე პასუხისმგებელი პირებისთვის. ისინი, ასევე, მონაწილეობას იღებდნენ ხელმძღვანელობის შეხვედრებში. გარდა ამისა, სადილის პერიოდის აქტივობებისთვის, შეიქმნა როტაციის გეგმა.

4. გავლენის შეფასება

პროექტის მოულოდნელი, მაგრამ სასიამოვნო შედეგი, კვებაზე პასუხისმგებელი პირებისა და სხვა თანამშრომლების გაძლიერება აღმოჩნდა. მათი მოსაზრებები გაითვალისწინეს და დააფასეს, რამაც მდგომარეობის გამოსწორების საერთო მოტივაცია შექმნა. პროექტი შეფასდა დასაწყისშივე განსაზღვრული წარმატების კრიტერიუმების მიხედვით. გამოიყენეს ლუვენის სკალა როგორც პროექტის დასაწყისში, ასევე დასასრულს. რეგულარული ანგარიშგება, კითხვარებითა და შეხვედრების გზით, ასევე მნიშვნელოვანი იყო შეფასებისთვის და მომავალი ნაბიჯების განსაზღვრისთვის. ბავშვების გაუმჯობესებული კეთილდღეობა და შემცირებული ქცევითი, სოციალური და ემოციური პრობლემები, შუადღის სესიის დასაწყისში, ნიშნავდა, რომ პროექტს პოზიტიური შედეგები ჰქონდა.

5. სამომავლო გეგმები

ადმინისტრაციის შეხვედრებში კვებაზე პასუხისმგებელი პირების ჩართვა, ახალი მიდგომა იყო, რაც მომავალშიც გასათვალისწინებელია. ამასთან ერთად, ისინი პროფესიული განვითარების შესაძლებლობებშიც უნდა ერთვებოდნენ. პროექტი წარმატებული აღმოჩნდა, თუმცა შემდეგი ნაბიჯი გაუმჯობესებული პრაქტიკის რუტინაში დანერგვას უნდა ეხებოდეს და იმის უზრუნველყოფას, რომ ინტერაქციისა და შედეგების ხარისხი არ დაიკლებს.

6 „მოსაუბრე პარტნიორები“ დაწყებით საფეხურზე

მიუხედავად იმისა, რომ წიგნი ბავშვის ადრეულ ასაკზეა ფოკუსირებული და ინგლისში ეს ეტაპი მოიცავს 0-დან 5 წლამდე ასაკს, ადრეული წლების განათლების საერთაშორისო გაგება, შესაძლოა, უფრო ფართო ასაკობრივ რანჟირებას გულისხმობდეს, მაგალითად დაბადებიდან, ზოგ შემთხვევაში, 8 წლამდეც კი. გვჯერა, რომ სხვადასხვა ასაკობრივი რანჟირების პროექტების გაზიარება მნიშვნელოვანია და შესაბამისად, წარმოგიდგენთ პროექტს, რომელიც განხორციელდა დაწყებით კლასში და დაკავშირებულია ბავშვების საუბრისა და მოსმენის უნარების განვითარებასთან. ასევე, სასარგებლოდ მივიჩნიეთ, რომ გამოქვეყნებული კვლევის წყაროდან კონკრეტული ინტერვენცია ჩაგვერთო. მიუხედავად იმისა, რომ არ ვემხრობით კონკრეტული პროგრამის ან ინტერვენციის პირდაპირ მოტანას რაიმე წყაროდან, ქვემოთ მოცემული პროექტი წარმოგვიდგენს, თუ როგორ შეუწყობს ხელს უკვე არსებული, მომზადებული პროგრამების გამოყენება, პრაქტიკის სხვადასხვა ასპექტების კიდევ უფრო სიღრმისეულ გამოკვლევას.

თავდაპირველად, „მოსაუბრე პარტნიორები“ იმ ბავშვებისთვის შეიქმნა, რომელთათვისაც ინგლისური მეორე ენა იყო. ბრედფორდის ადგილობრივი განათლების ორგანოს მრჩევლებმა და ეთნიკური უმცირესობების მხარდამჭერმა გუნდმა შეიმუშავეს „მოსაუბრე პარტნიორების“ პროგრამის დიზაინი და წარმატებით განახორციელეს მისი იმპლემენტაცია ბრედფორდსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე.

ამის შემდეგ, პროგრამა ცნობილი გახდა და დაინერგა მთელ ინგლისში. როდესაც 2010 წელს, ეროვნული სტრატეგიის დასრულების შედეგად, ადგილობრივი განათლების ორგანოს სისტემა დაიშალა, ინტერვენციას დასახელება შეეცვალა და არსებობა გააგრძელა სახელით „მოსაუბრე პარტნიორები დაწყებით საფეხურზე“. ინტერვენცია წარმოადგენს მოკლევადიან სერვისს, რომელიც ათი კვირის განმავლობაში გრძელდება და ბავშვების მცირე ჯგუფებს მოიცავს. ამავდროულად, მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ასევე მთელ კლასთან. პროგრამა მიზნად ისახავს ბავშვების საუბრისა და მოსმენის უნარების გაუმჯობესებას და იმართება დატრენინგებული ზრდასრულის მიერ. ბავშვების შერჩევა პირველადი შეფასების საფუძველზე ხდება. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ფოკუსირებულია ბავშვებზე, რომელთათვისაც ინგლისური მეორე ენაა, ამავდროულად, ის ორიენტირებულია მხოლოდ იმ ბავშვებზე, რომლებსაც, სულ მცირე, ერთი წელი მაინც აქვთ ინგლისურთან გარკვეული შეხება, და არა იმათზე, რომლებთათვისაც ეს ენა სრულიად უცხოა. ინტერვენციის დანერგვის შესახებ მონაცემები შეჯერებულია პროგრამის ვებ გვერდზე[6] განთავსებულ ანგარიშებში, რაც პრაქტიკოსებს ეხმარება, შეაფასონ მისი ეფექტურობა საკუთარი კონტექსტისა და დაწესებულებისთვის. ასევე, საკუთარი საჭიროებები დაუკავშირონ მტკიცებულებებს.

პროექტის შეჯამება

მოცემულ პრაქტიკის კვლევაში, „მოსაუბრე პარტნიორების“ ინტერვენცია 6 ბავშვთან დაინერგა. მათ საუბრისა და მოსმენის უნარების განვითარებაში დახმარება სჭირდებოდათ. ინტერვენცია, რომელსაც დატრენინგებული სპეციალისტი უძღვებოდა, 10 კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. თავდაპირველად, განხორციელდა პირველადი შეფასება, ხოლო ინტერვენციის დასასრულს, პროგრესის დასადგენად – განმეორებითი

6 https://www.educationworks.org.uk/what-we-do/speaking-and-listening/talkingpartnersprimary

შეფასება. ეს პროექტი მტკიცებულებებით ინფორმირებული პროექტის კარგი მაგალითია, სადაც კვლევებით გამოცდილი და ტესტირებული ინტერვენცია და მონაცემები გაფართოვდა სკოლის ფოკუსით, ბავშვების საჭიროებებითა და კონტექსტის მონაწილეობით. პრაქტიკის კვლევის პროექტის საკვლევ კითხვად შეირჩა: „როგორ გავაუმჯობესოთ ბავშვების საუბრისა და მოსმენის უნარები „მოსაუბრე პარტნიორები დაწყებით საფეხურზე“ ინტერვენციით?“

1. ფოკუსის იდენტიფიცირება

სკოლაში არსებულმა, პროექტამდელი მონაცემების ანალიზმა, წინ წამოსწია იმ ბავშვების საკითხი, რომლებსაც ნაკლებად ჰქონდათ განვითარებული სასუბრო ენის უნარები. აღნიშნული საკითხი სკოლის ფოკუსსა და სამოქმედო გეგმაშიც მოექცა. დაკვირვებები, რომლებიც მოიცავდა ფოტოებს, ვიდეოებს, ბავშვების საუბრებს და სემესტრული მონაცემები აჩვენებდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები უფრო თავდაჯერებულად გამოიყურებოდნენ, ამყარებდნენ თანატოლებთან ინტერაქციას, მეტს საუბრობდნენ გაკვეთილზე და ჰქონდათ შესამჩნევი პროგრესი, მაინც ჩამორჩებოდნენ სტანდარტულ მოლოდინებს. სკოლამ გადაწყვიტა, რომ მათ მეტი დახმარება სჭირდებოდათ, ვიდრე ის, რასაც მოსწავლეებს საუბრისა და მოსმენის ჯგუფებში აწვდიდნენ. შესაბამისად, მათ შეარჩიეს ინტერვენცია – „მოსაუბრე პარტნიორები“ და ჩამოაყალიბეს საკვლევი კითხვა პროექტისთვის: „როგორ გავაუმჯობესოთ ბავშვების საუბრისა და მოსმენის უნარები „მოსაუბრე პარტნიორები დაწყებით საფეხურზე“ ინტერვენციით?“

2. ინფორმაციის შეჯერება

პირველადი შეფასებით, ბავშვების 35%-მა საუბარსა და მოსმენაში მოსალოდნელზე დაბალი შედეგები აჩვენა. ყველა მათგანისთვის ინგლისური მეორე, დამატებითი ენა იყო და ასევე, ყველა იყო ზაფხულში დაბადებული. დაბალი შედეგების მქონე ბავშვებიდან, სამს არ ჰქონდა სკოლამდელი განათლების მიღების გამოცდილება.

3. ცვლილების დაგეგმვა და განხორციელება

სკოლამ „მოსაუბრე პარტნიორები“, როგორც ფორმალური ინტერვენცია, 10 კვირიანი პროგრამის სახით დანერგა. კვირის განმავლობაში, სამი-სამი ბავშვისგან შემდგარ მცირე ჯგუფებს ხუთი 20 წუთიანი სესია უტარ-დებოდათ. სესიები შედგებოდა მოსამზადებელი და ძირითადი აქტივობე-ბით. სკოლამ გადაწყვიტა, რომ დაბალი შედეგების მქონე 2 მოსწავლე პროგრამაში არ ჩაერთო, რადგან მათთვის ინგლისური სრულიად ახალი, უცხო ენა იყო და ლექსიკური მარაგის არქონის გამო, მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. პროგრამაში ჩასართავად შეირჩა 6 ბავშვი, რომლებიც 2 ჯგუფად გაანაწილეს. 6 ბავშვიდან ხუთს, საუბარსა და მოსმენაში, მოსა-ლოდნელ შედეგებზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა, ხოლო ერთს – არ ჰქონდა დაბალი მაჩვენებელი, თუმცა აკლდა თავდაჯერებულობა და ამი-ტომ, ხშირად, მთლიანი წინადადებებით არ საუბრობდა.

4. გავლენის შეფასება

ინტერვენციის დაწყებიდან 4 კვირაში, ბავშვების პროგრესი უკვე თვალ-საჩინო იყო როგორც საუბარში, ისე მოსმენაში. პროექტის შედეგები: თავდაჯერებით საუბარი როგორც მცირე ჯგუფებში, ასევე მთელი კლასის წინაშე; წინადადების სტრუქტურის ცვლილებები; ბავშვების მიერ გრამა-ტიკული წესების გამოყენება; ასევე, ყოველდღიურ სასაუბრო უნარების განვითარების სწავლის შედეგებზე ასახვა; ინგლისურად თავდაჯერებით საუბარი, სკოლის ყველა კონტექსტში.

5. სამომავლო გეგმები

სკოლამ გადაწყვიტა, სამომავლოდ განახორციელოს შემდეგი სახის აქ-ტივობები: ინტერვენციის დანერგვა განათლების სხვა ეტაპებზე; დამატე-ბითი კადრების გადამზადება „მოსაუბრე პარტნიორების“ ინტერვენციის ჩასატარებლად; ბავშვების შეფასება შემდეგი ინსტრუმენტების გამოყენე-ბით: Language Link და Renfrew Action Picture ტესტი.

7 მშობლების ჩართულობა

ბავშვის განათლებაში მშობელთა ჩართულობა, კვლევებისა და საღი აზრის გათვალისწინებით, მიღწეული წარმატების კრიტიკულად მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილება. გრძელვადიან კვლევით პროექტში – „ეფექტური პრაქტიკა სკოლამდელ განათლებაში“ (EPPE), რომელიც შემდეგ გაფართოვდა და დაწყებითი, საბაზო განათლების საფეხურები (EPPSE) მოიცვა, 17 წლის განმავლობაში დაახლოებით 3,000 ბავშვი და მათი ადრეული საგანმანათლებლო გამოცდილებები შეისწავლეს. კვლევამ გამოავლინა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვების პროგრესზე. აღმოჩნდა, რომ მშობლების განათლებას, ჩართულობას და კომუნიკაციას მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს წარმატებაზე (Siraj-Blatchford et al., 2003).

არსებობს უამრავი კვლევა მშობლების ჩართულობის მნიშვნელოვნების შესახებ ბავშვების შედეგებზე (Fan & Williams, 2010). ასევე, არსებობს ლიტერატურა, სადაც ასახულია ის გამოწვევები, რომლებიც თან ახლავს „ძნელად მისაწვდომ“ მშობლებს და რომლებთანაც პრაქტიკოსებს, სხვადასხვა მიზეზის გამო, პრობლემური ურთიერთობები აქვთ(Goodall & Montgomery, 2014). შესაბამისად, მნიშვნელოვანია მშობლების ჩართულობაზე მუშაობა და პოზიტიური ურთიერთობების დამყარების მიზნით, ინიციატივების განხორციელება.

სამოქმედო კვლევის კონკრეტული პროექტი ადრეული წლების ფუნდამენტური ეტაპის (EYFS) მასწავლებლებმა განახორციელეს.

What do you see?
good listening
good looking
Collate information
Identify a focus
By
Bernadette Alexiou,
Sulina Khalsa,
Elizabet Espinosa &
Joyce Lily
Nursery Challenge Card
When you read me stories
I know well, stop at different
parts and let me tell you the
missing words.
Let's go to the park and play
with other children.
Evaluate impact
Consider the future
Collate information
under

სერვისი ხორციელდებოდა სკოლის ბაზაზე და გულისხმობდა 2-წლიან პრაქტიკას. პროექტი მასწავლებლებს შორის დისკუსიით დაიწყო, თუ როგორ დაეკავშირებინათ ბავშვების პროფილების მონაცემები ბავშვების წიგნიერებასთან და ამას გარდა, იმსჯელეს მშობელთა განსხვავებულ აღქმაზე, სკოლისთვის საჭირო უნარების შესახებ. შინ ვიზიტების შედეგად, მასწავლებლები სულ უფრო მეტად რწმუნდებოდნენ, რომ მშობლები, რომლებსაც სურდათ შვილს დახმარებოდნენ და სკოლაში შესასვლელად მოემზადებინათ, პრიორიტეტად კითხვასა და წერასთან დაკავშირებულ ასპექტებს მიიჩნევდნენ, რაც დიდად არ ემთხვეოდა ჰოლისტურ განვითარებას, რომლის ადვოკატირებასაც მათი დაწესებულება ეწეოდა. მასწავლებლებმა ჯგუფურ შეხვედრაზე ერთმანეთს მოსაზრებები გაუზიარეს და გადაწყვიტეს, რომ კვლევის ფოკუსი იმ გზების აღმოჩენა ყოფილიყო, რომელთა მეშვეობითაც მშობლებს შორის განვითარების ძირითადი სფეროების პოპულარიზებას მოახერხებდნენ, გააცნობდნენ მათ ასაკობრივი განვითარების იმ ეტაპებს, რომლებიც ბავშვის წიგნიერების განვითარებაზე ახდენს გავლენას.

პროექტის შეჯამება

ეს პროექტი საკმაოდ კომპლექსური იყო, რადგან მასში კომბინირებული იყო მუშაობა მშობლებთან, ბავშვებთან და კოლეგებთან იმ მესიჯების გადასახედად, რომლებსაც სააღმზრდელო დაწესებულება ადრეული წლების ეტაპზე სწავლის შესახებ ავრცელებდა. მასწავლებელთა შორის დისკუსიის შედეგად, გუნდმა შეიმუშავა შემდეგი საკვლევი კითხვა – „როგორ დავეხმაროთ მშობლებს, უკეთ გაიაზრონ ის მნიშვნელოვანი ეტაპები, რომლებსაც ბავშვებმა – წიგნიერებაში წარმატების მისაღწევად – უნდა მიაღწიონ?“ საკვლევი კითხვის შემუშავებისა და გამოკვლევის პროცესი მუდმივ რეფლექსიას საჭიროებდა და ასევე თანამშრომლობას, სკოლის ბაზაზე დაფუძნებული სწავლებისა და ბავშვის განვითარების შესახებ სხვადასხვაგვარი მოლოდინების განსახილველად.

1. ფოკუსის იდენტიფიცირება

პროექტის საწყის ეტაპზე მასწავლებლები ფიქრობდნენ, ფოკუსი წიგნიერებაზე გაეკეთებინათ და უფრო სიღრმისეულად გამოეკვლიათ, წიგნიერების რა ასპექტებზე გაეკეთებინათ ფოკუსი, რომ მონაცემების შედეგები გაუმჯობესებულიყო. დისკუსიებმა მათ შესაძლებლობა მისცა, გაეზიარებინათ ერთმანეთისთვის შინ ვიზიტებით მიღებული გამოცდილება და დაფიქრებულიყვნენ, რა მოლოდინები ჰქონდათ მშობლებს ბავშვების წიგნიერების განვითარებასა და სასკოლო პრიორიტეტებთან დაკავშირებით.

2. ინფორმაციის შეჯერება

საწყისი დისკუსიების შედეგად, მასწავლებლები დარწმუნდნენ, რომ საჭირო იყო მშობლების მოლოდინების კიდევ უფრო სიღრმისეული შესწავლა. ამ მიზნით, დააორგანიზეს დილის ყავის შეხვედრები, სადაც მშობლებს ესაუბრებოდნენ მათ ამჟამინდელ ხედვებზე, ადრეული სწავლის წერა-კითხვის მიზნებსა და ბავშვების პროგრესის მნიშვნელოვან ასპექტებზე. მასწავლებლებმა შეიმუშავეს მოკლე კითხვარი, რათა მშობლების ხედვები უფრო დეტალურად გამოეკვლიათ და შეეგროვებინათ კონკრეტული იდეები, თუ რა აქტივობებით განეხორციელებინა სკოლას მშობლების მხარდაჭერა. დილის ყავის შეხვედრა მოიცავდა არაფორმალურ საუბრებს, სადაც განიხილებოდა სკოლის როლი მშობლების მხარდაჭერაში და მშობლების მხარდამჭერი როლი – ბავშვის განვითარების ყველა სფეროში.

3. ცვლილების დაგეგმვა და განხორციელება

ბავშვის განვითარებაში სწავლის ძირითადი სფეროების პრიორიტეტულობის გამოსაკვეთად, მასწავლებლებმა განიხილეს სხვადასხვა მიდგომები. იმისთვის, რომ საშინაო აქტივობების განვითარება სკოლაში არსებულ, უფრო ფართო ინიციატივასთან შეჯერებით მომხდარიყო, მასწავლებლებმა საშინაო დავალებების უფრო მეტად აქტიურობაზე დაფუძნებული ფორმებით ადაპტირება გადაწყვიტეს. მასწავლებლებმა შინ სწავლისთვის „გამოწვევის ბარათები“ შეიმუშავეს. ბარათები მოიცავდა მარტივ ამოცანებს, როგორიცაა საუბრები, ფიზიკური აქტივობები და თამაშები

ბავშვებისა და მშობლებისთვის, რომლებიც ერთად უნდა განეხორციელებინათ და ყოველ კვირას იცვლებოდა. მასწავლებლებმა ასევე შექმნეს საინფორმაციო ფურცელი, რომელშიც ასახეს ინფორმაცია „გამოწვევის ბარათების“ შესახებ და აქტივობების ღირებულება – ბავშვების განვითარების ხელშეწყობისთვის.

4. გავლენის შეფასება

გამოწვევის ბარათების გაცნობის მოკლევადიანი შედეგი ის იყო, რომ მშობლებსა და პრაქტიკოსებს – ბავშვების საშინაო სასწავლო აქტივობებში ჩართულობის შესახებ – უფრო სიღრმისეული დისკუსია ჰქონდათ. თუმცა, მასწავლებლებმა აღიარეს, რომ ბარათების შემოღების დრომ – ივნისმა – შეზღუდა მისი ზეგავლენის შეფასება. ამიტომ, მათ გრძელვადიან მიზნად დაისახეს, რომ მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში ბარათებს შემოიღებდნენ და მშობლებს დაწესებულებაში მოსვლისთანავე გააცნობდნენ. მასწავლებლებმა, ასევე, იფიქრეს პროექტის პროცესის გავლენის შესახებ როგორც ინდივიდუალურ, ასევე მთლიანი გუნდის პრაქტიკაზე. მათ აღნიშნეს, რომ დისკუსიების დროს შესაძლებლობა ჰქონდათ, დაესვათ კითხვები საკუთარი, ერთმანეთის და ზოგადი პრაქტიკის შესახებ, რომლებიც სკოლის ადრეული წლების ფუნდამენტური ეტაპის სერვისში ხორციელდებოდა.

5. სამომავლო გეგმები

მასწავლებლებმა განიხილეს „გამოწვევის ბარათების“ დანერგვის დრო და მომდევნო წლისთვის პროცესის შემდეგი განვითარება დაგეგმეს. ასევე, დაფიქრდნენ უფრო ფართო გზავნილებზე სკოლის პრიორიტეტების შესახებ, რომლებსაც ზოგიერთი აქტივობის საშუალებით უგზავნიდნენ მშობლებს. ამიტომ, მომავლისთვის დაგეგმეს, რომ ხელახლა დაბრუნებოდნენ საშინაო დავალებებისადმი მათ მიდგომას და მეტი ყურადღება დაეთმოთ სწავლის ძირითადი სფეროების მნიშვნელობისთვის.

8 ადრეული წერა

ჩვენ, ზრდასრულებს თავისთავად გვაქვს წერის უნარი და აღარ გვახსოვს ის კომპლექსური პროცესი, რაც წერის ათვისებას სჭირდება. გარდა ამისა, სწრაფმა ტექნოლოგიურმა განვითარებამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა საერთოდ წერა საჭირო უნარი. თუმცა, წერა რჩება და ითვლება სწავლის პროცესისა და საგანმანათლებლო კურიკულუმების საფუძვლად. მისი კომპლექსურობა ქმნის უნარების, ცოდნისა და წარმოდგენების მრავალ დონეს, რაც საჭიროა იმისთვის, რომ ბავშვებმა წარმატებით შეძლონ სწავლა. წერა – ერთი შეხედვით თითქოს მარტივი ამოცანა, პირველ რიგში მოითხოვს იდეის, სათქმელის ქონას, შემდეგ კი შესაბამისი ლექსიკის და გრამატიკული წესების ცოდნას, რომელიც უზრუნველყოფს წინადადების – კონტექსტის, აუდიტორიისა და მიზნის შესაბამისად – გრამატიკულად სწორად ჩამოყალიბებას. წერილობითი კოდის გაგება – ინგლისურ ენაში – საჭიროებს პუნქტუაციის, საანბანო პრინციპებისა და ნაბეჭდი/წერილობითი ტექსტის კონცეფციის დაცვასა და გამოყენებას. წერილობითი ტექსტის კონცეფცია გულისხმობს სივრცით ცნობიერებას, მაგალითად წერის საზღვრების დაცვა ფურცელზე, მარცხნიდან მარჯვნივ და ზევიდან ქვევით მიმართულებების დაცვას. ამ ყველაფერს მოჰყვება წერის ფიზიკური აქტი, რომელიც გულისხმობს კალმის ხელში სწორი ჩაჭიდებით დაჭერას, ხელისა და თვალის კოორდინაციას, შესაბამისი ფიზიკური ძალისხმევის დატანებას. თუ ძლიერად დავაჭერთ – ფურცე-

ლი გაფუჭდება, ხოლო თუ ძალიან მსუბუქად – ნიშნები მკაფიოდ არ გამოისახება. წერისას, კუნთების დაძაბვის თავიდან ასაცილებლად, ასევე მნიშვნელოვანია ხელის პოზა; ავეჯის და აღჭურვილობის სიმაღლე, განლაგება, გავლენას ახდენს წერის უნარზე. მეხსიერებას ასევე დიდი როლი აკისრია – საჭიროა შინაარსის, სიტყვების სწორი თანმიმდვრობით შენახვა და გზადაგზა, მისი სისწორის შემოწმება, დაწერილის გადაკითხვა. ზემოთ მოცემული საკმაოდ ვრცელი აღწერა, მცირე წარმოდგენას გვიქმნის წერის სწავლისთვის საჭირო კოგნიტურ და ფიზიკურ პროცესებზე, რომლებიც თითოეულ ბავშვს წერითი აქტივობების განსახორციელებლად მოეთხოვება. ეს აღწერა გვეხმარება გავიგოთ, რატომ ურთულდებათ ბავშვებს წერა და რატომ ცდილობს ბევრი პრაქტიკოსი ამ სფეროს განვითარების განსაკუთრებულ მხარდაჭერას.

ამ წიგნის შექმნისას, გვქონდა პრაქტიკოსების გაზიარებული რამდენიმე პროექტი, რომლებიც ფოკუსირებული იყო ადრეული წერის სხვადასხვა ასპექტზე. გარკვეული დებატების შემდეგ, შევარჩიეთ ქვემოთ მოცემული პროექტი, თუმცა იმიტომ არა, რომ სხვები ნაკლებად წარმატებული იყო, არამედ იმიტომ, რომ ეს პროექტი ხაზს უსვამს პრაქტიკის კვლევის ციკლურ ბუნებას. ხანდახან, პრაქტიკოსებმა შესაძლოა იფიქრონ, რომ კვლევის პროცესი წრფივია – დაწყებული ფოკუსის იდენტიფიცირებიდან კვლევის დასრულებამდე, პროექტი ყველა ეტაპზე სწორხაზოვნად პროგრესირებს. რეალობა, რომლის გააზრებაც გვინდა, გულისხმობს მუდმივ რეფლექსიასა და პრაქტიკის კვლევის ციკლის შეფასებას იმის განსასაზღვრად, ხომ არ არის საჭირო მიმართულების ცვლილება, ახალი ციკლის დაწყება. ქვემოთ მოცემული პროექტი სწორედ მიმართულების ცვლილების გამოცდილებას ასახავს.

პროექტის შეჯამება

პროექტი განხორციელდა ადრეული განათლების დაწესებულებაში, ინგლისური ენისა და ადრეული განათლების პროფესიონალებს შორის თანამშრომლობით. პროექტი დაიწყო პრაქტიკოსების საერთო ინტერესით, რომელიც უკავშირდებოდა ადრეულ ასაკში წერასა და ბავშვების წინსვლის მხარდაჭერას. პრაქტიკოსები იცნობდნენ ბავშვების ტრანზიციის გამოცდილებებს, ჯერ ბაღის ერთი საფეხურიდან მეორეზე, შემდეგ კი – სკოლისთვის მოსამზადებელ ჯგუფში და ასევე, როგორ იცვლებოდა მოლოდინები და პედაგოგიური მიდგომები წერასთან დაკავშირებით. პროექტი დაიწყო შეკითხვის დასმით – „თუ როგორ განვავითაროთ ბავშვების მეტყველება – როგორც ადრეული წერის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი – ამბის თხრობის საშუალებით.“ თუმცა, პრაქტიკოსების თანამშრომლობითი მიდგომის შედეგად, პროექტი სწრაფად განვითარდა და საკვლევი კითხვაც, ცვლილების შესაბამისად, ადრეული წერისთვის საჭირო ფიზიკური პროცესების შესახებ ჩამოყალიბდა.

1. ფოკუსის იდენტიფიცირება

პროექტი დაიწყო მეტყველებასა და ამბის თხრობაზე ფოკუსირებით. პრაქტიკოსებმა ვერტმფრენის მოთხრობის ტრენინგი გაიარეს, რომელმაც შესანიშნავად ჩაიარა, თუმცა როდესაც ჩაღრმავება დაიწყეს, მიხვდნენ, რომ ბავშვებისთვის მთავარი პრობლემა ფიზიკური ბარიერები იყო და არა მეტყველება. ბავშვები წერას თავს არიდებდნენ ფიზიკური ბარიერების გამო და არა იმიტომ, რომ მოტივაცია აკლდათ, ან არაფერი ჰქონდათ სათქმელი. დაკვირვების შედეგად, პრაქტიკოსების ფოკუსში მოექცა მსხვილი და ნატიფი მოტორიკა, ხელით წერის პროცესი. შესაბამისად, საკვლევი ფოკუსი შემდეგ კითხვებზე გადავიდა: „როგორ ვითარდება ხელით წერა ბავშვებთან“, „როგორ მოვახდინოთ პოზიტიური გავლენა წერის პროცესზე?“

2. ინფორმაციის შეჯერება

პრაქტიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ ამ კონკრეტულ სიტუაციაში, მეტყველებაზე მუშაობის საჭიროება არ იყო. მათი გამოკვლევის შედეგად, უფრო მნიშვნელოვანი იყო ფიზიკური წერის უნარები, მაგრამ პრაქტიკოსებმა გადაწყვიტეს, არ ეჩქარათ, დაკვირვებოდნენ და დარწმუნებულიყვნენ ბავშვების ფორმალური წერისადმი მზაობაში, რათა ძალა არ დაეტანებინათ.

3. ცვლილების დაგეგმვა და განხორციელება

კვლევის პროექტში ჩართულმა პირებმა ერთობლივად შეიმუშავეს გეგმა, რომელიც ეყრდნობოდა წაკითხულ ლიტერატურას და კვლევებს, დაწესებულების ჯგუფებში განხორციელებულ გამოკვლევას. კვლევამ მიაწოდა მათ ფორმალური წერის შეფასების ინსტრუმენტი – თუ ბავშვს შეეძლო x-ის დახატვა, ეს მზაობას ნიშნავდა. პრაქტიკოსებმა ბავშვები შეაფასეს და ყოველდღიურად აძლევდნენ მათ ხელით წერის აქტივობების მაგალითს და შესაძლებლობას. წერის აქტივობები – ბავშვების საჭიროების მიხედვით – ინდივიდუალურად იყო დიფერენცირებული. ასევე, ბავშვები დაკავებულები იყვნენ ნატიფი მოტორული აქტივობებით. ყველა ოთახში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ფორმატის ანბანის ასოები.

4. გავლენის შეფასება

ბავშვებმა უკეთ ისწავლეს ასოების გამოსახვა. აქტივობებმა და შეფასებამ პრაქტიკოსებს შესაძლებლობა მისცა, მარტივად მიმხდარიყვნენ, რა დროს დახმარებოდნენ კონკრეტულ ბავშვს, ან პირიქით, გაერთულებინათ ამოცანა. ბავშვები უფრო მეტად თავდაჯერებულები და მოტივირებულები გახდნენ, ამაყობდნენ თავიანთი ნაწერით და სურდათ, ნამუშევარი უფროსებისთვის ეჩვენებინათ. დაკვირვებამ და ბავშვების ნამუშევრების შედარებამ, უფრო დიდი პროგრესი აჩვენა, ვიდრე იმ კონკრეტული პერიოდისთვის ელოდებოდნენ. პრაქტიკოსებმა გამოიყენეს ფუნდამენტური ეტაპის პროფილის მონაცემები და ტრანზიციის დოკუმენტები გავლენის / შედეგის დამადასტურებელი მტკიცებულებებისთვის.

5. სამომავლო გეგმები

წერის მზაობის შესაფასებლად მარტივი ინსტრუქციის – „დახატე x“-ის გამოყენებამ, დიდი ცვლილება გამოიწვია და შემდეგ, მთლიანად დაინერგა ადრეული ასაკის ეტაპზე (EYFS). სამომავლოდ, პროექტის მონაწილეებმა ამ მიდგომის თანმიმდევრულად განხორციელება დაგეგმეს, არა როგორც პროექტის, არამედ როგორც მათი საქმიანობის, რუტინის ნაწილი.

9 კითხვის სიყვარულის წახალისება

საგანმანათლებლო შედეგების მიხედვით ქვეყნების საერთაშორისო შედარება – წიგნიერების საერთაშორისო კვლევა (PIRLS) – აჩვენებს, რომ ინგლისი, საერთაშორისო რანჟირების მიხედვით, ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა, მაგრამ მიუხედავად ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ინიციატივებისა, გარკვეული მიმართულებებით, შედეგები მიღწევის დაბალ დონესაც აჩვენებს (Beard, 2000). კითხვის სირთულე არ არის დაკავშირებული მხოლოდ დეკოდირებასა და წაკითხულის გაგებასთან, არამედ ის გულისხმობს კითხვით სიამოვნების მიღებასაც.

ოფსტედის[7] (Ofsted) კვლევის ანგარიში – „კითხვა სიამოვნებისთვის“ (2012) – ხაზს უსვამს კითხვის სიყვარულთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს და მოგვიწოდებს მოქმედებისკენ. მას შემდეგ, დისკუსიამ იმის შესახებ, თუ როგორ ვასწავლოთ კითხვა, ფოკუსი შეიცვალა. „კითხვის ომის“ მიდგომიდან, რომელიც ძირითად აქცენტს აკეთებდა ფონემებზე, დეკოდირებასა და წაკითხულის გაგებაზე (Smith, 2018), ფოკუსი შეიცვალა წიგნის კითხვითა და ყველა ტიპის საკითხავი მასალის გამოყენებით სიამოვნების მიღებაზე. ფოკუსის აღნიშნული ცვლილება ეხმიანება მრავალი პრაქტიკოსის მუშაობას, რომლებსაც

7 განათლების სტანდარტების ოფისი – ინგლისში, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სახელმწიფო უწყების დეპარტამენტი.

თავად უყვართ კითხვა და ეხმარებიან ბავშვებს, გახდნენ წარმატებული და მოტივირებული მკითხველები.

ქვემოთ მოცემული პროექტი წარმოადგენს საბავშვო ბაღში[8] ჩატარებულ სამუშაოს, სადაც, ბავშვებში კითხვის სიყვარულის მხარდასაჭერად, მშობლების, ბავშვებისა და პრაქტიკოსების კითხვასთან დაკავშირებულ მრავალფეროვან აქტივობებში ჩართულობა დაინერგა. საინტერესოა, რომ პროექტი გვთავაზობს მრავალგვარ გარე შესაძლებლობებს და არსებული რესურსებით უფრო ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელებას.

პროექტის შეჯამება

პროექტი წარმოადგენს საბავშვო ბაღის ინიციატივის შედეგად განვითარებულ მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც ბავშვებსა და მათ ოჯახებში ჰოლისტური მიდგომის განვითარებით, კითხვის სიყვარულის წახალისებას გულისხმობს. პროექტის შედეგად, საქველმოქმედო ორგანიზაციების დახმარებით, შესაძლებელი გახდა დაფინანსების მოპოვება. სწორედ ეს გამოცდილება უნდა გაიზიარონ სხვა დაწესებულებებმაც, რადგან მშობლებისა და ადგილობრივი თემის ჩართულობა, პოტენციურად ძლიერი რესურსია ნებისმიერი დაწესებულებისთვის. ამავდროულად, პროექტის მიზნების მიხედვით, შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი დროის გამოყოფა და ძალისხმევის გაწევა კომუნიკაციის პროცესში – მოხალისეების შერჩევის, გადამზადებისა და შენარჩუნებისთვის.

1. ფოკუსის იდენტიფიცირება

პროექტში ჩართული საბავშვო ბაღის საკვლევი ფოკუსი ჩამოყალიბდა დაწესებულების პრიორიტეტების, არსებული მონაცემებისა და საქველმოქმედო ინიციატივაში ჩართულობის შესაძლებლობის მიხედვით, რომელიც ორიენტირებული იყო კითხვის სიყვარულის განვითარებაზე.

8 ტექსტში მოცემული nursery – ინგლისში ნიშნავს ადრეული განათლების სერვისს 3-4 წლის ბავშვებისთვის.

2. ინფორმაციის შეჯერება

ფოტოებით, აუდიტისა და დაკვირვების ჩანაწერებით შეგროვდა ინფორმაცია არსებული პრაქტიკის შესახებ. კვლევაში იდენტიფიცირდა ბავშვებში წიგნის კითხვის მხარდაჭერაზე ორიენტირებული საქველმოქმედო ორგანიზაციები და რესურსები. მაგალითად, საიტი www.lovemybooks.co.uk, რომელიც წარმოადგენს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პორტალს და მშობლებსა და პრაქტიკოსებს კითხვის სიყვარულის წახალისებასთან დაკავშირებული იდეებითა და რესურსებით ეხმარება.

3. ცვლილების დაგეგმვა და განხორციელება

პროექტმა, ეროვნული და საქველმოქმედო ორგანიზაციების ინიციატივების გამოყენებით, სამი მიმართულება განავითარა. საბავშვო ბაღში შეიქმნა რესურსი – „ყველა დრო ზღაპრის დროა“ – ზღაპრის წიგნი და რვეული, რომლებიც ბავშვებს სახლში მიჰქონდათ და მშობლებს ჩართვის შესაძლებლობა ჰქონდათ. საბავშვო ბაღში მოეწყო უფრო დიდი და კომფორტული კითხვის სივრცე, სადაც განთავსდა მეტი რესურსი, თოჯინები და კოსტიუმები ამბების თხრობისთვის. საბავშვო ბაღი, ასევე, დარეგისტრირდა ერთ-ერთ საქველმოქმედო ორგანიზაციაში, რომელიც წიგნებს აწვდიდა სოციალურად დაუცველ ბავშვებს. პროექტში შეირჩნენ მშობლები და მოხალისეები, რომლებიც ბაღში კვირაში ორჯერ, ტრენინგის შემდეგ, ბავშვებს 20 წუთის განმავლობაში წიგნებს უკითხავენ.

4. გავლენის შეფასება

პრაქტიკის კვლევის ამ პროექტში, შეგროვდა პროექტის პროგრესის შეფასების როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მონაცემები. ჩატარდა ბავშვების წიგნიერების სივრცის გამოყენების შეფასება ცვლილებებამდე და ცვლილებების შემდეგ, გადაიღეს ფიზიკური სივრცის მოწყობის ამსახველი ფოტოები, შეგროვდა რაოდენობრივი მონაცემები, თუ რამდენი ბავშვი ინტერესდებოდა კითხვით არა მარტო წიგნების სივრცეში, არამედ ზოგადად, ბაღში. ასევე, შეგროვდა ბავშვების, მშობლებისა და თანამშრომლების შეხედულებების შესახებ ინფორმაციაც. მონაცემებმა აჩვენა, რომ სამი თვის პერიოდის განმავლობაში, იმ ბავშვების რაოდენობა,

რომლებიც თავიანთი სურვილით, სიამოვნებით ინტერესდებოდნენ წიგ-ნებით, მესამედიდან – ნახევრამდე გაიზარდა.

5. სამომავლო გეგმები

პროექტი საკმაოდ კომპლექსური იყო, რადგან მოიცავდა 3 უწყების ჩარ-თულობას: გარე სააგენტოები (საქველმოქმედო ორგანიზაციები), თემი და თავად დაწესებულება. სამომავლო გეგმებისთვის, საკვანძო საკითხი იქნება რესურსებისა და შესაძლებლობების იმდაგვარად გაძლიერება, რომ არსებული ინიციატივის მხარდასაჭერად, მიუხედავად მშობლების დინებისა, არსებობდნენ მოტივირებული და ენთუზიასტი მოხალისეები. სასწავლო გარემოს რეგულარული განახლება, ბავშვების ჩართულობის შესანარჩუნებლად, მომავალშიც ძირითადი საზრუნავი იქნება.

10 0-დან 2 წლამდე ასაკის ბავშვების ოთახი

ქვემოთ წარმოდგენილი პროექტი, თავდაპირველად, ადრეული წლების[9] ერთ-ერთმა მასწავლებელმა წამოიწყო, რომლის სურვილიც სპეციფიკური პრაქტიკის განვითარება იყო. პრაქტიკის კვლევის პროცესის შედეგად, დისკუსიებისა და თანამშრომლობის გამოყენებით, მასწავლებელს თავის პრაქტიკაზე რეფლექსია მოუწია. კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ გუნდის წევრები განსხვავებულად აღიქვამდნენ საკუთარ როლს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ადრეული წლების[10] ინსტიტუციურ სტრუქტურაში, ფორმალური მმართველობის გარდა, მნიშვნელოვანია პედაგოგიური მმართველობაც. პედაგოგიური მმართველობა განაწილებულია სხვადასხვა კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პრაქტიკოსებზე. თუმცა, ამან შესაძლოა გამოიწვიოს განსხვავებული ვარაუდები პედაგოგიური მმართველობისა და პრაქტიკოსების პასუხისმგებლობების შესახებ (Siraj-Blatchford and Hallet, 2013; Male and Nicholson, 2016). მოცემული პრაქტიკის კვლევის პროექტის ფოკუსი გახდა: აქცენტის გადა-

9 ტექსტში გამოყენებულია ტერმინი Early Years Educator – ადრეული წლების მასწავლებელი.

10 Early Years Foundation Stage – სტანდარტი დიდ ბრუტანეთში, რომელიც აწესებს ბავშვის სწავლის, განათლებისა და ზრუნვის სტანდარტებს 0დან 5 წლამდე. ყველა რეგისტრირებული დაწესებულება ინგლისში, რომელიც ახორციელებს სერვისს ამ ასაკობრივ კატეგორიაში, ვალდებულია შეასრულოს სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები და მიდგომები.

ტანა ლიდერების მმართველობიდან – კოლექტიურ მმართველობაზე. ეს პროექტი ასახავს პედაგოგიური ლიდერობის მნიშვნელობასა და უფრო ფართო ორგანიზაციულ სტრუქტურებსა და ეთოსზე მის დამოკიდებულებას (Male and Nicholson, 2016).

პროექტის შეჯამება

მოცემული პროექტი დაიწყო ახალბედა მასწავლებელმა, რომელმაც დაწესებულებაში მუშაობისას შენიშნა, რომ პრაქტიკოსების საქმიანობას უფრო მეტად სტრუქტურა ან პრაქტიკული მიზეზები განსაზღვრავდა და არა პედაგოგიური მოტივები. როგორც ახალი წევრი, ის დაინტერესებული იყო პრაქტიკის იმ ასპექტებით, რომლებსაც პრაქტიკოსები „საქმის კეთებად“ მოიაზრებდნენ. პრაქტიკის ამგვარმა განახლებულმა ხედვამ, გამოიწვია სისტემური განვითარება და უწყვეტი პროფესიული დიალოგი, სადაც ყველას ხმა იყო გაჟღერებული.

1. ფოკუსის იდენტიფიცირება

თავდაპირველი ფოკუსი განაპირობა მასწავლებლის ინტერესმა, უკეთ გაეგო პრაქტიკის ისეთი ასპექტი, როგორიცაა საბავშვო ბაღის რუტინა. მან შენიშნა, რომ საბავშვო ბაღში ყველა ბავშვს, წახემსებამდე, მოეთხოვებოდა ე.წ. „დილის წრის“ აქტივობაში მონაწილეობა. თუმცა, ამ აქტივობის პედაგოგიური სარგებელი გაუგებარი იყო, რადგან ბევრ ბავშვს არ სურდა მასში მონაწილეობა და ასევე, ბევრი პრაქტიკოსისთვისაც გაურკვეველი იყო მისი როლი კონკრეტულ აქტივობაში.

2. ინფორმაციის შეჯერება

მასწავლებელი დააკვირდა პრაქტიკას, ჩანაწერებში აღწერა ბავშვების ქცევა დილის წრის პროცესში. შემდეგ, გაესაუბრა პრაქტიკოსებს და შეიმუშავა კითხვარი, რათა გამოეკვლია ინდივიდუალური პერსპექტივები 0-დან 2-წლამდე ასაკის ბავშვებში დილის წრის მნიშვნელობის შესახებ და მიზეზები, რის გამოც აღნიშნული აქტივობა რუტინის აუცილებელ ნაწილად იქცა. ინფორმაციის შეჯერების შედეგად აღმოჩნდა, რომ ბევრი

პრაქტიკოსი დილის წრეს მნიშვნელოვნად მიიჩნევდა, რადგან შესაძლებელი იყო წახემსების მოსამზადებელი სამუშაოების უსაფრთხოდ განხორციელება. პრაქტიკის მთავარი მოტივატორი, მასწავლებლებისთვის, ყველა ბავშვის ერთ ჯგუფურ მუშაობაში ჩართვასთან დაკავშირებული უსაფრთხოების შესაძლებლობა იყო. ინფორმაციის შეგროვების პროცესში, მასწავლებელმა რამდენიმე ისეთი პრაქტიკოსიც აღმოაჩინა, რომლებიც განსხვავებულად ხედავდნენ რუტინის ამ ასპექტის გაუმჯობესებას, თუმცა არ იყვნენ დარწმუნებულები, რომ პრაქტიკაში განახორციელებდნენ.

3. ცვლილების დაგეგმვა და განხორციელება

„დილის წრის“ შესახებ პრაქტიკოსების პერსპექტივის გამოკვლევით, მასწავლებელმა ისეთი სისტემა შეიმუშავა, რომელიც სხვა პრაქტიკოსებთან თანამშრომლობით შესაძლებელს გახდიდა სხვადასხვა, მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობების დაგეგმვას. რადგან მასწავლებლების უმეტესობისთვის დილის წრე პრაქტიკული მნიშვნელობის იყო, მასწავლებელმა გადაწყვიტა, პრაქტიკის კვლევის პროექტში დილის წრის გამოყენება, როგორც სასწავლო შესაძლებლობა, განევითარებინა და პრაქტიკოსების მოლოდინები დაეზუსტებინა.

4. გავლენის შეფასება

მასწავლებელმა დილის წრის აქტივობა განავითარა, შეიტანა მასში სხვადასხვა რესურსები და დაგეგმილი სასწავლო გამოცდილებები. განხორციელებული დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებსაც არ სურდათ ჯგუფურ აქტივობაში მონაწილეობა, შემცირდა. გარდა ამისა, მასწავლებელმა ისე წარმართა პროცესი, რომ პრაქტიკოსებს შესაძლებლობა ჰქონდათ, თავად მიეღოთ მონაწილეობა და კოლეგებისთვის აქტივობების შეთავაზებით, დილის წრის განვითარებაში წვლილი შეეტანათ. ყველაფერმა ამან, თავის მხრივ, განაპირობა პროცესების თანამშრომლობითი რეფლექსია, რუტინის სხვადასხვა ასპექტების გასავითარებლად და გასაუმჯობესებლად.

5. სამომავლო გეგმები

პრაქტიკის კვლევის განხორციელების პროცესში, მასწავლებელი დარწმუნდა, რომ ზოგ პრაქტიკოსს ჰქონდა გარკვეული იდეა და ხედვა, თუმცა ან არ იყო საკმარისად თავდაჯერებული, რომ გაეჟღერებინა, ან არ თვლიდა თავს იმ პოზიციაზე, თავისი შეთავაზებები წარედგინა. სააღმზრდელო დაწესებულებაში სამომავლო კვლევის ფოკუსად, სწორედ ყველა პრაქტიკოსის მოსაზრებისა და პერსპექტივის გამოკვლევა და აღიარება იქცა. პრაქტიკის კვლევის შედეგად, სასწავლო აქტივობების დაგეგმვისა და პასუხისმგებლობების განაწილების სისტემა შემუშავდა.

დასკვნა

მოცემული პროექტები ასახავს პრაქტიკოსების მიერ იდენტიფიცირებულ მრავალფეროვან ფოკუსებს, რომლებიც საინტერესოა როგორც პიროვნულად, ასევე პროფესიულად და სხვადასხვა დაწესებულებებისა და კონტექსტის შესაბამისია. წარმოდგენილი პროექტები იმ პროექტების მცირე ნაწილია, რომლებსაც პრაქტიკოსები მრავალი წლის განმავლობაში ახორციელებენ. თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ მოცემულმა პროექტებმა წარმოდგენა შეგვიქმნა იმ პრაქტიკოსების კრეატიულობასა და ინტერესესებზე, რომლებიც ზრუნავენ და განათლებას აწვდიან ჩვენს შვილებს. პროექტები, ასევე, წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის, როგორც მეთოდოლოგიის გამოყენებისა და მასში ჩართულობის სხვადასხვა ტიპებს. ზოგიერთ შემთხვევაში, გამოვლინდა გარკვეული დაბრკოლებებიც, მაგალითად, ჟურნალის სტატიებზე წვდომა საგნობრივი ცოდნის გასაუმჯობესებლად, იდეების მოძიება ცვლილებებისთვის ან, მაგალითად, ზეგავლენის / შედეგების შეფასება. თუმცა, ყველა პროექტის შემთხვევაში, პრაქტიკის კვლევის პროექტებს მასწავლებლის სურვილი და ცვლილებების წადილი ამოძრავებდა. წმინდა კვლევითი პერსპექტივიდან, კვლევა იმისა, თუ „რა მუშაობს“, რანდომიზებული კონტროლირებადი ჯგუფების გარეშე, შესაძლოა, ნაკლებად მეცნიერულად მოგვეჩვენოს, მაგრამ კვლევები განათლებაში ხშირად არის თვისობრივი, მცირე მასშტაბისა და ინტერპრეტაციული, რაც მკვლევრებსა და პრაქტიკოსებს შესაძლებლობას აძლევს, დეტალურად გაიაზ-

რონ ის მდიდარი ურთიერთქმედებები, რომლებიც ადრეული წლების კომპლექსურ სამყაროს ახასიათებს. პრაქტიკის კვლევა სწორედ ამ ფენომენების გაგების შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს და კიდევ უფრო მეტიც, პრაქტიკის კვლევით, პრაქტიკოსი შესაძლოა გახდეს „ცვლილების აგენტი“, რაც იმ პროფესიონალისა და ლიდერის მახასიათებელია, რომლის საქმიანობაც ემყარება „მორალურ მიზანს“ – იყო ბავშვებისა და მშობლების სამსახურში.

ვიმედოვნებთ, რომ პრაქტიკის კვლევის პროექტების მოყვანილი მაგალითები, ტექსტში არსებული ზოგადი მსჯელობებითა და ახსნა-განმარტებებით, ხელს შეუწყობს პრაქტიკის კვლევის გამოყენებისა და მნიშვნელობის გააზრებას. პრაქტიკოსებს, როგორც პედაგოგიურ ლიდერებს, პრაქტიკის ფორმირებასა და დაწესებულების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი და პასუხისმგებლობა აქვთ. შესაბამისად, ვიმედოვნებთ, რომ პრაქტიკის კვლევის მაგალითების განხილვა, მათ დაარწმუნებს, რამდენად ღირებულია ინდივიდის, გუნდის, გარემოსა და ბავშვების განვითარებისთვის პრაქტიკის კვლევა.

დანართები

დანართი 1. ფოკუსის იდენტიფიცირება

1თავდაპირველი საწყისი მოსაზრებების შეგროვება

რა არის ყველაზე დიდი გამოწვევა ჩემს/ჩვენს პრაქტიკაში თუ საქმიანობაში ამ მომენტისთვის?



რა ახდენს
გავლენას,
რა იწვევს ამ
გამოწვევებს?

რამდენად ვაკონტროლებ/ვაკონტროლებთ ამ გამოწვევების
განმაპირობებელ
მიზეზებს?

პრაქტიკის/საქმიანობის ყველაზე აქტუალური ასპექტი, რომელიც საჭიროებს უფრო დეტალურ შემოწმებასა და ადაპტაციას არის

.....

.....

.....

დანართი 2. მტკიცებულებების შეჯერება

რაში მდგომარეობს კონკრეტული, ამჟამინდელი სიტუაცია, რომელიც თქვენი ყურადღების ფოკუსში მოექცა და რა მტკიცებულებები გაქვთ თქვენი ხედვის დასადასტურებლად? რა გჭირდებათ იმისთვის, რომ დარწმუნდეთ თქვენს ხედვაში ან გამოიკვლიოთ უფრო სიღრმისეულად?

რა მტკიცებულებები ან მონაცემები გაქვთ უკვე?	რა მტკიცებულებები ან მონაცემები გჭირდებათ კიდევ?
ბავშვებზე....?	ბავშვებზე...?
თქვენზე/თქვენს პრაქტიკაზე...?	თქვენზე/თქვენს პრაქტიკაზე...?
მასწავლებლებზე/პრაქტიკოსებზე...?	მასწავლებლებზე/პრაქტიკოსებზე...?
სხვა....?	სხვა....?
კიდევ რა დამატებითი მტკიცებულებები ან მონაცემები შეიძლება დაგჭირდეთ? სად და როგორ მოიპოვებთ მათ?	

დანართი 3. დაგეგმვა შედეგისთვის / გავლენისთვის

კვლევის/საკვლევი კითხვის ფოკუსი _____

საწყისი მდგომარეობა (ბეისლაინი)	*ცვლილებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს*	*შედეგი*
რას გრძნობენ, აკეთებენ, ამბობენ ბავშვები, რა შეუძლიათ?		რას იგრძნობენ, გააკეთებენ, იტყვიან ბავშვები, რას მიაღწევენ?
ბავშვები არიან....		**ბავშვები იქნებიან....**
როგორია თქვენი პრაქტიკა ახლა?		როგორი იქნება თქვენი პრაქტიკა?
მე ვარ/ჩვენ ვართ...		**მე ვიქნები/ჩვენ ვიქნებით...**

დანართი 4. დაგეგმვა შედეგისთვის

ჩემი კვლევის ფოკუსი არის .....

.....

ჩემი ამჟამინდელი სიტუაცია არის .....

.....

ეს ვიცი, რადგან .....

.....

ის, რაც მინდა განსხვავებულად გავაკეთო, არის .....

.....

სიტუაცია იქნება შემდეგნაირი .....

.....

ჩართული ადამიანები/პირები არიან .....

.....

ცვლილებები, რომლებსაც შემოგთავაზებთ .....

.....

მონაცემები, რომლებსაც შევაგროვებ .....

.....

ჩემი პრაქტიკის კვლევის ციკლის ხანგრძლივობა არის .....

.....

მე მჭირდება .....

.....

დანართი 5. გავლენის შეფასება

გამოიყენეთ მოცემული ფორმა იმისთვის, რომ დაფიქრდეთ პრაქ-ტიკის კვლევის პროცესზე დაწყებიდან დღემდე, საიდან დაიწყეთ, რა გააკეთეთ და რა შედეგი მოიტანა.

კვლევის ფოკუსი იყო .....

.....

საწყისი მდგომარეობა/სიტუაცია იყო .....

.....

საწყისი მდგომარეობის მტკიცებულებები იყო .....

.....

ცვლილება/ცვლილებები, რომელიც/რომლებიც განხორციელდა .....

.....

ჩვენ წარმოვიდგინეთ, რომ ცვლილებების შედეგად .....

.....

სიტუაცია/მდგომარეობა ახლა არის .....

.....

არსებული სიტუაციის მტკიცებულებები არის .....

.....

დანართი 6. სამომავლო გეგმები

შეჯამება და სამომავლო გეგმები. გამოიყენეთ ეს ფორმა იმისთვის, რომ შეაჯამოთ, რაც პრაქტიკის კვლევის განხორციელების პროცესში ისწავლეთ დაწყებიდან დღემდე და განიხილეთ, რის გაკეთებას შეძლებთ შემდეგში.

პრაქტიკის კვლევის განხორციელებით, ვისწავლე .....

.....

ჩემს პროფესიულ განვითარებაზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა

.....

გუნდზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა .....

.....

ბავშვებზე, გარემოზე, სააღმზრდელო პროცესზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა .....

.....

შეკითხვა, რომელიც დამრჩა .....

.....

შესაძლოა, ამ კითხვაზე პასუხი შემდეგ ვიკვლიო (როგორ?) .....

.....

ლიტერატურა

Adelman, C. (1993) ‘Kurt Lewin and the Origins of Action Research’, *Educational Action Research*, 1(1), pp. 7–24.

Beard, R. (2000) ‘Research and the National Literacy Strategy’, *Oxford Review of Education*, 26(3), pp. 421–436.

BERA. (2018b) *Ethical Guidelines for Educational Research*, 4th ed. London, British Educational Research Association.

Bertram, T., Formosinho, J., Gray, C., Pascal, C. and Whalley, M. (2015) Ethical Code for Early Childhood Researchers. EECERA (EECERA 2015 Ethical code for early childhood researchers). http://eecera-ext.tandf.co.uk/documents/pdf/organisation/EECERA-Ethical-Code.pdf.

Biesta, G. J. J. (2010) ‘Why “What Works” Still Won’t Work: From Evidence-Based Education to Value-Based Education’, *Studies in Philosophy and Education*, 29(5), pp. 491–503.

Bradbury, A. and Roberts-Holmes, G. (2017) *The Datafication of Primary and Early Years Education*, Oxon, Routledge.

Brown, C. and Rogers, S. (2015) ‘Measuring the Effectiveness of Knowledge Creation as a Means of Facilitating Evidence-Informed Practice in Early Years Settings in One London Borough’, *London Review of Education*, 12(3), pp. 245–260.

Bryce-Clegg, A. (2013) *Getting Ready to Write*, London, Featherstone Education.

Bubb, S. and Earley, P. (2007) *Leading and Managing Continuing Professional Development*, 2nd ed., London, Paul Chapman Publishing.

Carr, W. and Kemmis, S. (1986) *Becoming Critical: Education, Knowledge, and Action Research*, Abingdon, Falmer Press.

Clark, A. (2005) ‘Ways of Seeing: Using the Mosaic Approach to Listen to Children’s Perspectives’. In Clark, A. and Kjorholt, A. T., and Moss, P. (eds) *Beyond listening to Children’s perspectives on early childhood*, Bristol, Policy Press, pp. 29–49.

Clay, M. (2002) *An Observation Survey of Early Literacy Achievement*, 2nd ed., Portsmouth NH, Heinemann.

Clay, M., Gill, M., Glynn, T., McNaughton, T. and Salmon, K. (1983) *Record of Oral Language and Biks and Gutches*, Auckland, Pearson Education New Zealand.

Coldwell, M. and Simkins, T. (2011) 'Level Models of Continuing Professional Development Evaluation: A Grounded Review and Critique', *Professional Development in Education*, 37, pp. 143–157.

Corey, S. (1954) "Action Research in Education", *The Journal of Educational Research*, 47(5), pp. 375–380.

Cremin, T., Flewitt, R., Mardell, B. and Swann, J., eds. (2017) *Storytelling in Early Childhood: Enriching Language, Literacy and Classroom Culture*, London, Routledge.

Diamond, A. and Lee, K. (2011) 'Interventions Shown to Aid Executive Function Development in Children 4–12 Years Old', *Science*, 333(6045), pp. 959–964. DOI: 10.1126/ science.1204529

Dickens, L. and Watkins, K. (2006) 'Action Research: Rethinking Lewin', In Gallos, J. (ed.), *Organization Development*, San Francisco, Jossey-Bass.

Earley, P. and Porritt, V., eds. (2009) *Effective Practices in Continuing Professional Development: Lessons from Schools*, London, IOE.

Earley, P. and Porritt, V., eds. (2010) *Effective Practices in Continuing Professional Development Lessons from Schools*, London, Institute of Education Press.

Earley, P. and Porritt, V. (2013) 'Evaluating the Impact of Professional Development: The Need for a Student-Focused Approach', *Professional Development in Education*, 40(1), pp. 112–129. Elliott, J. (1991) *Action Research for Educational Change*, Buckingham, Open University Press.

Elliott, J. (2007) 'Making Evidence-Based Practice Educational', In Hammersley, M. (ed.), *Educational Research and Evidence-Based Practice*, London, SAGE. pp. 66–88. European Union. (2013) *The Attractiveness of the Teaching Profession in Europe*, Luxembourg, European Union.

Fan, W. and Williams, C. M. (2010) 'The Effects of Parental Involvement on Students' Academic Self-Efficacy, Engagement and Intrinsic Motivation', *Educational Psychology: An International Journal of Experimental Educational Psychology*, 30(1), pp. 53–74.

Fullan, M. and Ballew, A. (2004) *Leading in a Culture of Change Personal Action Guide and Workbook*, San Francisco, Jossey-Bass.

General Teaching Council for England. (2006) *What Is Research-Engaged Professional Practice ? How Does This Help the School, the Teacher and the Learner?* London, General Teaching Council for England.

Goodall, J. and Montgomery, C. (2014) 'Parental Involvement to Parental Engagement: A Continuum', *Educational Review*, 66(4), pp. 399–410.

Guskey, T. (2000) *Evaluating Professional Development*, London, SAGE Publications Ltd. Hammersley, M. (2007) 'Educational Research and Teaching: A Response to David

Hargreaves' TTA Lecture', In Hammersley, M. (ed.), *Educational Research and Evidence-Based Practice*, London, SAGE Publications Ltd., pp. 18–42.

Handscombe, G. and McBeath, J. (2003) *The Research Engaged School*, Chelmsford, UK, Essex Forum for Learning and Research Enquiry (FLARE), pp. 1–16.

Hargreaves, D. H. (1996). *Teaching as a Research Based Profession: Possibilities and Prospects*, London, Teacher Training Agency.

Hargreaves, D. H. (1999) 'Revitalising Educational Research: Lessons from the Past and Proposals for the Future Revitalising Educational Research: Lessons from the Past and Proposals for the Future', *Cambridge Journal of Education*, 29(2), pp. 239–249.

Hargreaves, D. H. (2007a) 'In Defence of Research for Evidence-Based Teaching: A Rejoinder to Martyn Hammersley', In Hammersley, M. (ed.), *Educational Research and Evidence-based Practice*, London, SAGE, pp. 43–60.

Hargreaves, D. H. (2007b) 'Teaching as a Research-Based Profession: Possibilities and Prospects', In Hammersley, M. (ed.), *Educational Research and Evidence-Based Practice*, London, SAGE, pp. 3–17.

Kemmis, S. (2007) 'Action Research', In Hammersley, M. (ed.), *Educational Research and Evidence-Based Practice*, London, SAGE, pp. 167–180.

Kirkpatrick, D. L. (1959) 'Techniques for Evaluation Training Programs', *Journal of the American Society of Training Directors*, 13, pp. 21–26.

Lewin, K. (1946) 'Action Research and Minority Problems', *Journal of Social Issues*, 2(4), pp. 34–46.

Macklem, G. L. (2008) *Practitioner's Guide to Emotion Regulation in School Aged Children*, Boston, MA, Springer US. DOI:10.1007/978-0-387-73851-2

Male, T. (2012). 'Ethical Leadership in Early Years Settings', In Palaiologou, I. (ed.), *Ethical Practice in Early Childhood*, London, SAGE.

Male, T. and Nicholson, N. (2016) 'Leadership in Early Years Foundation Stage', In Palaiologou, I. (ed.), *The Early Years Foundation Stage Theory and Practice*, 3rd ed, London, SAGE.

Manion and Cohen. (1994) *Research Methods in Education*, London, Routledge.

Masters, J. (1995) 'The History of Action Research', In Hughs, I. (ed.), *Action Research Electronic Reader*, Camperdown, NSW, The University of Sydney (Online).

McAteer, M. (2014) 'What Is This Thing Called Action Research?', In *Action Research in Education*, London, SAGE, pp. 1–14.

McNiff, J. (2002) *Action Research for Professional Development Concise Advice for New Action Researchers*, 3rd ed. www.jeanmcniff.com.

McNiff, J. (2013) *Action Research: Principles and Practice*, 3rd ed, Abingdon, Taylor & Francis.

McNiff, J. (2015) *Writing Up Your Action Research Project*, Abingdon, Routledge.

Norbury, C., Gooch, D., Baird, G., Charman, T., Simonoff, E. and Pickles, A. (2016) 'Younger Children Experience Lower Levels of Language Competence and Academic Progress in the First Year of School: Evidence from a Population Study', *Journal of Child Psychology and Psychiatry*, 57(1), pp. 65–73.

Nutbrown, C. (2012) *Foundations for Quality the Independent Review of Early Education and Childcare Qualifications*, Cheshire, Department for Education.

Palaiologou, I. (2012) *Ethical Practice in Early Childhood*, London, SAGE.

Peters, M. and Robinson, V. (1984) 'The Origin and Status of Action Research', *The Journal of Applied Behavioral Science*, 20(2), pp. 113–124.

Porritt, V. (2013) 'Evaluating the Impact of Professional Learning', In Crowley, S. (ed.), *Challenging Professional Learning*, Abingdon, Taylor & Francis, pp. 77–100.

Powell, B. (2012) 'Ethics, Policy and Every Child Matters', In Palaiologou, I. (ed.), *Ethical Practice in Early Childhood*, London, SAGE.

Razza, R. A., Bergen-Cico, D. and Raymond, K. (2013). 'Enhancing Pre-Schoolers' Self-Regulation via Mindful Yoga', *Journal of Child and Family Studies*, 24(2), pp. 372–385. DOI: 10.1007/s10826-013-9847-6.

Roberts-Holmes, G. (2018) *Doing Your Early Rears Research Project*, 4th ed, London, SAGE. Robson, C. (2011) *Real World Research*, 3rd ed, Chichester, Wiley.

Siraj-Blatchford, I. (2009). 'Conceptualising Progression in the Pedagogy of Play and Sustained Shared Thinking in Early Childhood Education: A Vygotskian Perspective'. *Education and Child Psychology*, 26(2), pp. 77–89.

Siraj-Blatchford, I. and Hallet, E. (2013) *Effective and Caring Leadership in Early Years*, London, Sage.

Siraj-Blatchford, I. and Manni, L. (2007), *Effective Leadership in the Early Years Sector: The ELEYS Study*, London, IOE Press.

Siraj-Blatchford, I., Sylva, K., Taggart, B., Sammons, P., Melhuish, E. and Elliot, K. (2003) *The Effective Provision of Pre-School Education (EPPE) Project Intensive Case Studies of Practice across the Foundation: The Effective Provision of Pre-School*, London, IOE Press. Smith, J. E. (2018) 'Re-Engineering National Reading Policy, Pedagogy, and Professional Development: The Case for a Simple View of Meaningful Reading', *TEAN Journal*, 10(2), pp. 65–79.

Somekh, B. (1995) 'The Contribution of Action Research to Development in Social Endeavours: A Position Paper on Action Research Methodology', *British Educational Research Journal*, 21(35), pp. 339–355.

Somekh, B. (2010) 'The Collaborative Action Research Network: 30 Years of Agency in Developing Educational Action Research', *Educational Action Research*, 18(1), pp. 103–121.

Spencer, T., Dietrich, R. and Slocum, T. (2012) 'Evidence-Based Practice: A Framework for Making Effective Decisions', *Education and Treatment of Children*, 35(2), pp. 127–151. DOI: 10.1353/etc.2012.0013.

Stenhouse, L. (1981) 'What Counts as Research?', *British Journal of Educational Studies*, 29(2), pp. 103–114.

Stoll, L., Harris, A. and Handscomb, G. (2012) *Great Professional Development which Leads to Great Pedagogy: Nine Claims from Research*, Nottingham, National College for School Leadership.

Timperley, H. and Earl, L. M. (2008) 'Using Conversations to Make Sense of Evidence: Possibilities and Pitfalls', In Timperley, H. and Earl, L. M. (eds.), *Professional Learning Conversations: Challenges in Using Evidence for Improvement*, Berlin, Springer Science & Business, pp. 121–126.

Whorrall, J. and Cabell, S. (2016) 'Supporting Children's Oral Language Development in the Preschool Classroom', *Early Childhood Education Journal*, 44(4), pp. 335–341.

Winch, C., Oancea, A., Orchard. J. (2015) The Contribution of Educational Research to Teachers' Professional Learning: Philosophical Understandings, *Oxford Review of Education*, 41(2), pp. 202–216.

Winstanley, C. (2012) 'Alluring Ideas: Cherry-Picking Policy from Around the World', *Journal of Philosophy of Education*, 46(4), pp. 516–531.

World Health Organisation. (2003) *Creating an Environment for Emotional and Social Well-Being: An Important Responsibility of a Health Promoting and Child-friendly School*, Geneva, WHO.

Wyse, D., Brown, C., Oliver, S., and Poblete, X. (2018) 'The BERA "Close to Practice"', In Wyse, D. (ed.), *Research Intelligence*, London, British Educational Research Association, pp. 15–16.